# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 15 აგვისტო 1998 №143 (678) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი

2 ტური

14 აგვისტო, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

15 აგვისტო, პარასკევი

ტორპედო
კოლხეთი

გურია
თსუ

დილა
სიონი

სამგურალი
გორდა

დინამო
მერანი

16 აგვისტო, შაბათი

ლოკომოტივი
ოდიში

იბერია
ბათუმი



გუშინ „ისანზე“: „არსენალი“ — „ვიტ ჯორჯია“. ვიტელთა კართან ასეთი ქაოსური იერიშები მრავლად იყო, ამიტომაც მატჩი უგოლოდ დამთავრდა

19 აგვისტოს საქართველოს ეროვნული გუნდი კიევში ამხანაგურად გაეჯიბრება უკრაინის ნაკრებს. ეს მატჩი ჩვენი ფეხბურთელებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კარს არის მომდგარი. ალბანელებთან შეხვედრამდე ბოლო დაპირისპირება ჩვენს ნაკრებს მეტად წაადგება ძირითადი ბირთვის შესათამაშებლად და შესაკვრელად. ახლახან შევიტყვეთ, რომ 19-სთვის სათუო გახდა ნაკრების მარცხენა მცველის კახი კალაძის თამაში. სიტუაციაში გასარკვევად კახის კიევში დავუკავშირდით.

## კიევში ჯერ კიდევ სპარტაზე ფიქრობენ

— „სპარტასთან“ თამაშამდე ორი დღით ადრე ვარჯიშზე ძლიერად დარტყმული ბურთი მომხვდა თავში, წნევამ ამიწია და შეუძლოდ გავხდი, მაგრამ მატჩამდე ორი საათით ადრე გადავწყვიტე მეთამაშა. ამის შესახებ ლობანოვსკის კიდეც ვუთხარი და მანაც ძირითადში დამაყენა.

**— ამჟამად როგორ გრძნობ თავს?**

— უკეთ. მიკრო-გამოკვლევა ჩამიტარეს. ექიმმა დამამედა, ყველაფერი რიგზე გაქვს და ვარჯიშის გაგრძელების შეგიძლიაო.

**— ესე იგი, 19-ში უკრაინელების წინააღმდეგ ითამაშებ?**

— რა თქმა უნდა. აუცილებლად, თუ ამას გუცაევი საჭიროდ ჩათვლის.

**— კიევში როგორი სიტუაციაა, ემზადებიან ამ მატჩისთვის?**

— ამ წუთისთვის უფრო აქტუალური „დინამო“ — „სპარტას“ გამოძახილია. აქ არავინ ელოდა ჩვენს დამარცხებას. უკრაინული პრესა კრიტიკის ქარცეცხლში გვატარებს. პირდაპირ მოითხოვენ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ. მე მგონი, პრაღაში რევანშის აღება არ უნდა გაგვიჭირდეს. რაც შეეხება 19 აგვისტოს მატჩს, ცხადია, იგიც დიდ ინტერესს იწვევს. კიევში მოუთმენლად ელიან ქართველების ჩამოსვლას. საინტერესო შეხვედრა უნდა გამოვიდეს. ვფიქრობ, მოედანზე უშელავათო ბრძოლა გაჩაღდება. ამ ორ ქვეყანას შორის სპორტულ პაექრობას ხომ არცთუ მცირე ისტორია აქვს.

უკრაინელებთან მატჩში ტრავმის გამო ასევე საეჭვო იყო შოთა არველაძისა და ზაზა ჯანაშიას თამაში. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, შოთა არველაძის საკითხი გადაწყვეტილია, მისი ტრავმა სერიოზული არ არის და შოთაც ოთხშაბათს ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებს. რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მისი მდგომარეობა უფრო სერიოზულია, თუმცა ბატონი ვოვა იმედოვნებს, რომ ნაკრებს ისიც დაეხმარება.

გუცაევის მიერ ადრე გამოცხადებული შემადგენლობიდან ეროვნულ ნაკრებს სამი კაცი დაემატება — ცქიტიშვილი, ჯამარაული და დიდავა დანარჩენებთან ერთად გაემგზავრებიან კიევში.

**პაატა ძვანტალიანი**

### გერმანია

I ტური

**დუისბურგი 2:1 აინტრახტი**

1:0 შპისი (17), 1:1 სობოტჟიკი (25), 2:1 პერსენი (47)

**შტუტგარტი 2:1 დორტმუნდი**

1:0 კელერი (9), 1:1 ჯორჯევიჩი (17), 2:1 სალუ (39)

### საფრანგეთი

II ტური

**ლიონი 6:1 ტულუზი**

1:0, 2:0 კაველია (17, 48), 3:0 გრასი (50), 4:0 კანოუ (74), 5:0 ბაკი (80), 5:1 პეტროვიჩი (83), დორასუ (86)

**ლანსი 1:1 ლორიენტი**

1:0 დალმა (39), 1:1 ბუფია (51)

## ვინ არის შენი ამხანაგი?..

12 აგვისტოს განჯაში საქართველოს „გადაზრდილი“ ახალგაზრდული თუ კლუბების ნაკრების სამარცხვინო მარცხმა „დინამოსგან“ ესპანეთის ვიცე-ჩემპიონის ძლევა ჩაგვიშხამა. წაგებაცაა და წაგებაც, ვისთან ვაგებთ, ან ვის ვეთამაშებით და ვეამხანაგებით?!

**კვერცხებზე და სხვაზე...**

გუგულის ოღრაშობის ამბავი ვის არ გაუგია. აიღებს თავის კვერცხებს ეს ეშმაკი და ტყის სხვა ფრთოსნებს ჩაუწყობს ხოლმე ბუდეში. ჰოდა, სანამ ეს სხვა მის ნაშიერებზე ზრუნვაში ათენ-აღამებს, თვითონ ცხოვრობს არხეინად. ნაშიერებს რაც შეეხებათ, იზრდებიან და მერე ნამდვილი წინაპრებივით ოღრაშობენ. პარაზიტულია და არასწორი გუგულთა საქციელი, მაგრამ ასე უსწავლიათ, გენებშიც ასე მოსდევთ და ბუნების წინააღმდეგ აბა ვინ წასულა. ამიტომაცაა, სიკვდილი რომ უჯობთ (თუ ფიქრობენ ამდენს) ფრინველებს, ნაბიჭვარი გუგულების გაზრდას.

სხვანაირი კვერცხებიც არსებობს, ისეთი, სიხარულით რომ იგუებდა ყველა თავის ბუდეში, ოქროს ფასი რომ აქვთ და მარტო კვერცხსაც ვერ უწოდებ კაცი. კვერცხი აქ უფრო სიმბოლური ცნებაა. მაგალითად, შეიძლება ოქრო ჩადო სხვის ბუდეში. რაიმე ძვირფასი ნივთი უფეშქაშო ვინმეს, ან სულაც სარეიტინგო ქულები აკრეფინო სხვებს ჩვენი ნაკრებებივით. მადლი ქენი და ქვაზე დადეო, ხომ გაგიგიათ. გაჭირვებულის მეტი რაა ქვეყანაზე, საწყლის და დავრდომილისთვის ხელის გაწვდენა კი ქართველთა ვალია. ჩვენც ასე ვაკეთებთ — სხვა-სხვა და, ასეთი რამ არასდროს გვეშლებოდა ქართველებს.

ეს ყოველივე ნათელია, მაგრამ იმ კაცებს რა ვუყოთ, ყველაფერში სარგებელს და გამორჩენას რომ ელიან და ხედავენ. ასეთი ხალხის მეტი რა გვყავს და ის თქვით, მათ რა ვუპასუხოთ, მერედა ჩვენ რა ხეირიო, რომ იკითხავენ, რა და ბუს კვერცხები — მადლსა ვშვრებით და ქვაზე ვდებთ. გავივლით და წინ დაგვხვდება (?).

იხილეთ მეორე გვერდი



## პრემიერლიგის მეასე პრემიერა

### თემურ ქეცბაიამ სოცდემოკრატებს აჯობა

ინგლისის 99 ჩემპიონატის პრიზიორი, ახალი სეზონის კალენდარი და მონაწილეთა წარდგენა

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდი

**თბილისი**
**14 აგვისტო**
**18 საათი**
**ისანი**
**2000 (ტევადობა 5 000)**

**არსენალი 0:0 ვიტ ჯორჯია**

**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, მ. თევზაძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია (სულაძე 46), გ. ლომიძე, კორღალიძე (ამირიძე 70), კაკაშვილი (ყუფარაძე 75), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, დ. კაპანაძე, ქიქავა, ლაცაბიძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი (კვიციანი 88), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 58), აბაზაძე, ი. კაპანაძე, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე (ლამბაშიძე 82), ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ენუქიძე, დ. დოლიძე, ა. ბოკერია
**გაფრთხილება:** აბაზაძე (47), მენთეშაშვილი (87)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ა. მეშკოვი, ა. ქარქაშაძე, ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. დურსუნიში

# არმია გასაჭირშია

**გიორგი ვაშაკიძე**

მეათე ეროვნული „ისანსზეც" გაიხსნა, მაგრამ როგორ?! კარგა ხანია, ამგვარი რამ არ გვღირსებია. არადა, თურმე, ჩვენც შეგვძლებია ჩემპიონატს ხალისიანად შევხვდეთ. რახანია ყველას გადაგვავიწყდა, რომ ნებისმიერი რანგის შეჯიბრებას საზეიმო გახსნის გარეშე ყოველგვარი ხიბლი ეკარგება. ჩემპიონატის პირველსავე ტურში ამ მხრივ მხოლოდ ბათუმი თუ გამოირჩა, თორემ სხვაგან საქართველოს ჰიმნის თანხლებით გუნდების კაპიტნებმა ეროვნული დროშა აღმართეს და სულ ეს იყო.

გუშინ კი აშკარად იგრძნობოდა, რომ არმიელებს თავდაცვის სამინისტროს სახით ძლიერი მფარველი ჰყავს. მათი ყურადღება გუნდისთვის ყოველგვარი პრობლემის გადაჭრის გარდა სხვა მხრივაც იგრძნობა. მოვლილი, კოხტა სტადიონი ნორმალური მინდვრის საფარით, ტრიბუნები, სამთავრობო ლოჟა და საშხაპეები რესტავრირებულია. გახსნაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. ისანში მისული ხალხი უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა. თამაშის დაწყებამდე ცეკვისა და სიმღერის გარდა, კიდევ ის იყო საინტერესო, რომ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, მისი უფროსის, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ-მაიორ, ჯონი ფირცხალაიშვილის თავკაცობით, რომელიც ამავე დროს „არსენალის" პრეზიდენტია, მგონი, მთელი შემადგენლობით სტადიონზე იმყოფებოდა. ერთმა კიდეც იხუმრა, ე, ბიჭო ასე გაგრძელდეს, რა დროს ფეხბურთიაო.

ახლა კი თავად შეხვედრაზეც.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ „არსენალს" გულით ეწადა საკუთარ მოედანზე პირველსავე თამაშში გამარჯვება, რადგან დებიუტში „დინამოსთან" განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია მოეხდინა. როგორც აღმოჩნდა, არც „ვიტ ჯორჯია" იყო ჯაბანი, ბოლო-ბოლო, მათ ხომ ჩემპიონატის სტარტზე ბათუმში ზღვისპირელები გააკრეს ბეჭებზე.

ვიტელთა მწვრთნელმა, სპარტაკ არჩვაძემ თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა არჩია, პირველივე შესაძლებლობისთანავე კონტრშეტევებზე მწვავედ რომ შეეტია არმიელთათვის. ამან გაამართლა კიდეც. არმიელებს მთელი შეხვედრის მანძილზე თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვიტელთა დაცვას კერძოდ კი ვასილ მაისურაძეს ვერაფერი მოუხერხეს. 23-ე წუთამდე მოედანზე განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, თუ არ ჩავთვლით კუთხურის ჩაწოდებისას კაკაშვილის მიერ ვიტელთა მეკარის ბაქანში თავით დაგდებულ ბურთს ვარდნაში არმიელმა ლევან კორღალიძემ რომ ვერ მიუსწრო. აი, 23-ე წუთზე კი არმიელმა გველესიანმა ყველასაგან მოულოდნელად ისე დააქუხა, რომ ვიტელები მხოლოდ კარის ძელმა გადაარჩინა. ამის შემდეგ თამაში ისევ ძველი სცენარით წარიმართა. „არსენალი" გამალებით უტევდა, ვიტელები კონტრშეტევებს ასე თუ ისე ახორციელებდნენ, მაგრამ არმიელთა „ძველი გვარდია" გია ფირცხალავა და მერაბ თევზაძე მათ კართან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. არსენალელთაგან ყველანი ცდილობდნენ, მაგრამ მხოლოდ ამათ თუ გამოარჩევდა კაცი. აი, 35-ე წუთისთვის კი საკუთარ გუნდს ვერც ესენი უშველიდნენ, რომ არა ვიტელი ლაშა ნოზაძის უიღბლობა და ლაისმენის მიერ თამაშგარის მანიშნებლად აწეული ალამი. გრიგოლ გვაზავამ ნოზაძე ჩლაიძეს შეატოვა, ლაშამ კი დარტყმისას ვერ ივარგა, ხოლო დანარჩენზე უკვე მოგახსენეთ. შესვენებისას კვლავ გაგრძელდა ზემოთ ნახსენები ზეიმი, ამჯერად უკვე მოცეკვავე ლამაზმანებმა ბოშები გაგვახსენეს.

მეორე ნახევარიც დაახლოებით ასევე გაგრძელდა. დასაწყისში იმდენად დიდი იყო მასპინძელთა უპირატესობა, რომ მათი მეკარე ჩლაიძე უმეტესად მოედნის ცენტრთან ახლოს იმყოფებოდა და, ალბათ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თანაგუნდელების დასახმარებლად წინაც წავიდოდა. 68-ე წუთზე კი არმიელებმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს, კაკაშვილმა მარცხენა ფლანგზე ჩაიქროლა და საჯარიმოში ბურთი ჩაჰკიდა, იქ კი თავით მოხდენილად ურტყამდა კორღალიძე და რომ არა ჭურაძის სასწაულებრივი ნახტომი, ანგარიშიც გაიხსნებოდა. არმიელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ვიტელებზე ზეწოლა, მაგრამ ლიბერო ვასილ მაისურაძე სასწაულებს სჩადიოდა — თანაგუნდელებს უშეცდომოდ აზღვევდა. რაც უფრო იწურებოდა დრო, მასპინლები ჩქარობდნენ, მაგრამ ფიგარო ვასკას ვერაფერს უხერხებდნენ. ის კი არა, ბოლოსკენ მოედანზე ახალშესულ ლამბაშიძეს რომ გამართლებოდა, ეგებ სამი ქულაც კი აეწაპნა მასპინძელთათვის. მან თითქმის მოედნის ცენტრიდან შენიშნა წინ გამოსული ჩლაიძე და დაუფიქრებლად დაარტყა. მართალია, ოდნავ არაზუსტად, მაგრამ თანამსაჯმა მეშკოვმა რატომღაც თამაშგარე დააფიქსირა. ასე თუ ისე, ერთისთვის სასიამოვნო, მეორისთვის კი საწუხარი ფრე. დებიუტანტმა არმიელებმა აქტივში პირველი ქულა ჩაიწერეს, მაგრამ კმაყოფილნი ნამდვილად ვერ დარჩნენ, ვიტელებმა კი საწყის ორ ტურში, ორივეჯერ გასვლაზე ოთხი ქულა დააგროვეს და დღევანდლამდე მაინც, ლიდერებად გვევლინებიან. ერთიც, „არსენალის" თამაში თვალშისაცემია (ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე ჩანდა), რომ მას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, რომელსაც ძალუძს კრიტიკულ მომენტში გადაწყვიტოს შეხვედრის ბედი.



ვაჟა ძოწენიძის ფოტო

არმიელთა მთავარსარდლობა ბრძოლის საწყისი მანევრებით აშკარად უკმაყოფილოა

# ვინ არის შენი ამხანაგი?..

დასაწყისი პირველ გვერდზე

## მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ

არსენასი არ იყოს, ერთი ყარაჩოხლური თვისება დასჩემდათ ქართულ ნაკრებებს. ავტორიტეტებს ხშირად ვამწარებთ ხოლმე და მისავათებულებთან და ღატაკებთან ლამისაა „საგანელოვის პონჩიკებად" გადავიქცევით. უეფა კიდე ის ჩიტია, ძლიერი გუნდის წინააღმდეგ კარგი თამაშისთვის რომ ერთს ჩაგიწერს აქტივში, სუსტთან წაგებისთვის ათს ჩამოგაწერს. ჰოდა, პრინციპმა — „ერთი ნაბიჯი წინ და ორი ნაბიჯი უკან" რა სიკეთეც დააყარა ბარე ორს, არ გვესწავლება. მით უმეტეს, ძნელად, მეტად ძნელად ვდგამთ ხოლმე წინ ნაბიჯს. თვითონ განსაჯეთ, რა ძნელად მოვიპოვეთ იტალიასთან ფრე, ბულგარეთთან მოგება, უელსთან გასვლაზე მოგება, პოლონეთთან შინ გამარჯვება, კიდევ შეიძლება რაღაც-რაღაცეების გახსენება.

წაგებით კი... მოლდოვასთან ორი მარცხი, აზერბაიჯანთან ორი, ლიბანთანაც კი ვიწვნიეთ წაგებანი. ჰოდა, უეფასაც რა მისდიოდა, საანგარიშო მოიმარჯვა და ააჩხაკუნა. ამად იყო 102-ე ადგილამდე რომ ჩამოვქვეითდით.

ქართველები გვქვია, ვაჟკაცი ყარაჩოხელების ფასი ვიცით და არსენას რომ ძეგლი დავუდგით, რა გასაკვირია. საინტერესო ისაა, ჩვენს დარდიმანდობას თუ დააფასებენ. დაუდგამს კი ვინმე ძეგლს ქართულ ნაკრებებს, ანაც ქართულ ქარაოცობას?

ძეგლი როჟე მილას და ბატისტუტას დაუდგეს. პირველს იმიტომ, რომ მაგაზე მაგარი მობურთალი არ ენახათ კამერუნში ზანგებს. ბატიგოლის ქანდაკით კი ფლორენციელებმა გაბრიელ ომარის უამრავ გოლს უპასუხეს. მოლდოვის, ლიბანის და აზერბაიჯანის დარი ქვეყნები ჩვენებთან გამარჯვებისთვის ძეგლს უმალ თავისიანებს დაუდგამენ — აფერუმ, რა განძი გვყოლიხართ, პაიჭაძის და მესხის მემკვიდრეებს ბლვირი ადინეთო.

## ამხანაგო ლიბანო, ძმაო აზერბაიჯან!

არ ვიცით, რას დავაბრალოთ, მაგრამ ასე გვგონია, ამხანაგური გრძნობები ნამეტნავად გაგვიმძაფრდა. ჩავდივართ უცხოეთს, ჩვენთანაც ჩამოდიან და ცხონებული ლეონიდ ილიჩის არ იყოს, ხვენა-პროშნას უფრო ვუნდებით, ვიდრე ბურთის თამაშს. ძმები ვართ, ამხანაგებიო — ასე ხსნიან ჩვენი ფეხბურთელები საკუთარ გულაჩუყებას — ამ მატჩებს დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, მოდით, არც მწვადი დავწვათ, არც შამფური. არც იქით ვიყოთ და არც აქეთო.

არადა, ერთი გვითხარით, რა ჩვენი ნაკრების ამხანაგია ლიბანის, აზერბაიჯანის ანაც მოლდოვის, მაპატიონ და, ფარჩაკი გუნდები. ვინაა მაგათი ამხანაგი. ანაც როგორ არ ენანებათ ჩვენს ბიჭებს თავისივე გარჯის და ტანჯვის შედეგად ძლივს მოხლაფორთებული სარეიტინგო ქულების აღმა-დაღმა ფანტვა.

ანდა უეფა რომ წმინდად საქმიანი ორგანიზაციაა და სიტყვა „ამხანაგი" ნეტარ სახსოვარ წარსულს ჩაბარდა, ამაზე ლაპარაკი უნდა გვჭირდებოდეს? ახლა რომ ცნება „ამხანაგური მატჩი" აღარ არსებობს და იგი „საერთაშორისო საკონტროლო შეხვედრამ" შეცვალა, ვეღარ უნდა გავიგოთ?

საკონტროლო თამაშები (იგივე ამხანაგური თამაშები) კი იმიტომ ინიშნება, რათა მავანმა გუნდმა შემადგენლობა დააკომპლექტოს, ნაკლზე იფიქროს, ხარვეზი გამოასწოროს და მთავარ მატჩებს უფრო ძლიერი, მომზადებული შეხვდეს. არიან გუნდები, წინასწარ რომ გეგმავენ საკონტროლო მატჩების ერთ, ორ, სამ და მეტწლიან ციკლებს. ერთი სიტყვით, საკონტროლო თამაშები ის საფუძველია, რომელსაც შემდეგ ნებისმიერი გუნდის წარმატებით გამოსვლა ეფუძნება ამა თუ იმ მნიშვნელოვან ტურნირზე.

ორიოდე სიტყვით კი — არავინ ისე თავლიად არ ეკიდება საკონტროლო (იგივე ამხანაგურ) თამაშებს, როგორც ჩვენ.

ამიტომ — გუგუ — გაიღვიძეთ, ხალხო.

გაიღვიძეთ ყველამ, ვინც ამ თამაშებს გეგმავთ და იმათაც, ვისაც საკონტროლო (იგივე ამხანაგური) მატჩები მარტო „ხვენა-კოცნა, მტლაშა-მტლუში" გგონიათ.

## ბნელა?

ეს წერილიც ზემოთ ნახსენებმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ (ან დამოკიდებულებებმა) დაგვაწერინა. როგორ ფიქრობთ, საჭიროა კი ის მატჩი, რომელიც არაფერს გვაძლევს, არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ხარჯი და დავიდარაბა მოაქვს. ალავერდს იმ ხალხთან გადავდივართ, ვისაც საკონტროლო მატჩების განრიგის შედგენა და მეტოქეთა მოძებნა ევალება. განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია — ეროვნულ სტადიონზე რომ ხუთასიოდე კაცი (რა ქნან — უჭირთ) უბილეთოთ შეიპარება, ცასა და ქვეყანას სწვდება ჩვენი ფეხბურთის მესვეურთა ვიშ-ვიში — არიქა, ორიოდე ლარის გადახდა უჭირთო?! თვითონ კი ისეთ მატჩს და ისეთ ქვეყანას „გამოძერწავენ" ჩვენი ნაკრებების სპარინგად, გაგეცინება კაცს (სატირლად რომ არ იწევდეს გული და გონება).

ჰოდა, აქამდე რომ ჩვენმა პირველმა ნაკრებმა ვერაფერი გააკეთა ფასეული, ერთ-ერთი მიზეზი საკონტროლო (იგივე ამხანაგური) მატჩებისადმი ზერელე დამოკიდებულებაცაა.

ჩავდივართ ლიბანს, თითქოს „ჭ" კლასის ნაკრები მიგვყავს, გულშემატკივარს და მყვარებელს თვალს ვუხვევთ — უბრალო „პაეზდკაა" მეტი არაფერიო — ვაგებთ და უეფა ქულებს გვაკლებს... ჩავდივართ განჯაში, აქაც საკლუბო თუ ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მდგომი გუნდით და ორ შეხვედრაში ვმარცხდებით... საბუთი და ახსნა კვლავ უწინდელია — ნუ გეშინიათ, უეფამ არაფერი იცის, უბრალო თამაშია, ძმები მოგვენატრა და ჩავაკითხეთ, ბიჭებმაც ჰაერი გამოიცვალეს და ცოტა გამოცდილებაც მიიღესო. ეს სწორია, ისემც დაუმშვენდა ცხვირი ამის მთქმელს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ — ბუნებაში (უეფაშიც) ტყუილად არაფერი ხდება და თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეა, მწარედ ვცდებით. და ასეც რომ იყოს (დავუშვათ ქვეყანა გადაბრუნდა), რაღაზედ ვხარჯავთ ამდენ ფულს და ენერგიას უაზროდ. თუკი რუსეთის ნაკრებთან თამაში მხოლოდ მონატრება და ჩახუტება იყო, რაღას ვატანდით ქარს იმ 60 000 ლარს, მათ მიღება-დაბინავებას რომ დასჭირდა? განა ვინმესთვის კიდევ ასახსნელია, რომ განჯაში (კიროვაბადში) წვრთნაგავლილი და მარცხნაწვნევი ფეხბურთელი „უემბლიზე" ანაც „სან-სიროზე" წახდება? და იმას, ვინც განჯაში წააგებს, რატომ უნდა ჰქონდეს ეროვნული ნაკრების წევრობის პრეტენზია? განჯაში საქართველოს ნებისმიერი ნაკრების წაგებას ფეხბურთის არა, უფრო სხვა (ოღონდ არც ნავთის) სუნი უდის. ერთიცაა, თბილისის „დინამო" რომ ესპანეთის მეორე გუნდს, ბასკთა „ატლეტიკს" ეთამაშება და ამარცხებს, იმ დღეს განჯაში როგორ უნდა ათამაშო ქართული გუნდი (ცოტათი განჯური მატჩის მონაწილე ბიჭებიც გვეცოდება, ვინ იცის მოუწევთ კი ოდესმე გერეროს, ურსაისის, ეჩებერიას, ალკისას და თვით ფერნანდესის ცოცხლად ნახვა?), „ატლეტიკი" და ესპანეთია საქმე, თორემ განჯა მოიცდის, განჯა სად წავა...

კიდევ ერთიც, იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც განჯაში აგებენ, სწორედ „ატლეტიკის" ყურებით უნდა ისწავლონ რა არის ფეხბურთი. განა ბევრი ახსნა სჭირდება იმას, რომ ალკისას ან ურსაისის ტრიბუნიდან ცქერით უფრო მეტს გაიგებ და ისწავლი, ვიდრე განჯაში სიკვდილამდე ბურთის გორებით.

ასეთი (ლიბანური და მისი მსგავსი) ტურნეები არაფრად გვჭირდება. მსგავსი რაღაცეები ადრინდელ „გეგმიანობას" გვახსენებს, როცა მთავარი იყო გეგმის შესრულება (გახსოვთ?). წავიდა ის დრო, ხალხო, და თუ მაინც და მაინც ძველებურად გსურთ გაუტიოთ, მაშინდელ ლოზუნგს მაინც დაუჯერეთ, მთავარი ხარისხია და არა რაოდენობაო რომ გვასწავლიდა.

ასეცაა, ჯობს, ერთხელ ეთამაშო „ატლეტიკს" ჩემპიონთა ლიგაში შესასვლელად, ვიდრე ასჯერ ისპარინგო განჯაში დაბალ დონეზე.

ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, დრო რომ ვერაფერს აკლებს — ძველადაც და ახლაც ჭეშმარიტებად რჩებოდა და რჩება.

იმათ კი, ვისთვისაც განჯური ვოიაჟები ფასეულია, ასე მივმართავთ — გუ-გუ, ბატონებო, უკვე გათენდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

**as**

# ატლეტიკმა საქართველოს ტუნდრა დატოვა

ესპანური პრესა „დინამო" — „ატლეტიკის" თაობაზე

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ფერნანდესის გუნდმა სწრაფად დატოვა ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი. პრესკონფერენციაზეც უარი განაცხადეს. ამის მიზეზი ყველამ ვიცით. უნდოდათ, სწრაფად გასცლოდნენ საქართველოს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, დაღლილ-დაქანცულნი აეროპორტში კიდევ საათნახევარს ელოდნენ თვითმფრინავს.

წასვლამდე, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" ოთახებში მისულთ ტელეფონის ქვითრები დახვდათ — თითოეულს 800 ლარი (80 000 პესეტა) უნდა გადაეხადა. ნუთუ ამდენი ილაპარაკეს ბასკებმა, როცა ისინი შიშით შედიოდნენ აბაზანაში შხაპის მისაღებად.

ყველაზე დიდი საშინელება მოუწესრიგებელი სტადიონი იყო, მერე კი პოლიცია, რომელიც იცავდა შევარდნაძეს და ესპანელ ფოტოკორესპონდენტებს სურათების გადაღების საშუალებას არ აძლევდა. ზოგმა ესპანელმა კორესპონდენტმა მოახერხა ინტერვიუს აღება, ხოლო ქართველები ფეხბურთელებს არ გააკარეს. ალბათ, ჩვენ ბედმა გაგვიღიმა ესპანელები რომ ვიყავით.

ბილბაოს „ატლეტიკის" პრეზიდენტმა არატემ განაცხადა: „ფეხბურთის ყურება შევარდნაძესთან ერთად მომიწია. მე კი ჩემებთან ყოფნა მსურდა. იგივე ხდებოდა ვახშამზეც — ვახშმობდი მასთან და მის მოთამაშეებთან ერთად. ესპანეთის დროით პირველის ათ წუთზე ბილბაოელები პრეზიდენტის თვითმფრინავში ავიდნენ, სადაც ზოგიერთი სკამი ჩავარდნილი აღმოჩნდა. ხუთისაათიანი ფრენის შემდეგ თავიანთ ქვეყანას იმ იმედით დაუბრუნდნენ, რომ ნანახი არასოდეს განმეორდება.

**ჯონ მუჯიკა**

AS



## მურთაზ ხურცილავა:
# ეს გამარჯვება გმირობა იყო



მურთაზ ხურცილავა და რომან შოთაძე დიდ საქმეს შესჭიდებიან

1998 წლის 12 აგვისტო სამუდამოდ ჩაიწერება ქართული ფეხბურთის მატიანეში. ეს დღე ბოლო წლების ყველაზე ნათელი წერტილია ჩვენს ფეხბურთში. დაგვეთანხმებით, „დინამოს" ეს გამარჯვება ნამდვილად გმირობა იყო. შეიძლება ბევრმა თქვას, „ატლეტიკს" ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდაო, მაგრამ ვინც ბასკების გუნდში იმ დღეს ეროვნულზე ითამაშა, ყველანი ესპანეთის პრიმერა დივიზიონში არიან გამობრძმედილნი. ოთხშაბათს მატჩის შემდეგ ბილბაოელთა ფრანგი თავკაცი ლუის ფერნანდესი გაკვირვებული და დაბნეული ჩანდა. დინამოელთა მიერ შეთავაზებული სიურპრიზი კი ინფორმაციის ნაკლებობას დააბრალა. პრესკონფერენციაზე მურთაზ ხურცილავა ვერ ვიხილეთ. როგორც შემდეგ გაირკვა, მწვრთნელს ამის შესახებ არაფერი სცოდნია. დინამოელთა თავკაცებმა დანაკლისის ანაზღაურება გუშინ სცადეს, როდესაც ჟურნალისტები სასუბროდ მიგვიწვიეს.

ჟურნალისტებს „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ, მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ და პრეს-ატაშე მამუკა კვარაცხელიამ გვიმასპინძლა. თავიდან სიტყვა შოთაძემ ითხოვა.

— მიუხედავად დიდი სურვილისა, ჯამარაულის ტრანსფერი ჯერჯერობით არ ხერხდება. თურქებმა რაც მოგვთხოვეს, ყველაფერი შევასრულეთ, იმაზეც თანახმანი ვართ, ცხრა თვის გადაუხდელი ხელფასი ჩვენ გავუსტუმროთ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სოლიდურ თანხაზეა საუბარი, მაგრამ თურქები ახალ-ახალ პირობებს გვიყენებენ. შეგვიძლია ცოტა ხანი დავიცადოთ და შემდეგ ჯამარაული პრობლემების გარეშე გადმოვიყვანოთ, რადგან უეფას კანონით ტრანსფერის ორ თვეზე მეტი ხნით შეჩერება აკრძალულია, მაგრამ გოჩას დახმარება ჩვენ ევროტურნირებზე გვჭირდება. ეროვნული ჩემპიონატისთვის იგი აშკარად გადაზრდილია. თუმცა ბრძოლას არ შევწყვეტთ და მის გადმობირებას კვლავაც ვეცდებით.

ბილბაოსთან მატჩს რაც შეეხება, ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს, მოუგეს გუნდს, რომელსაც ფაქტობრივად მთელი ბასკეთი ეხმარება და მხარში უდგას. მატჩზე თვით ბილბაოს მერი და ბასკეთის სპორტის მინისტრიც ბრძანდებოდნენ. თამაშის წინ ერთი გასაოცარი ფაქტი მოხდა — კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა მოითხოვა ესპანეთის ნაცვლად ან ბასკეთის დროშა ალგვემართა, ან საერთოდ არაფერი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვითამაშებთო. ფიფას დელეგატმა თქვა, მაშინ არც საქართველოს დროშა დაკიდოთო. ჩვენ წინაალმდეგნი წავედით და საბოლოოდ ბასკები ესპანეთის ალმის ქვეშ თამაშზე დავიყოლიეთ.

ეროვნული სტადიონი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ასეთი სტადიონის მქონე გუნდის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უეფას ბუნებრივია, ხელს არ აძლევს. პატარა იმედები კი გვაქვს, თბილისის ახალმა მერმა ვანო ზოდელავამაც ალგვითქვა დახმარება, მაგრამ მარტო ეს, ცხადია, არ კმარა.

„დინამო" — „მრეტების" საქმეს რაც შეეხება, პრესაში გამოქვეყნებულ მასალას არანაირ კომენტარს არ გავუკეთებ. კიდევ მინდა გავიმეორო, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მართლები ვართ, გარდა ამისა, კონტრაქტში არის დარღვევები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრანსფერის დროს საქართველო უეფასა და ფიფაში არ ყოფილა გაწევრიანებული.

ამის შემდეგ სიტყვა მურთაზ ხურცილავამ აიღო. თავდაპირველად ბატონმა მურთაზმა გულახდილად მოგვიბოდიშა, მატჩის შემდგომ თუ პრესკონფერენცია ტარდებოდა, არ ვიცოდი, ჩვენს გასახდელში ცხელი წყალი არ მოდის და ბაზისკენ მიგვეჩქარებოდა, თქმით კი არავის უთქვამსო. შემდეგ კი უშუალოდ მატჩს შეეხო.

— ბიჭების ძალიან კმაყოფილი ვარ. ღირსეულ წინააღმდეგობას რომ გავუწევდით და არ შევრცხვებოდით, ამისი მჯეროდა, მოგების კი არა. ისე, ამგვარი თამაშის შენარჩუნება გაჭირდება, რადგან ჩვენი ჩემპიონატის შემდეგ, ძნელია ევროპულ დონეზე თამაში. 12 აგვისტომდე „ატლეტიკმა" ექვსი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა პსჟ-ს დარ გუნდებთან, ჩვენ კი ამ დროს ჩემპიონატის პირველ ტურში „არსენალს" 5:1 მოვუგეთ. ასე გაგრძელდება მთელი სეზონი, შემდეგ კი ბილბაოსნაირ კლუბებთან გვიწევს პაექრობა.

მეორე ტაიმში შედარებით სუსტი თამაში ბევრმა დაღლილობას დააბრალა, მაგრამ ამ აზრს არ ვეთანხმები. მთელი სეზონის განმავლობაში წინააღმდეგობას ვერ გვიწევენ, სიარულით ვიგებთ მატჩებს, ევროპაში კი უსწრაფეს ფეხბურთს თამაშობენ, გამძლეობაც კი სისწრაფეზეა აგებული. დიდი განსხვავება ჩვენსა და მათ შორის სწორედ სისწრაფეშია. ასე რომ, ქართული ფეხბურთის განვითარება შინაური საფეხბურთო მეურნეობის მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონატის დონე უნდა ამაღლდეს. ასეთ პირობებში „ატლეტიკის" დამარცხება კი დიდი გმირობის ტოლფასია. ამ დროს პრესაში იწერება, რომ „დინამოს" გამარჯვება ბილბაოელთა დაცვის შეცდომების შედეგია. ვინ დააშვებინა მცველებს შეცდომები? პირველი გოლისას ხომერიკმა რომ მეტოქეს ბურთი აართვა, შემდეგ, სამი ჩინებული პასი შესრულდა. გოლიც რთული მდგომარეობიდან გაიტანა. აქედან გამომდინარე, ჩვენების გამარჯვების დაკნინება გაუმართლებლად მიმაჩნია.

ესპანეთში როგორი ტაქტიკით უნდა ვითამაშოთ, კი ვიცი, მაგრამ შესრულება გაგვიჭირდება, რადგან იქ სხვა ატმოსფერო იქნება. გამოუცდელი ბიჭებით ფონს გასვლა ძალიან გართულდება.

საპასუხო შეხვედრაში დიდად დააკლდება გუნდს რატი ალექსიძე, რომელმაც მეორე გაფრთხილება მიიღო და ბილბაოს მატჩს გამოტოვებს. მას კობიაშვილით შევცვლით. ლევანს უეფამ ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. სხვა ცვლილებები ალბათ არ იქნება, რადგან სათანადო რეზერვი არ გაგვაჩნია. მელქაძე, ბესიკ შენგელია და სხვებიც ნიჭიერი ბიჭები კი არიან, მაგრამ „დინამოში" თამაშის პრაქტიკა არ გააჩნიათ.

საპასუხო მატჩისთვის ჩვეულებრივ მოვემზადებით, ჩემპიონატში ორ მატჩს გავმართავთ. ბილბაოში 24 აგვისტოს გავემგზავრებით.

რაც შეეხება შანსებს, კიდევ გავიმეორებ, რომ ლიგაში გასვლა გაგვიძნელდება, ძირითადი მიზანი შევასრულეთ, მეტიც, ფაქტობრივად, შეუძლებელი შევძელით. ბილბაოში რა იქნება, ვერ გეტყვით, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ.

ბოლოს მინდა ისევ ქართული ფეხბურთის მთავარ პრობლემას მივუბრუნდე. ახლავე საჭიროა ძირეული ცვლილებების მოხდენა. პირველ ჯგუფში გუნდების შემცირება აუცილებელია. ისეთ აწყობილ ქვეყნებშია ათგუნდიანი ჩემპიონატები, როგორებიც ავსტრია და შოტლანდიაა. მირჩევნია, „ბათუმს", „ტორპედოს" და სხვებს შევხვდე ოთხჯერ, ვიდრე იმას, ვისაც ჩემპიონატის წინ შეკრება არ გაუვლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნათელი წერტილებიც აღარ გვექნება, რაც ხანდახან ჩანს.

ჩვენ კი ვუერთდებით მერთაზ ხურცილავას ნათქვამს. ამ ბიჭებმა ოთხშაბათს მართლა თავი დადეს და შეუძლებელი შეძლეს. იმ საღამოს ქართველ გულშემატკივარს უდიდესი სიხარული მიანიჭეს და ამის დაუნახაობა და დაუფასებლობა არ ეგების.

**ვანო ოქროპირიძე**

# ბევრი და სამართალი

UEFA Cup Winners' Cup

## თასების თასის საკვალიფიკაციო მატჩების მიმოხილვა

თუ თქვენი რომელიმე მეგობარი ამოიოხრავს და ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებით რაიმეს პესიმისტურს იტყვის, დაუყოვნებლივ ვიტებსკის „ლოკომოტივი" გაახსენეთ. ხომ გაგიგონიათ, კაცმა რაღაცაში ფეხი რომ ჩაყო, მაგრამ ამოთხვრილ ფეხსაცმელს დახედა და გაუხარდა, კიდევ კარგი თიხაში ჩამივვია, ხომ შეიძლებოდა უარესიც ყოფილიყოო. ჩვენც ამ კაცის პრინციპით ვიხელმძღვანელოთ. როდესაც მოგვაგონდება, რომ ამა თუ იმ ქართულ გუნდს მავანმა უცხოელმა დიდი ანგარიშით მოუგო, გავიხსენოთ უფრო მეტად დამარცხებულები და მივხვდებით, რომ ამქვეყნად ჩვენზე გულმოკლული ხალხიც დადის.

თავად განსაჯეთ, ჩვენი „დინამო" შეიძლება „ვლაჟნიასთან" დამარცხდეს, მაგრამ ბილბაოს „ატლეტიკს" მიუგოს, მეორე „დინამო", ბათუმის, ბელგრადში „პარტიზანთან" 0:2-ს აგებს, მაგრამ რა მოხდება საპასუხო შეხვედრაში, კაცმა არ იცის. მათი, სხვა სუსტი ქვეყნების გუნდები კი თუ აგებენ, ესე იგი ვერავის დაამარცხებენ.

აი, ბელარუსის „ლოკომოტივი" ქალაქ ვიტებსკიდან სოფიაში „ლოკომოტივთან" სათამაშოდ ჩავიდა და ისე დამარცხდა, თქვენი მოწონებული — 1:8.

ბულგარეთის დედაქალაქში, „ლოკომოტივის" სტადიონზე სულ 10 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. გეორგი ბორისოვმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. მისმა სეხნია ივანოვმა, ორი გაიტანა, დონჩო დონევმა, მილენ რადუკანომა და ნიკოლაი ტოდოროვმა კი თითო შეაგდეს, თუმცა თამაშის ბოლოს, მე-80 წუთზე მაინც დაწყდათ გული — მოედნიდან კრასიმირ დიმიტროვი გააძევეს. ჰო, მართლა, ვიტებსკელთაგან 49-ე წუთზე ედუარდ დემენკოვიცმა პენალტი გაიტანა.

ბევრი გოლი გავიდა ლუქსემბურგის „გრევენმახერისა" და ბუქარესტის „რაპიდის" შეხვედრაშიც. რუმინელებმა 6:2 გაიმარჯვეს, თან მეორე ტაიმის 18 წუთიან მონაკვეთში გაიტანეს ხუთი გოლი.

დანიურ „კოპენჰაგენს" აზერბაიჯანული „ყარაბაღი" ეწვია. პირველ ტაიმში მასპინძლებმა ისე შეუტიეს, რომ მე-2-დან მე-40 წუთების ჩათვლით სტუმართა კარში ექვსი გოლი შევარდა. ყველას ეგონა, რომ მეორე ტაიმში ანგარიში 10-ს აცდებოდა, მაგრამ აღდამელებმა დაცვა გამოაყოჩაღეს და შეხვედრის ბოლო 50 წუთის განმავლობაში დანიელებს გახარების საშუალება არ მისცეს.

საპირისპირო სურათი იყო ლატვიურ ქალაქ ლიეპაიაში, სადაც იქაური „მეტალურგისა" და ისლანდიური „კეფლავიკის" მატჩში გატანილი ექვსივე გოლი ბოლო 30 წუთისა აღმოჩნდა — „მეტალურგმა" 4:2 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში როლანდს ბულდერსმა ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ექვსგოლიანი გახლდათ ალბანეთის დედაქალაქში, ტირანაში გამართული შეხვედრაც. მართალია მასპინძელმა „აპოლონია ფიერმა" 25-ე წუთზე ანგარიში გახსნა, მაგრამ მეტოქემ, ბელგიურმა „გენკმა" ხუთი გოლით უპასუხა.

ექვსჯერ კიდევ ერთი სტადიონის კარები შეწუხდა. ეს შვეიცარიაში მოხდა, სადაც „ლოზანამ" 5:1 აჯობა სომხურ „ცემენტ არარატს". ლოზანელთაგან ოთხი გოლის ავტორი გახლდათ შვეიცარიის ნაკრების წევრი ფაბიო სალესტინი. მის მონაგარს თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ერთი ვინსენტ სავინმა დაამატა, ხოლო სტუმრების გოლი ტიგრან ჰოვანესიანმა შეაგდო.

შოტლანდიური „ჰართსი" ტალინში ეწვია ესტონურ „ლანტანას". ამ შეხვედრაში ხუთშაბათის მატჩებისათვის უჩვეულოდ ცოტა, ერთი გოლი გავიდა. იგი 21-ე წუთზე ლი მაკელმა გაიტანა. ეს მაკელი ედინბურგის კლუბში ინგლისური „ჰადერსფილდიდანაა" 105 ათას დოლარად გადასული.

მესამე ბალტიისპირული ქვეყნის, ლიტვის გუნდი „ეკრანასი" კვიპროსის „აპოლონს" მასპინძლობდა. თამაში სტუმრების გამარჯვებით 2:1 დამთავრდა. ასე რომ, ორი კვირის მერე ლიტველებს კვიპროსზე ხმელთაშუა ზღვაში საბანაოდ არ ეცლებათ.

ისე, ნეტა ვერც ბელგრადის „პარტიზანმა" უნდა გაილაღოს ბათუმის პლაჟზე ნავარდით.

**ბაბუნა ძიძია**



კორკ სიტი — ცსკა. კიეველი ვიქტორ ლეონენკო (10) კორკელთა დაცვას ებრძვის

### თასების თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 13 აგვისტო

Cup Winners' Cup

ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) 0:2
რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2:0
ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) 5:1
კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) 2:1
ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) 1:2
აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) 1:5
ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) 0:2
ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) 8:1
ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) 4:2
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) 2:6
ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) 0:1
ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) 4:0
გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) 1:3
გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:1
ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 0:1
კოპენჰაგენი (დანია) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი) 6:0

გიო ახვლედიანის



სვეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რით გვჯობიან ბასკები?

რაც ბასკონიას ლეგენდარული და დიადი ჰქონია, ყველაფერი წარსულში ყოფილა. დღეს ამათ მოწინავე გუნდს დარჩენია საშუალო, მებრძოლი სულის ევროპული გუნდის ყველა ცნობილი თვისება ერთი განსხვავებით. კვლავაც ბილბაოს „ატლეტიკო", ჯიუტად უარყოფს ლეგიონერთა აუცილებლობას თავის რიგებში. ალბათ, სწორედ ეს არის ის, რაც ამ გუნდს ფერ-ხორცს აძლევს. საქართველოში არ არსებობს ასეთი მორალური კოდექსი, თუმცა, ლეგიონერი არც ჩვენს გუნდს ჰყავს.

იმ ოთხშაბათ საღამოს „დინამო" — „ატლეტიკის" წყვილი, ალბათ, ერთადერთი იყო ევროპულ წყვილებში, უცხოელი რომ არ ჰყავდა მოედანზე.

ბასკთათვის ფეხბურთი სულაც არ ყოფილა მთავარიო, იფიქრებს კაცი. მათთვის ყოფილა ბასკეთი და ბასკი კაცის მცდელობა ჯიუტად ამტკიცოს, რომ მთავარი მისთვის არის სწორედ რომ ბასკთა ფეხბურთით წარმატება და არა უბრალოდ „ატლეტიკისა". ბასკებმა მოახერხეს იმდენი, რომ ჩემპიონთა ლიგის ზღურბლთან მივიდნენ. ეს მათ მოახერხეს ესპანეთის მარათონულ ჩემპიონატში, სადაც „ბარსელონასაც" ჩამორჩნენ.

„დინამოსთან" თამაშის წინ ეს მეტყველი რამ იყო. „ატლეტიკო" ურჯუკო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა და საბოლოოდ ასეც გამოდგა. თუმცა, აქ იყო ერთი „მაგრამ". მათი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი ხელმძღვანელობდა „დინამო" — „ვლაჟნიას" ვიდეოჩანაწერებით და ამ მეტიჩარა და ექსპანსიურ კაცსაც, ალბათ, მეტი არ უნდოდა, იფიქრა საომარი ბევრი არაფერია, მთავარია ჩვენი საშუალოევროპული დონე დავიჭიროთ და გული საგულეს გვექნებაო. მაგრამ ფერნანდესი ანერვიულეს.

თბილისის „დინამომ" მოახერხა და შეძლო ეთამაშა თავისი ახალი ისტორიის საუკეთესო პირველი ტაიმი. ასეთი იმედიანი და ამაყი შეგრძნება ჩვენს სტადიონზე კარგა ხანია არ ყოფილა, თუმცა, იმას ვერავინ უარყოფს, რომ მოწინავე ქართული კლუბები ჯერ კიდევ ჩამოუვარდებიან საშუალო ან საშუალოზე ცოტათი დაბალ ევროპულ კლუბებს. თბილისელებმა თავი დადეს, მაგრამ მეორე ტაიმი პირწმინდად წააგეს და ახლა ბილბაოში ძალიან რთული შეხვედრა ელით. თუ, რა თქმა უნდა, ამ საპასუხო მატჩს ისე არ მიუდგნენ, როგორც, „ტიროლს", „ბოავიშტასა" და „ბრაგას". ისე, ესეც „დინამოს" ბედია, როცა კი პირველი შეხვედრა შინ აქვთ, გასვლით თამაშში ჩაფლავდება ხოლმე. მაგრამ „დინამოელებმა" საოცარი ჟინი გამოამჟღავნეს პირველ ტაიმში, შორიახლოს კი, როგორც აღვნიშნეთ, ჩემპიონთა ლიგის ზღურბლია.

ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ მოხვედრილა დინამოსნაირი გუნდი, მაგრამ დინამოსნაირ გუნდს ლიგაში მოხვედრა იქ გარდაუვალი მარცხის მიუხედავად, სახელს დაუგდებს და წელშიაც გამართავს. აი, ეს არის გულსატკენი და საჯავრო განმეორებითი მატჩის წინ. თორემ ბილბაოელები რომ შტურმს გაგვიმართავენ, ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს. დღევანდელ „დინამოს" რომ ოთხ პოზიციაზე ჰყავდეს ოთხი კარგი ფეხბურთელი და მეორე ტაიმში რომ შეეძლოს სირბილი და თამაშის იერსახის შენარჩუნება, „ატლეტიკს" კი არა, ბევრ სხვასაც გააწვალებდა. იმ პირველი ტაიმის შემდეგ კი აბა რა გამოვიდა? 47-ე წუთზე სტუმრებმა ერთი საპასუხო შეაგდეს და ჩვენთვის თამაში მოკვდა. არადა, ის პირველი ტაიმი გვახსენებდა ძველ და სახელოვან დროს.

ლიგაში მოსახვედრად გუნდები თავს იკლავენ. წელს თბილისის „დინამო" სწორედ ასე იქცევა და რაც შეუძლია, იმას აკეთებს. რა ვქნათ? ჩვენი საკლუბო ფეხბურთი რამდენიმე კილომეტრით უკანაა ევროპულზე, მაგრამ ევროტურნირის ყოველი მატჩისას იგრძნობა, რომ საქართველოს გამორჩეულად ნიჭიერი მოთამაშენი ჰყავს. ცოტაც და ჩვენ შევძლებთ...

ეს „ცოტაც და" კი გულისხმობს ქართველ ფეხბურთელთა თანამედროვე საფეხბურთო სისტემაში მოქცევას. რამდენად მიემართება ჩვენი ფეხბურთი ამისკენ, ძნელი სათქმელია. ბასკები სწორედ ამით გვჯობიან, მეტით არაფრით.

# ოლაფ ტონი: გერმანიამ სტილი უნდა შეცვალოს!

გერმანიის ნაკრების არცთუ დამაჯერებელ გამოსვლას მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატზე ამ ქვეყანაში დღემდე ვერ ივიწყებენ. კრიტიკულ შენიშვნებს ბოლო არ უჩანს და ეროვნული გუნდის მიმართ უკმაყოფილებებით სავსე წერილების ნაკადს, ეტყობა, ვერც კარზე მომდგარი ბუნდესლიგის ახალი გათამაშება შეაჩერებს.

ამ დღეებში გერმანული ფეხბურთის ვეტერანმა, ლიბერო ოლაფ ტონმა ბერლინის გაზეთ „ტაგეცაიტუნგს“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბერტი ფოგტსისა და მისი ტაქტიკის ნაკლოვანებებზე ისაუბრა.

— გერმანიის უმთავრესმა გუნდმა სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ტაქტიკა. ფეხბურთი, რომელსაც დღესდღეობით ვთამაშობთ, არ არის იმ დონის, მსოფლიოს მოწინავე ნაკრებებს შორის ღირსეულად დამკვიდრების საშუალება რომ მოგვცეს. ჩვენი მოთამაშეები უმარტივესად ირჯებიან. მათთვის მთავარია, ბურთი მილებისთანავე წინ გადაგზავნონ იმ იმედით, რომ იქ ვინმე იმარჯვებს და მეტოქის კარს დალაშქრავს.

ასე ხომ დღეს აღარავინ თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, საუკეთესო გუნდები მაინც. თუ ჩვენ ელიტაში დარჩენა გვსურს, დაუყოვნებლივ ძირეული ცვლილებები უნდა მოვიმველიოთ — აცხადებს 32 წლის „შალკე 04“-ის მცველი.

მოგეხსენებათ, საკმაოდ გადაბერებული გერმანიის ნაკრები საფრანგეთში მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც ხორვატებისგან სამარცხვინო მარცხი 0:3 იგემა. ტონის აღშფოთება კი იმან გამოიწვია, რომ ფოგტსის მეთაურობით ეს მეორე მსოფლიოს პირველობა გახლდათ, რომელზეც გერმანელებმა საუკეთესო ოთხეულში გასვლა ვერ მოახერხეს.

არადა, ეს ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურად ითვლება. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ გერმანელები დღემდე გამართული თექვსმეტი მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამჯერ პირველები იყვნენ, ხოლო ორჯერ ფინალში ასპარეზობდნენ და სანუკვარ მიზნამდე სულ ცოტა დააკლდათ.

ესეც რომ არ იყოს, ტონს პირადი უთანხმოებაც ჰქონდა მთავარ მწვრთნელთან. გახსოვთ, ალბათ, ჩემპიონატის დაწყებამდე, როცა საბოლოოდ გაირკვა, ზამერი დაშავებულია და საფრანგეთში წასვლას ვერ შეძლებსო, ფოგტსი მეტად საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა. ვისთვის მიენდო ნაკრებში ლიბეროს ადგილი? მათეუსი თუ ტონი? — ეს კითხვები არ შორდებოდა გერმანული პრესის ფურცლებს, მანამ, სანამ ბერტიმ საბოლოოდ არ გადაწყვიტა უპირატესობა „შალკე 04“-ის ფეხბურთელისთვის მიენიჭებინა.

თუმცა... დაიწყო ჩემპიონატი და პირველ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ტონი ძირითადად სათადარიგოთა შორის იჯდა, ხოლო მოედანზე მათეუსი გადიოდა და არცთუ ურიგო შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. მოკლედ, ტონი ნაკრების ხელმძღვანელის საქციელმა l. შინლად გააცხარა, იგი დაუფარავად გააკრიტიკა და ცხელ გულზე ისიც განაცხადა, საერთაშორისო დონეზე ასპარეზობას საერთოდ თავს ვანებებ და ეროვნულ გუნდში ამიერიდან ჩემი ფეხი არ იქნებაო.

— თუ ფოგტსს კარგი გუნდის შექმნა სურს, უჯობს, ჰოლანდიელების მაგალითს მიბაძოს. ტიტების ქვეყნის ნაკრებმა ხომ საფრანგეთში უაღრესად გააზრებული, ორგანიზებული ფეხბურთი აჩვენა. გამოგიტყდებით, ეს ის თამაში იყო, რომლის ხილვასაც ჩემი გუნდის შესრულებით ვისურვებდი. ახლა კი რა ხდება? ტექნიკური გარჯის ნაცვლად გერმანიაში ყველა ცდილობს, ბურთი წინ გაიგდოს, უკან მისდიოს და გზად გადაყრილ მცველებს ნებისმიერი გზით გაუსწორდეს.

ვფიქრობ, ასე არაფერი გამოგვივა. ჩვენ ბურთით თამაშის გაუმჯობესებასა და ტექნიკური ფეხბურთელების გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ, ფეხბურთელებისა, რომლებიც მეტოქეს თამაშ-თამაშით აჯობებენ და არა ძიძგილაობითა და ალმა-დალმა სირბილით“ — ასეთი გახლავთ გულნატკენი ოლაფ ტონის ნააზრევი.

**ირაკლი ხმელიძე**



გახსოვთ თომას ბროლინი?

# დრო იყო ბრწყინვალე და უდარდელი

შვედ გულშემატკივარს სხვა გზა არ აქვს. იგი უნდა შეეგუოს აზრს, რომ მისი საყვარელი მოთამაშე თომას ბროლინი მოედანზე აღარ გავა — ფორვარდმა ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

დიახ, შესაძლოა ბროლინი ევროპაში მიავიწყდეთ, მაგრამ იქ, სამშობლოში მისი დავიწყება გამორიცხულია. ჰკითხეთ ნებისმიერ შვედს, ვისაც ფეხბურთი უყვარს და პასუხად მიიღებთ: ბროლინი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია.

მართლაც, შვედური ფეხბურთის ოთხმოცდაათიანი წლების აღმავლობა მჭიდროდაა დაკავშირებული თომას ბროლინის სახელთან. ეს იყო 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა თუ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილი, სწორედ ბროლინი გახლდათ ყვითელმაისურიან გუნდში უმთავრესი ვარსკვლავი. მან 43-ჯერ მოირგო ეროვნული მაისური და ამ 43 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში თომას ბროლინმა დიდი როლი ითამაშა იტალიური „პარმას“ აღზევებაშიც. ბროლინისდროინდელმა „პარმამ“ 1993 წელს თასების თასი მოიპოვა.

მაგრამ, 1995 წლიდან შვედი ვარსკვლავის კარიერა დაღმა დაეშვა. ეს მის ინგლისურ „ლიდს იუნეიტედსა“ და შემდგომ „კრისტალ პალასში“ გადასვლასთან იყო დაკავშირებული. ინგლისში ბროლინი უპირატესად მწვრთნელებთან ჩხუბით გახლდათ გართული. გარდა ამისა იგი ტრავმებმაც გააწვალეს. აქედან გამომდინარე მისი თამაში სულ უფრო და უფრო უფერული ხდებოდა.

და აი, ამ კვირაში შვედური ფეხბურთის 28 წლის გმირს დაემშვიდობნენ. „ჩვენი ფეხბურთი ბროლინის სიმაღლეზე ვეღარასდროს ავა“ — წერდა მესვეტე მატს ოლსონი გაზეთ „ექსპრესენში“, რომელმაც საყვარელ მოთამაშეს რვა გვერდი მიუძღვნა — „დიდი მადლობა თომას. ჩვენ არასდროს დავივიწყებთ, რომ შვედეთის ნაკრები 1990-იან წლებში მსოფლიოში მესამე გუნდი გახდა“.

— პროფესიულ ფეხბურთში დარჩენის ინტერესი აღარ მაქვს. ყოველგვარი სიამოვნება უკვალოდ გაქრა, თანაც ისეთ ფორმაში, 1994 წელს რომ ვიყავი, ვეღარასდროს შევალ — განუცხადა ბროლინმა რეპორტიორებს.

მაშ, რა უნდა აკეთოს 1994 წლის ევროპის მესამე ფეხბურთელმა ცხოვრებაში? იგი მთელი ყურადღების ბიზნესში გადატანას აპირებს. აკი უკვე კარგა ხანია გამოდის მამაკაცის ფეხსაცმელი, რომელსაც ეტიკეტზე მისი სახელი ამშვენებს. მაშ, მარკეტინგი ყოფილა შვედი ვარსკვლავის მოღვაწეობის სფერო.

ბროლინი არც თავის ჰობის დაივიწყებს, ჰობი კი ცხენოსნობა და გოლფის თამაში გახლავთ.

— ფული იმდენი მაქვს, შემიძლია თითი თითზე არ დავადო და მთელი ცხოვრება უზრუნველად გავატარო, მაგრამ ასეთი კატეგორიის ხალხს არ განვეკუთვნები — ამბობს ბროლინი და არც ერთგულ ქომაგთა მადლობა ავიწყდება — მსურს დიდი მადლობა ვუძღვნა ყველას, ვინც ჩემი კარიერის პირველი დღიდან კარგი და ცუდი პერიოდების განმავლობაში მხარში მედგა.

გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ მესვეტე სუნე სილვენი წერს, რომ ბროლინის ფეხბურთიდან წასვლა სულაც არაა გასაკვირი.

„ბოლო წლებში გამართულ პრესკონფერენციებზე ბროლინს აშკარად ეტყობოდა, რომ თამაშისთვის თავის დანებებას აპირებდა. იგი სულ იღიმებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ სტიმული აღარ ჰქონდა. მის ოპტიმისტურ საუბრებს სევდიანი თვალები ამძიმებდა“.

თომას ბროლინი შუა შვედეთის ერთ-ერთ სოფელში დაბადებულ-გაზრდილი კაცია. თავიდან „ნორჩიოპინგში“ თამაშობდა, მაგრამ 1990 წელს, როდესაც ეროვნულ გუნდში პირველი თამაში ჩაატარა, მისი ნიჭი იტალიური „პარმას“ მზვერავებმა შენიშნეს და იმავე წელიწადს გადაიბირეს ახალგაზრდა თავდამსხმელი.

ბროლინი სწრაფად აუმჯობესებდა თამაშს და ევროპული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ის ძალიან მალე გახდა პოპულარული. შვედურ ჟურნალ-გაზეთებში ბროლინის და მავან სუპერმოდელ ქალთა ფოტო ჩვეულებრივ ამბად იქცა. ქვეყნის მომავალმა დედოფალმა პრინცესა ვიქტორიამ კი შენიშნა, რომ სხვადასხვა წვეულებებზე ვარსკვლავი ძალიან ბევრს სვამდა.

მერე კი დადგა 1995 წელი და „პარმამ“ თომასი 7,32 მილიონ დოლარად ინგლისურ „ლიდს იუნაიტედს“ მიჰყიდა. „ელანდ როუდზე“ ბროლინი დაღლილი და ტრავმირებული მივიდა და ჯერ ერთ მწვრთნელთან, ჰოვარდ უილკინსონთან მოუვიდა კონფლიქტი, მერე კი მის შემცვლელთან, ჯორჯ გრემთან.

„ლიდსმა“ გამოსავლად ბროლინის შვეიცარიული „ციურიხისთვის“ თხოვება მოძებნა. შემდეგ, ერთიხანობა ბროლინმა „პარმაში“ დაბრუნებაც გადაწყვიტა, მაგრამ ორივე მოგზაურობამ ცხადჰყო, რომ ფორვარდის ბრწყინვალების დრო ისტორიის სტომაქში იყლაპებოდა.

ამა წლის იანვარში შვედური ფეხბურთის უდიდესმა ვარსკვლავმა ისევ ინგლისურ პრემიერლიგას, კერძოდ კი „კრისტალ პალასს“ მიაშურა, თუმცა... არა, ბროლინი უკვე საკუთარი თავის აჩრდილად იყო ქცეული.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშის მერე ერთ-ერთ გაზეთში ეწერა, ბროლინი იმ მანქანას ჰგავს ორმხრივ მოძრაობას რომ ხერგავსო.

**მიხეილ სურგულაძე**

# (საკ)მარისია!

იტალიელი სპეციალისტის, არიგო საკის განცხადებით, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, ანუ 1999-2000 წლების სეზონში, იგი ფეხბურთიდან წავა. ამის შესახებ წარსულში იტალიის ნაკრებისა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „მილანის“ თავკაცმა ჟურნალისტებს ხუთშაბათს ამცნო, როდესაც მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „დეპორტივო ლა კორუნიას“ სეზონისწინა ამხანაგური მატჩი ახალდასრულებული იყო. „აქ კიდევ ორ წელს გავჩერდები, მერე კი ოჯახთან ერთად დავისვენებ. ვფიქრობ, ეს დავიმსახურე“ — აღნიშნა არიგო საკიმ.



## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** თავდამსხმელი, როლფ პრაგერი, რომლის კლუბი „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგაში წლეულს გადავიდა, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გუნდის დატოვებას აპირებს. პრაგერმა შარშან მშვენივრად იასპარეზა, 13 გოლის გატანა მოახერხა და „ვოლფსბურგს“ უმაღლეს ლიგაში აღზევებაში ძლიერ დაეხმარა. 26 წლის ფორვარდს კლუბთან სეზონის ბოლომდე აკავშირებს კონტრაქტი, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მასთან საერთო ენას გამონახავს და სამი წლით გაუგრძელებს ხელშეკრულებას. „ვოლფსბურგი“ თავის პირველ ბუნდესლიგურ შეხვედრას დღეს გამართავს გერმანიის ვიცე-ჩემპიონ, თასისა და ლიგის თასის მფლობელ მიუნხენის „ბაიერნთან“.

**ინგლისური** „ლესტერ სიტის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თასების თასის მფლობელ ლონდონის „ჩელსიდან“ მცველი, ფრენკ სინკლერი გადაიბირა. სატრანსფერო თანხამ 2 მილიონი გირვანქა (3,26 მილიონი დოლარი) შეადგინა, რაც კლუბის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. იამაიკის ნაკრების ფეხბურთელმა, რომელიც საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა, ლესტერში გადაბარგება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელმა, წარსულში იტალიის ნაკრების ფორვარდმა, ჯანლუკა ვიალიმ „მილანიდან“ ფრანგი მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი მარსელ დესაი, ხოლო „ბარსელონადან“ ალბერტ ფერერი შეიძინა. 25 წლის სინკლერს „ჩელსის“ შემადგენლობაში (ახალგაზრდული გუნდის ჩათვლით) 170 მატჩი ჩაუტარებია. აქამდე „ლესტერ სიტის“ ყველაზე ძვირფასი შენაძენი მეტ ელიოტი იყო. იგი ამ კლუბში „ოქსფორდიდან“ 1,6 მილიონ გირვანქად (2,60 მილიონი დოლარი) გადავიდა.

**ავსტრალიის** ნაკრების მეკარემ, ზელიკო კალაცმა ჰოლანდიურ „როდასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა — განაცხადა მისი ყოფილი კლუბის „სიდნეი იუნაიტედის“ პრესატაშემ. 26 წლის კალაცმა ნაკრების შემადგენლობაში 29 შეხვედრა გამართა და გუნდის პირველი გოლკიპერის, მარკ ბოსნიჩის ძირითად კონკურენტად ითვლება. „სიდნეი იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა, დევიდ მიჩელმა თავისი ყოფილი ფეხბურთელის საქებრად სიტყვები არ დაიშურა: „იგი უნიჭიერესი, უმაღლესი დონის მეკარეა. კარგია, რომ ზელიკო უკეთეს გუნდში გადავიდა, იქ იგი უფრო დაიხვეწება და საშუალება ექნება, მსოფლიოს წამყვანი კლუბების სახელით იასპარეზოს“.

**ხორვატიის** ნაკრების მარჯვენა მცველი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი, რობერტ იარნი პრემიერლიგურ „ქოვენთრი სიტიში“ გადასვლას აღარ აპირებს — განაცხადა გუშინ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა. არადა, რამდენიმე დღის წინ „ქოვენთრის“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ დაასრულეს მოლაპარაკება ესპანურ „ბეტისთან“ და სატრანსფერო თანხაც კი დაასახელეს — 2,6 მილიონი გირვანქა (4,24 მილიონი დოლარი). თუმცა, მიუხედავად ამისა, იარნის აგენტმა, ზორან ვეკიჩმა თქვა, რომ ფეხბურთელმა „ქოვენთრის“ ოფისში გააგზავნა ფაქსი, რომელშიც ინგლისელებს უარი შეუთვალა. ვეკიჩი იარნის შეძენის ყველაზე რეალურ კანდიდატად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ მადრიდის „რეალს“ ასახელებს. „ქოვენთრიმ“ საბოლოოდ მიიღო უარი, ამის შესახებ ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ვაცნობეთ. დარწმუნებული ვარ, იარნი თავის კარიერას უფრო სახელოვან კლუბ, მადრიდის „რეალში“ გააგრძელებს“ — აღნიშნა ვეკიჩმა. ბრიტანულ პრესას თუ დავუჯერებთ, იარნის გადაწყვეტილება უმთავრესად მისმა მეუღლემ განაპირობა, რომელსაც, თურმე, სასტიკად არ სურს ესპანეთიდან ინგლისში საცხოვრებლად გადასვლა.

**ინგლისური** „ჩელსის“ ახალწვეულმა, მსოფლიოს ჩემპიონმა მარსელ დესაიმ განაცხადა, რომ გუნდში ძალიან ბევრმა ახალმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი და მათ ურთიერთშეთამაშებისთვის საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებათ. 4,6 მილიონ გირვანქად (7,49 მილიონი დოლარი) იტალიური „მილანიდან“ გადაბირებული მცველის გარდა, ლონდონელთა ღირსებას წლეულს დაიცავენ შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ თავდამსხმელი, დანიის ნაკრების ლიდერი, ბრაიან ლაუდრუპი, იტალიის ნაკრებისა და რომის „ლაციოს“ ფორვარდი, პიერლუიჯი კაზირაგი და ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ მცველი, ალბერტ ფერერი. ამ ფეხბურთელების შეძენა, დესაის ჩათვლით, ვიალის 12 მილიონი გირვანქა დაუჯდა. „ეს მოთამაშეები ინდივიდუალურად, თავიანთ პოზიციებზე უძლიერესნი არიან, მაგრამ მათი ერთ მუშტად შეკვრა გარკვეულწილად პრობლემაა, ამას საკმაო დრო დასჭირდება. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ჩვენ პროფესიონალები ვართ და ამ ბარიერს სულ მალე გადავლახავთ“ — აღნიშნა მარსელ დესაიმ. „ჩელსი“ პრემიერლიგური სეზონის გახსნით მატჩში, დღეს „ქოვენთრის“ შეხვდება.

**კონკაკაფის** ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ მატჩებში ერთბაშად ორი მექსიკური კლუბი მიიღებს მონაწილეობას — „ტოლუკა“ და „ლეონი“. ეს უკანასკნელი ამ ეტაპზე აშშ-ის ორგზის ჩემპიონ „დი სი იუნაიტედს“ შეხვდება, ხოლო „ტოლუკას“ კოსტარიკულ „საპრისასთან“ მოუწევს ურთიერთობების გარკვევა.

**ხორვატიის** ნაკრებისა და ესპანური „ვალენსიას“ თავდამსხმელი, გორან ვლაოვიჩი მომავალ კვირაში ოპერაციას გაიკეთებს და თავის გუნდს ესპანეთის ჩემპიონატში პირველი ორი თვის განმავლობაში ვეღარ დაეხმარება. მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა ტრავმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში მიიღო, მაგრამ გადაწყვიტა, ოპერაცია მხოლოდ საფრანგეთი 98-ის დასრულების შემდეგ გაეკეთებინა. „შემიძლია ქირურგები საერთოდ არ ჩავრიო საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი ცხოვრება ჩემი შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტს გამოვავლენ. ამიტომაც მირჩევნია, ოპერაცია დროზე გავიკეთო და ორი თვის შემდეგ სრული ძალებით გავაგრძელო თამაში“ — განაცხადა ვლაოვიჩმა. ესპანეთის ჩემპიონატი 30 აგვისტოს იწყება.

**ჰოლანდიის** სასამართლომ დააკმაყოფილა როტერდამის „ფეიენოორდის“ მოთხოვნა კლუბის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალის ნიკოლ ედელენბოს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. არა, ამ ქალს არც ფული მოუპარავს და არც გუნდის საიდუმლოება მიუყიდია მეტოქისთვის, უბრალოდ, სიყვარულმა დააბრმავა და... „აიაქსის“ ფინანსური დირექტორი მარტენ ოლდენოფი ჩაუვარდა გულში. ეს კი „სამართლიანად“ ვერ აიტანა „ფეიენოორდის“ ხელმძღვანელობამ. თუმცა სასამართლომ კლუბს 105 000 დოლარის კომპენსაციის გადახდაც დააკისრა. ეს თანხა კი იმის ნახევარიც არაა, რასაც ახალგაზრდა ქალი ითხოვდა.

**გერმანიის** ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა აშკარად გუნდის განახლებას მიჰყო ხელი, კერძოდ მან განაცხადა, რომ აღარ მიიწვევს ვეტერან ლოთარ მათეუსს, სანაცვლოდ კი 1994 წლის მერე შერისხულ შტეფან ეფენბერგს დაიბრუნებს. „მას შეუძლია ჩვენი გუნდის წამყვანი ფიგურა გახდეს, მწამს, ასეც იქნება“ — ბრძანა ბუნდესმწვრთნელმა.

**ინგლისური** „არსენალის“ ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარდა ბრაზილიელი რონალდოს თავის გუნდში გადასაყვანად, ამას რაიმე აზრი რომ ჰქონდეს. „ჩვენი სტადიონის ოთხივე ტრიბუნა რომ გავყიდოთ, მის შესაძენ ფულს მაინც ვერ შევაგროვებთ. არც მინდა, აგერ ანელკა გვყავს და ეჭვი არ მეპარება იგი არანაკლებ კარგად ითამაშებს.“ — თქვა ვენგერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოლ გესქოინი: არავის ვუნდივარ!

# მარტო, ვით ლირი

*პოლ გესქოინი მართლაც გამორჩეულია თანამედროვე ფეხბურთში. ეს საუცხოო მოთამაშე იმდენად არაორდინალური პიროვნება გახლავთ, რომ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოვლენას, სკანდალსა თუ აურზაურს გულშემატკივრები განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს.*

*ვიცით, რომ გაზას თაყვანისმცემლები საქართველოშიც მრავლად ჰყავს, ამიტომ გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ინტერვიუ, რომელიც ინგლისელთა კერპმა გაზეთ „თაიმზის“ კორესპონდენტ დენი ბეიკერს მისცა.*

**— პოლ, გიფიქრიათ ოდესმე, რომ ფეხბურთელი გახდებოდით?**

— დიახ. ამაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვოცნებობდი. უფრო იმიტომ, რომ ჩემი აზრით, სხვა საქმის კეთება არ შემიძლია. ვერაფეში გამომიყენებს კაცი.

**— იცით, ჩვეულებრივი ხალხი პირიქით ფიქრობს ხოლმე.**

— მართლა? ვხვდები, ვხვდები, რასაც გულისხმობთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონობის მოგება არ არის თქვენი ოცნება?**

— ... დიახ, რა თქმა უნდა.

*აქ გესქოინი ღრმად ჩაფიქრდა. ოდნავი პაუზის შემდეგ კი.*

— გეტყვით, ჩემი ნამდვილი ოცნება რაც არის.

**— მიდით...**

— არა, არ ვხუმრობ. მართლა, ჩემი ნომერ პირველი ოცნება, რომლის ახდენაც. ალბათ, უბედნიერეს ადამიანად მაქცევს...

**— გელოდებით.**

— ძალიან მინდა, მფრინავი თეფში და უცხოპლანეტელები ვნახო.

**— გეყოფათ, პოლ, ალბათ, ხუმრობთ, არა?**

— არა, სრულიად სერიოზულად მოგახსენებთ. მათ შესახებ უამრავი წიგნი თუ სამეცნიერო ჟურნალი წამიკითხავს. მაქვს ვიდეოკასეტებიც და საერთოდ, ყველანაირ ინფორმაციას ვაგროვებ უცხოპლანეტელებზე. ღრმად მწამს, რომ ისინი არსებობენ, ხანდახან დედამიწაზეც ჩამოდიან და ადამიანები რამდენიმე საათით თავისთან მიჰყავთ. არ გინდათ, ნუ მიყურებთ ასეთი გაკვირვებული თვალებით, აზრს მაინც არ შევიცვლი. უცხოპლატელების არსებობა დამტკიცებულია და მათ სულ მალე შევხვდები. აი, ნახავთ.

**— გამიგონია, მუჰამედ ალი მათ პირადად იცნობდაო.**

— სრული სიმართლეა.

**— კარგი, სხვა რამეზე ვისაუბროთ. წლეულს, ალბათ, უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელზე მოხვედრაც შეგიძლიათ. ვგონებ, თქვენი საფეხბურთო კარიერა თითქმის დასასრულს მიუახლოვდა. და მაინც — კიდევ აპირებთ მწვანე მინდორზე გასვლას?**

— იცით, ფეხბურთში კიდევ დიდხანს დარჩენაზე ფიქრი თავზარს მცემს. ამის გაგონებაც არ მინდა.

**— მე კი მგონია, რომ ფეხბურთს ვერ შეელევით.**

— დიახ, ასეა. მწვრთნელობაზე ვოცნებობ. ვიცი, ბევრი ამას არასერიოზულად აღიქვამს. შეიძლება ისიც თქვან, რომ სრულ ჭკუაზე არ ვარ, მაგრამ... ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად გონიერი ხარ. თუ ისეთ მოთამაშეებს შემოიკრებ, რომლებიც შენს მითითებებს ზედმიწევნით ასრულებენ და არც თავგამოდებით ვარჯიში ეზარებათ, ჩათვალე, რომ საქმის სამი მეოთხედი გაკეთებულია. თუ მწვრთნელად დამნიშნეს, პირველი, რასაც მოვიმოქმედებ, ფეხბურთელების ნახვა და მათი მზადყოფნის შემოწმება იქნება. მერე კი ვარჯიში, ვარჯიში და კიდევ ვარჯიში.

**— და ეს ყველაფერი სად?**

— ჯერ არ ვიცი.

**— „გრიმსბი“ ავიღოთ. ბედნიერი იქნებოდით, თუ ასეთი პატარა კლუბის თავკაცად მიგიწვევდნენ?**

— „გრიმსბის“ თავისუფლად გავწვრთნიდი, უპრობლემოდ.

**— „ლინკოლნს“?**

— ოო, აი, „ლინკოლნის“ დარ კლუბებში შეიძლება ოდნავ გამჭირვებოდა.

**— ახლავე, ამ წუთიდან თუ გადადგამდით ამ ნაბიჯს? დავუშვათ, უცხოპლანეტელები ჩამოვიდნენ და ყველა ინგლისური გუნდის მთავარი მწვრთნელი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თქვენ კი ეროვნული ნაკრების უფროსობა შემოგთავაზეს. რას იზამდით? გაუძლვებოდით ამ მძიმე საქმეს?**

— რაა? კარგით, რა... მშვენივრად ვიცი, რომ ჯერ კიდევ უამრავი რამ უნდა ვისწავლო, მაგრამ ჩემზე კარგად ინგლისის ნაკრების ფეხბურთელების სათანადოდ დამოძღვრას ვერავინ შეძლებდა. არა, ამას მართლაც იოლად შევძლებდი.

**— რას იტყოდით, ნაკრებში თქვენს ქვეშევდრომთაგან რომელიმე სიგარეტის მოწევაში რომ გემხილათ?**

— (გულიანად იცინის) დროზე ჩააქრე, ძმაო.

**— ნაკრების მწვრთნელობა თავისთავად ნიშნავს, რომ პატარა ბიჭი აღარ ხარ. საკუთარ თავს მოზრდილ მამაკაცად თუ მიიჩნევთ?**

— არა! მე მუდამ ახალგაზრდა ვიქნები.

**— კი მაგრამ, როგორ?**

— (თავს აქნევს და დაჟინებით მიშტერებია ერთ წერტილს) არ შემიძლია სიბერეზე ვიფიქრო. არადა, უკვე კარგა ხანია ზრდასრული კაცის ცხოვრებით ვცხოვრობ.

**— ?..**

— ჰო, ასეა. ბებერივით ვცხოვრობ. არც სხვადასხვა თავყრილობებზე დავდივარ და აღარც ღამის კლუბებში. ერთადერთი, პაბებში სიარული მიყვარს და იქაც მთელ საღამოს დარტსის ანაც დომინოს თამაშში ვატარებ. ის კი არა, ყველაფერი, რაც ბოლო წლებში შევიძინე, მაჯის საათი და თანამედროვე ავტომობილია, ტანსაცმელი კი... მოიცა, ვნახო... უახლოესი შენაძენი აი, ეს პერანგია და იცით, როდის ვიყიდე? რვა წლის წინ. რვა წლის...

**— მეგონა, კარგად ჩაცმა გიყვარდათ...**

— კი, მაგრამ ეს წარსულში იყო. ახლა უფრო კომფორტულად მინდა ვიცხოვრო. საერთოდ, ტანსაცმელს ჩემი მეუღლე შერილი მყიდულობს ხოლმე, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ, ალბათ, 15 ათასი გირვანქის ღირებულების ახალთახალი ტანსაცმელი ხელუხლებლად, თავისი იარლიყებით მიდევს კარადაში.

**— თქვენს ბინაში უშველებელი ტელესკოპი ვნახე, რად გინდათ, მფრინავ თეფშებს აკვირდებით?**

— დიახ, ხანდახან იქნებ მნიშვნელოვანი ვერაფერი აღმოვაჩინო, მაგრამ გავერთობი მაინც.

**— იცით, ბევრი მსმენია იმის შესახებ, რომ საკმაოდ ცრუმორწმუნე ბრძანდებით... ამგვარ ხალხს უცნაური ახირებები სჩვევიათ. ზოგი ერთნაირი ზომის პირსახოცებს იძენს, ზოგიც განათებულ ოთახში იძინებს. თქვენც ასეთი ხართ?**

— უარესი. *(გესქოინი სულაც არ ხუმრობს).* ყველაზე მეტად ეს ციფრებს ეხება. აი, ამოვიჩემე 4. არ ვიცი, რატომ, ჩემი საყვარელი ციფრი ხომ ყოველთვის 5 და 7 იყო, მაგრამ თავში ჩაჭედილი მაქვს რიცხვ 13-ის უიღბლობა. 4 და 9 ხომ 13-ის შეადგენს.

**— კი მაგრამ, 9 რაღა შუაშია?**

— არ ვიცი. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია — 4 და 9 რომ შევაჯამოთ, 13-ს მივიღებთ. ეს იგივე 6-სა და 7-ის კომბინაციის მსგავსია. ამიტომ ვერ ვიტან, როცა 6-სა და 7-ს ერთად ვხედავ. საღმოობით პარკში სეირნობა მიყვარს და შინიდან არასოდეს გავდივარ 4-ზე ან 6-ზე, ანაც 7-ზე. სასეირნოდ მხოლოდ 5-ზე ან 8-ზე მივეშურები.

**— ამ ორი ციფრის ჯამიც ხომ იმ წყეულ 13-ს გვაძლევს?**

— ოჰ... ასეა, მაგრამ ისინი, 6 და 7-ისგან განსხვავებით, ერთად მაინც არ დგას. ჩემი რიცხვებია 5 და 8. როცა გასახდელიდან მინდორზე გავდივართ, თანაგუნდელებს ყოველთვის ვთხოვ, ადგილი გამიცვალონ და ამ პოზიციებზე დამაყენონ.

**— თვითმფრინავებში ისევ ლოცულობთ ხოლმე?**

— ყოველთვის. გავხევ ბილეთს ორად და ღმერთის იმედად მყოფი ლოცვას აღვავლენ.

**— ჰოროსკოპები?**

— მხოლოდ ბოლო სტრიქონს ვკითხულობ. უკანასკნელ სტროფებს თვალს გადავავლებ და იმას ვკითხულობ, რაც მაინტერესებს. თუ მატარებელში ვზივარ და შემთხვევით ვინმე ჰოროსკოპს ჩაჰკირკიტებს, აუცილებლად მოვუბოდიშებ და ცოტა ხნით გაზეთს გამოვართმევ. არა იმიტომ, რომ საგულდაგულოდ გავარჩიო. უბრალოდ, ჰოროსკოპზე თვალის გადავლება მიყვარს.

**— ეს ხომ არასერიოზული რამაა.**

— კი, მაგრამ ამავდროულად ჩემი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

**— ახლა მტკივნეულ საკითხზე მინდა შევჩერდე. თქვენი ქორწინება...**

— ჩემი და შერილის დაშორებას გულისხმობთ, არა? ეს... არ ვიცი. ასე მგონია, ერთ უბანში რომ გავზრდილიყავით და ერთ სკოლაში გვესწავლა, უფრო ადვილად მოვაგვარებდით ყველა პრობლემას. ვფიქრობ, არც ახლაა გვიანი, მოვუბოდიშო და უკან დავაბრუნო.

**— თქვენ მას ხელი გაარტყით... უფრო მეტიც, სასტიკად სცემეთ.**

— ასეთი რამ მარტო მე არ მომსვლია. თუმცა სხვებთან რა საქმე მაქვს. მე პოლ გესქოინი ვარ და ეს საქმეს უფრო ართულებს. მამაჩემი საგანგებოდ მზრდიდა, კაცობას მასწავლიდა. მე კი... საშინლად მრცხვენია, რომ ასეთი რამ გავაკეთე. ამას არაფერი გამოასწორებს.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ბედნიერი ხართ?**

— არა, არც ისე. ბედნიერი ვარ, როცა ვთამაშობ, ანაც სათევზაოდ მივდივარ. სხვა მხრივ... ჩემს ყველა მედალს ტბაში ჩავყრი, თუ იმის გარანტია მექნება, რომ ასეთი საქციელი ცხოვრებას შემიცვლის...

**— ესე იგი, არ ღირდა, არა?**

— რა?

**— გაუთავებელი ცუღლუტობები ამხელა მსხვერპლად?**

— დიახ, ასეა.

**„თაიმზიდან“ თარგმნა**
**ირაკლი ხმელიძე**

## მოზამბიკთან უდიმაშოდ

პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად 19 აგვისტოს, ამხანაგურ მატჩს მართავს მოზამბიკელებთან. შესარჩევი ტურნირის გახსნით შეხვედრას პორტუგალიელები 6 სექტემბერს ჩაატარებენ ქალაქ სან მიგელში უნგრეთის ეროვნულ გუნდთან.

გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, უმბერტო კოელიომ იმ 18 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებსაც მოზამბიკთან მოუწევთ პაექრობა. ყველას გასაკვირად, განაცხადში არ არის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ტურინის „იუვენტუსის“ დიმაშ ტეშეირა. ამის მიზეზი ყოფილა ინტერვიუ, რომელშიც დიმაშმა მძაფრად გააკრიტიკა ნაკრების სათამაშო სტილი და თავად კოელიო, თანაც დასძინა, ასეთი თამაშით ევროპის ჩემპიონატზე ვერაფრით მოვხვდებითო. ამასთან დაკავშირებით მწვრთნელმა აღნიშნა: „ეს ინტერვიუ რომ არა, დიმაში დღეს, ალბათ, ნაკრებში იქნებოდა. მე მხოლოდ პატრიოტები მჭირდება.“

გაგაცნობთ პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობას: მეკარეები: ვიტორ ბაია (ბარსელონა), პედრო ესპინია (გიმარაეში); მცველები: კარლოს სეკრეტარიო (პორტო), ფერნანდო ნელსონი (პორტო), ჟორჟე კოსტა (პორტო), პაულინიო სანტოსი (პორტო), ფერნანდო კოუტუ (ლაციო), პაულო მადეირა (ბენფიკა), რობერტო „ბეტო“ სევერო (სპორტინგი); ნახევარმცველები: აბელ ქსავიერი (ეინდჰოვენი), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა), რუი კოშტა (ფიორენტინა), სერჟიო კონსეისაო (ლაციო), ჟოაო ვიეირა პინტო (ბენფიკა), ჟოზე კალადო (ბენფიკა); თავდამსხმელები: დომინგუშ ოლივეირა (ტენერიფე), პედრო „პაულეტა“ რესენდე (დეპორტივო), ნუნუ გომეში (ბენფიკა).

## ეგრე არ არის, გლენ!

ინგლისის ნაკრების თავკაცი გლენ ჰოდლი გუშინაც გააკრიტიკეს. მიზეზი ისევ წიგნი გახლდათ, სახელწოდებით „მოთხრობა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე“. მასში მეტად პიკანტური ამბებია მოთხრობილი. მაგალითად ის, თუ როგორ უთხრა ჰოდლმა უარი პოლ გესქოინს საფრანგეთში წაყვანაზე, როგორ გაბრაზდა გაზა და სასტუმროში, ჰოდლის ნომერში ავეჯი დალეწა. ინგლისელთა თავკაცის კრიტიკას თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენლებიც ვერ გადაურჩნენ — გამოცდილი ტედი შერინგემი ავტორს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბარში მთვრალი უნახავს, ხოლო შოტლანდიელ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ჰოდლმა უსაყვედურა, ცნობილი მჩხიბავი ქალის ეილენ დრიუერის საფრანგეთში წაყვანა ჩამიშალო. ეს ნაკრების უშედეგო გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილა.

ბუნებრივია, ეს ისტორია უსკანდალოდ არ ჩაივლიდა — საქმეში ხომ ისეთი ხალხია გარეული, დიდი და პატარა პატივს რომ სცემს. აღშფოთებულია მთელი ინგლისის საფეხბურთო სამყარო, რომლის წარმომადგენლებიც დაუსრულებლად გამოთქვამენ თავიანთ აზრს.

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი გრემ ტეილორი აცხადებს: „ვერ გამიგია, რატომ უნდა გამოააშკარავო შენი პირადი საუბრები გუნდის წევრებთან. ამაზე წიგნის დაწერა სრულ აბსურდად მიმაჩნია“. ტეილორმა ტელევიზიით გამოსვლისას ისიც აღნიშნა, ამგვარი წიგნის დაწერა 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მეც შემომთავაზეს, მაგრამ, ცხადია, უარი ვთქვიო

აღშფოთებას ვერ მალავს ჰოდლის წინამორბედი ტერი ვენებლზიც: „არასდროს მომსვლია აზრად, პირადი ცხოვრების სახალისოდ გამომზეურება. ამგვარი წიგნის დაწერა სისულელედ მიმაჩნია“.

მომხდარს ინგლისელთა კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის ნახევარფინალში გამყვანი, ამჟამად კი „ეინდჰოვენის“ თავკაცი ბრაიან რობსონიც გამოეხმაურა, თუმცა ძალიან მოკლედ, კონკრეტულად და ირონიულად — „იქნებ ჰოდლი ავად არის?“

მწვრთნელებს წარსულში ინგლისელთა კაპიტანმა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გარი ლინეკერმაც აუბა მხარი: „გაოცებული ვარ გლენის საქციელით. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის მომხდარი კონფლიქტი და პირადი საუბრები მთელმა ქვეყანამ არ უნდა გაიგოს, მათი ურთიერთობა ხომ ზუსტად ისეთივე კონფიდენციალურია, როგორიც ექიმისა და პაციენტის“.

**კითხვა–პასუხი**

***— ახლა კი გაბრწყინდება ბრაზილია...***

— ვა?

***— რა „ვა“? არ იცი, რომ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს?***

— რად უნდა ბრაზილიას მწვრთნელი?

***— როგორ არაო. მწვრთნელი ყველას უნდაო. ჰოდა, ვანდერლეიც დაუნიშნეს.***

— ვინ?

***— ვანდერლეი.***

— ეგ სახელია, თუ გვარი?

***— ჯერ არ ვიცი, კიდევ მეორე აქვს, ქვეყნის სახელს ჰგავს.***

— მოზამბიკი?

***— არა, არა, უფრო ჩვენებური ქვეყანაა.***

— იტალია?

***— არა, არა, ჩემით გავიხსენებ... პატარა ქვეყანაა.***

— და ვანდერლეი რას ნიშნავს, თანამდებობაა?

***— ხომ გითხარი? ან სახელია, ან გვარი.***

— ვანდენბერგი გამიგია, ვანდერსმისენი გამიგია, ვანმური გამიგია, ვანმიურენი გამიგია, ვანდერელსტიც გამიგია...

***— მერე?***

— მერე ეს, ვანდერლეი არ გამიგია... მერე კიდევ, რა პონტია, ბრაზილიის ტრენერად ბელგიელი დანიშნონ?

***— ბელგიელი კი არა, ნაღდი ბრაზილიელია.***

— აბა ვან დერ ლეიო...

***— მოიცა, გამახსენდა, გვარიც გამახსენდა მაგ ბელგიაზე...***

— აბა?

***— ვანდერლეი ბენილუქსი.***

— ბენილუქსი რა არის?

***— რაღაც ბელგიის ამბავია, ბელგია, ჰოლანდია და ის, პატარა... დამავიწყდა.***

— ესე იგი, ვანდერლეი სახელი ყოფილა.

***— კი, კი, ვანდერლეი ბენილუქსი.***

— რას არ მოიგონებენ.

***— მოიცა... ბენილუქსი არა ჰქვია.***

— აბა.

***— მოიცა... სან მარინო, ვანდერლეი სან მარინო...***

— ეგრეა?

***— არა ვარ დარწმუნებული...***

— ეგება მონაკო?

***— არა, კაცო.***

— აბა, აღარ ვიცი.

***— გამახსენდა! ვანდერლეი ლუქსემბურგი...***

— აბა, ეგ ყოფილა.

***— დაჟე ლუქსემბურგო.***

— ვაჰ, ჟღერს — ვანდერლეი ლუქსემბურგო. მაგრამ ეგ „ო“ რას ნიშნავს?

***— მაგდენი აღარ ვიცი. პელეს უთქვამს, მაგარი კაციაო.***

— დალუპულა ბრაზილია.

***— რატომ?***

— აბა, პელეს რომ კაცი მოეწონება, ის რა კაცია.

***— და გაზა?***

— რას გადაეკიდე ამ გაზას? რა დროს გაზაა?

***— ხვალ თამაშობსო. პრემიერშიფი იწყებაო.***

— და ვანდერლეი რაღა შუაშია?

***— რა ვიცი, ვიფიქრე, გაზას რომ ვახსენებ, გაეხარდება-თქო.***

— ეჰ, რაღა გამახარებს? ვანდერლეი ლუქსემბურგო რომ ვიყო, მაინც ვერ გავიხარებ.

***— რატომ?***

— აბა, რა არის სასიხარულო, როცა იცი, რომ ოთხ წელიწადში უნდა მოგხსნან?

***— ბრაზილია მაინც გაბრწყინდება.***

— შენ ელოდე.

***— რა გინდა, ხომ გავიდნენ ფინალში?***

— ეე, ფინალში „მაგდებურგიც“ კი გავიდა...

***— ეგ რა შედარებაა?***

— დალოცვილო, სან პაიოს იმედზე ხარ და მე მეკამათები?

***— მარტო სამპაიოა?***

— ბოლოს ყველა სამპაიოდ გადაიქცა და მე რა ვქნა?

***— არა ხარ მართალი.***

ბრაზილიას მაინც არ უნდა მწვრთნელი.

# ერთა ლიგა ევროლიგამდე

## ინგლისი

საერთოდ, სეზონისწინა წერილები იმისაა, მკითხველი სათანადოდ მოამზადო — ხვალ ეს და ეს ჩემპიონატი იწყება და ალბათ ესა და ეს მოხდება. თან ზაფხულში გუნდებში მომხდარ ცვლილებებზეც თქვა ორიოდ სიტყვა. ამ უკანასკნელს არც მე დაგზარდებით, მაგრამ პროგნოზებისგან, გამოცდილი ქართველი მწვრთნელებისა არ იყოს, თავს შევიკავებ. ბოლო-ბოლო, ჩემპიონატის კი არა, თუნდაც ერთი მატჩის ან ტაიმის ანგარიში რომ ვიცოდე, ამ კალამს „ვილიამ ჰოლის" ან „ლედბროუკის" პირველივე ოფისში გამოვუყვანდი წირვას. ასე რომ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც ნაღდად მოხდება ინგლისის პრემიერლიგის 1998-99 სეზონში.

თუმცა თავიდან ის ვთქვათ, რომ სიტყვა „პრემიერლიგა" უკვე ნაკლებად შეეფერება ინგლისის საფეხბურთო სამყაროს უმაღლეს დივიზიონს და უმჯობესია მას იმ ორგანიზაციის სახელი ვუწოდოთ, სოციალ-დემოკრატების საქართველო რომ ვერ ეღირსა იქ გაწევრიანებას — ერთა ლიგა. ეს სახელი ჩემი გამოგონება როდი გახლავთ — ინგლისური პრესის პირმშოა, პრესისა, რომელმაც წლეულს პირველად და თუმცა მოკრძალებულად (ემანდ რასიზმი არავინ დამწამოსო) აღიმაღლა ხმა ინგლისური გუნდების არაინგლისურ გუნდებად ქცევის წინააღმდეგ. თავად განსაჯეთ: პრემიერლიგაში უკვე 7 კლუბია, რომელსაც, თუ დასჭირდა, მოედანზე მხოლოდ არაბრიტანელებს (არაინგლისელებს ვინღა ჩივის) გამოიყვანს, ხოლო „ჩელსი", ეს ვითომც ლონდონის არისტოკრატიის სარკე, სათადარიგოთა სკამზეც, თავის მწვრთნელიანად, უცხოელებით იქნება წარმოდგენილი. თანაც, რაც ყველაზე საგანგაშოა, გაიზარდა აშკარად მეორეხარისხოვან ფეხბურთელთა მოზღვავება ლამის ხუთივე კონტინენტიდან, თორემ ვიეირას, ბერხკამპის, ოვერმარსის თუ შმაიხელის შეძენაზე უარის თქმა რომ სისულელეა, ყველა ხვდება. თუნდაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი გავიხსენოთ — იქ თავგამოჩენილთაგან რომელი იყიდეს ინგლისურმა კლუბებმა — თითქმის ვერავინ. მხოლოდ დესაი და ბრაიან ლაუდრუპია გამონაკლისი. თუმცა ესენი „ჩელსიმ" ჯერ კიდევ მსოფლიოს თასის დაწყებამდე გადმოიბირა. ბრაზილიელი აქ არ თამაშობს, არგენტინელი ორია — ვინმე ორასიო კარბონარი, რომელიც „დერბი ქაუნთიმ" მაისში 2,7 (!) მილიონ გირვანქად შეიძინა და „არსენალის" ახალი მცველი ნელსონ ვივასი, შვეიცარის „ლუგანოდან" 2 მილიონად ნაყიდი; იტალია თითქოს სოლიდურადაა წარმოდგენილი, მაგრამ „ჩელსის" ოთხეულს რომ თავი ვანებოთ, ეს კონტიგენტიც საშუალოა, ხოლო ლუკა პერკაშისა და პაოლო ტრამეძანის სახელები, უკაცრავად და, მეც პირველად გავიგე.

არადა, რაც ამათ ფული აქვთ, სულ ზიდანები, შუკერები და დავიდსები უნდა ეყიდათ. კი, მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედს" სურდა ბატისტუტა და კლუივერტი, მაგრამ ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდოდა, თავიდანვე ცნობილი იყო. „ნიუკასლის" მწვრთნელი დალგლიში კი ამათით არც დაინტერესებულა და გუნდი კვლავ აავსო ძვირადღირებული, მაგრამ საეჭვო ხარისხის ფეხბურთელებით — მარტო ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონთაგან მხოლოდ სტეფან გივარშს დაადგამ თვალს, ბევრზე მეტყველებს. ერთადერთი ბრიტანელი, ვინც ამ სეზონში „ნიუკასლში" ჩაირიცხა, თავად... დალგლიშის ვაჟი იყო. მოკლედ... თუმცა, არ გვინდა ამაზე საუბრის გაგრძელება, თორემ სტამის ლამის ოც მილიონ დოლარად ყიდვაზეც მივალთ და კიდევ ბევრი დრო დაგვეხარჯება.

დაპირებისამებრ, იმაზე ვთქვათ, რა იქნება. რა და სავსე ტრიბუნები. მიუხედავად იმისა, რომ „დერბი ქაუნთისა" და „ნოტინგემის" გარდა ბილეთებზე ფასი ყველა კლუბმა გაზარდა, გაუყიდავ ბილეთთა პრობლემა მაინც არავის აღელვებს. მაგალითისთვის ვთქვათ, რომ „არსენალის" 38 500-იან სტადიონზე 21 ათასზე მეტი აბონემენტი გაიყიდა, ხოლო „ასტონ ვილას" ოფისში გუშინ მითხრეს — „ნიუკასლთან" 9 სექტემბრის მატჩზე ბილეთები აღარ არის, შეგვიძლია, „ლივერპულთან" თამაშის ბილეთი მოგყიდოთო. ეს მატჩი... 21 ნოემბერს უნდა შედგეს. მოკლედ, თუ რომელიმე თამაშის ტელევიზიით ყურებისას სადმე ცარიელ ადგილს ჰკიდეთ თვალი, ჩათვალეთ, რომ სტუმართა გუნდის გულშემატკივრებმა იზარმაცეს და მათთვის განკუთვნილი სექტორი (იქ მასპინძლებს არასდროს შეუშვებენ) ვერ შეავსეს.

კიდევ რა იქნება? რა და, საყოველთაო ფსიქოზი დევიდ ბექემის გარშემო. კი ბატონო, მართლაც სულელურად მოიქცა ეს ბიჭი, მაგრამ ასეთ დასჯა? „ჩერითი შილდის" მატჩმა ცხადყო, რომ ყველგან, სადაც ბექემის გუნდი ჩავა და ყოველთვის, როცა ბურთს დევიდი მიიღებს, უშველებელი სტვენა და ლანძღვა ატყდება. ხვალისთვის „ვესტ ჰემის" გულშემატკივრებს 10 000 (!) წითელი ბარათიც კი დაუმზადებიათ. ვისთვის, ალბათ ცხადია. სულ ახალი ინგლისური ანეგდოტიც არგენტინასთან გაძევებულ ბექემს ეხება:

— რა განსხვავებაა ბექემსა და ვიქტორია ადამსს (დევიდის საცოლე) შორის?

— ვიქტორია უკნიდან მიწოლაზე არ ბრაზდება და წიხლებს არ იქნევს.

მოკლედ, მინიმუმ თვე „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს მხოლოდ „ოლდ ტრეფორდზე" ელის მშვიდი ცხოვრება, მერე კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დაიწყება და მანაც ისევ ქვეყნის პირველი გუნდისთვის გაკეთებული საქმით უნდა გამოასწოროს თავის სულელური საქციელი.

და კიდევ. მაიკლ ოუენი რომ არ ვახსენო, არ იქნება. ძნელი სათქმელია, გაიმეორებს თუ არა ეს ბიჭი შარშანდელ მიღწევას (18 გოლი ჩემპიონატში და 4 თასზე), მაგრამ ერთი ცხადია — მასაც, ბექემის დარად, ყველგან ელიან, თვით მეტოქის გულშემატკივრებიც კი. ხალხი მანამდე დგება ადგილიდან, სანამ ბურთი ოუენამდე მივა. ასე იყო ამხანაგურ შეხვედრებში და ასე იქნება ახლაც. „შაბათს იწყება ჩემპიონატი. კვირას იწყებს ოუენი" — ვკითხულობ გაზეთებში. კიდევ კარგი, თავის დროზე „ლივერპულის" მწვრთნელმა როი ევანსმა გივარში ან ბოა მორტე არ იყიდა ფაულერის პარტნიორად, თორემ ოუენი, თანატოლთა დარად, სარეზერვო გუნდში გაატარებდა სიჭაბუკეს.

მართალია, ოუენი მართლაც მოვლენაა და შეიძლება მისი დონისა ამ თაობაში არც არავინაა, მაგრამ მაინც გირჩევთ, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას დააკვირდეთ, თუ, ცხადია, მწვრთნელებმა ევანსივით გარისკეს და შანსი არ დაამადლეს. მაგალითად, 18 წლის პაულო ვერნაცას, რომელიც ინგლისშია დაბადებულ-გაზრდილი და „არსენალის" ნახევარმცველთა სიაშია; ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრს კევინ დევისს, რომელიც „ბლექბერნმა" შვიდნახევარ მილიონ გირვანქად გადმოიბირა „საუთჰემპტონიდან"; „ჩარლტონის" 17 წლის ცენტრალურ ნახევარმცველს სკოტ პარკერს; ცნობილი მეკარის, პიტერ შილტონის ვაჟს პიტერს, რომელიც „ქოვენთრიში" ირიცხება; 18 წლის ირლანდიელ სტივ მაკფეილს „ლიდსიდან" და 17 წლის ვესტჰემელ ჯო კოულს, ვისაც მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების გამთამაშებლობას უწინასწარმეტყველებენ.

და, რა თქმა უნდა, ყურადღება მიაქციეთ თემურ ქეცბაიას, რომელმაც, სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, მშვენივრად აუღო ალღო ერთა ლიგას და მის დატოვებას ჯერჯერობით არ აპირებს.

**ზურაბ მეძველია**
**ლონდონიდან**



სარბიელის არქივიდან

პრემიერლიგის მატჩებს ბევრი მხოლოდ მაიკლ ოუენის ხათრით ნახავს

## ინგლისის ჩემპიონატის პრიზიორები

| | |
|---|---|
| 1889 | პრესტონი, ასტონ ვილა, ვულვერჰემპტონი |
| 1890 | პრესტონი, ევერტონი, ბლეკპული |
| 1891 | ევერტონი, პრესტონი, ნოთს ქაუნთი |
| 1892 | სანდერლენდი, პრესტონი, ბოლტონი |
| 1893 | სანდერლენდი, პრესტონი, ევერტონი |
| 1894 | ასტონ ვილა, სანდერლენდი, დერბი ქაუნთი |
| 1895 | სანდერლენდი, ევერტონი, ასტონ ვილა |
| 1896 | ასტონ ვილა, დერბი ქაუნთი, ევერტონი |
| 1897 | ასტონ ვილა, შეფილდ იუნაიტედი, დერბი ქაუნთი |
| 1898 | შეფილდ იუნაიტედი, სანდერლენდი, ვულვერჰემპტონი |
| 1899 | ასტონ ვილა, ლივერპული, ბარნლი |
| 1990 | ასტონ ვილა, შეფილდ იუნაიტედი, სანდერლენდი |
| 1901 | ლივერპული, სანდერლენდი, ნოთს ქაუნთი |
| 1902 | სანდერლენდი, ევერტონი, ნიუკასლი |
| 1903 | შეფილდ უენსდეი, ასტონ ვილა, სანდერლენდი |
| 1904 | შეფილდ უენსდეი, მანჩესტერ სიტი, ევერტონი |
| 1905 | ნიუკასლი, ევერტონი, მანჩესტერ სიტი |
| 1906 | ლივერპული, პრესტონი, შეფილდ უენსდეი |
| 1907 | ნიუკასლი, ბრისტოლ სიტი, ევერტონი |
| 1908 | მანჩესტერ იუნაიტედი, ასტონ ვილა, მანჩესტერ სიტი |
| 1909 | ნიუკასლი, ევერტონი, სანდერლენდი |
| 1910 | ასტონ ვილა, ლივერპული, ბლექბერნი |
| 1911 | მანჩესტერ იუნაიტედი, ასტონ ვილა, სანდერლენდი |
| 1912 | ბლექბერნი, ევერტონი, ნიუკასლი |
| 1913 | სანდერლენდი, ასტონ ვილა, შეფილდ უენსდეი |
| 1914 | ბლექბერნი, ასტონ ვილა, მიდლსბრო |
| 1915 | ევერტონი, ოლდჰემი, ბლექბერნი |
| 1920 | ვესტ ბრომვიჩი, ბარნლი, ჩელსი |
| 1921 | ბარნლი, მანჩესტერ სიტი, ბოლტონი |
| 1922 | ლივერპული, ტოტენჰემი, ბარნლი |
| 1923 | ლივერპული, სანდერლენდი, ჰადერსფილდი |
| 1924 | ჰადერსფილდი, კარდიფ სიტი, სანდერლენდი |
| 1925 | ჰადერსფილდი, ვესტ ბრომვიჩი, ბოლტონი |
| 1926 | ჰადერსფილდი, არსენალი, სანდერლენდი |
| 1927 | ნიუკასლი, ჰადერსფილდი, სანდერლენდი |
| 1928 | ევერტონი, ჰადერსფილდი, ლესტერი |
| 1929 | შეფილდ უენსდეი, ლესტერი, ასტონ ვილა |
| 1930 | შეფილდ უენსდეი, დერბი ქაუნთი, მანჩესტერ სიტი |
| 1931 | არსენალი, ასტონ ვილა, შეფილდ უენსდეი |
| 1932 | ევერტონი, არსენალი, შეფილდ უენსდეი |
| 1933 | არსენალი, ასტონ ვილა, შეფილდ უენსდეი |
| 1934 | არსენალი, ჰადერსფილდი, ტოტენჰემი |
| 1935 | არსენალი, სანდერლენდი, შეფილდ უენსდეი |
| 1936 | სანდერლენდი, დერბი ქაუნთი, ჰადერსფილდი |
| 1937 | მანჩესტერ სიტი, ჩარლტონი, არსენალი |
| 1938 | არსენალი, ვულვერჰემპტონი, პრესტონი |
| 1939 | ევერტონი, ვულვერჰემპტონი, ჩარლტონი |
| 1947 | ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი, ვულვერჰემპტონი |
| 1948 | არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი, ბარნლი |
| 1949 | პორტსმუთი, მანესტერ იუნაიტედი, დერბი ქაუნთი |
| 1950 | პორტსმუთი, ვულვერჰემპტონი, სანდერლენდი |
| 1951 | ტოტენჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი, ბლეკპული |
| 1952 | მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი, არსენალი |
| 1953 | არსენალი, პრესტონი, ვულვერჰემპტონი |
| 1954 | ვულვერჰემპტონი, ვესტ ბრომვიჩი, ჰადერსფილდი |
| 1955 | ჩელსი, ვულვერჰემპტონი, პორტსმუთი |
| 1956 | მანჩესტერ იუნაიტედი, ბლექპული, ვულვერჰემპტონი |
| 1957 | მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი, პრესტონი |
| 1958 | ვულვერჰემპტონი, პრესტონი, ტოტენჰემი |
| 1959 | ვულვერჰემპტონი, მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი |
| 1960 | ბარნლი, ვულვერჰემპტონი, ტოტენჰემი |
| 1961 | ტოტენჰემი, შეფილდ უენსდეი, ვულვერჰემპტონი |
| 1962 | იფსვიჩ თაუნი, ბარნლი, ტოტენჰემი |
| 1963 | ევერტონი, ტოტენჰემი, ბარნლი |
| 1964 | ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი, ევერტონი |
| 1965 | მანჩესტერ იუნაიტედი, ლიდსი, ჩელსი |
| 1966 | ლივერპული, ლიდსი, ბარნლი |
| 1967 | მანჩესტერ იუნაიტედი, ნოტინგემი, ტოტენჰემი |
| 1968 | მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული |
| 1969 | ლიდსი, ლივერპული, ევერტონი |
| 1970 | ევერტონი, ლიდსი, ჩელსი |
| 1971 | არსენალი, ლიდსი, ტოტენჰემი |
| 1972 | დერბი ქაუნთი, ლიდსი, ლივერპული |
| 1973 | ლივერპული, არსენალი, ლიდსი |
| 1974 | ლიდსი, ლივერპული, დერბი ქაუნთი |
| 1975 | დერბი ქაუნთი, ლივერპული, იფსვიჩ თაუნი |
| 1976 | ლივერპული, ქუინზ პარკ რეინჯერსი, მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1977 | ლივერპული, მანჩესტერ სიტი, იფსვიჩ თაუნი |
| 1978 | ნოტინგემი, ლივერპული, ევერტონი |
| 1979 | ლივერპული, ნოტინგემი, ვესტ ბრომვიჩი |
| 1980 | ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი, იფსვიჩ თაუნი |
| 1981 | ასტონ ვილა, იფსვიჩ თაუნი, არსენალი |
| 1982 | ლივერპული, იფსვიჩ თაუნი, მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1983 | ლივერპული, უოტფორდი, მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1984 | ლივერპული, საუთჰემპტონი, ნოტინგემი |
| 1985 | ევერტონი, ლივერპული, ტოტენჰემი |
| 1986 | ლივერპული, ევერტონი, ვესტ ჰემი |
| 1987 | ევერტონი, ლივერპული, ტოტენჰემი |
| 1988 | ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი, ნოტინგემი |
| 1989 | არსენალი, ლივერპული, ნოტინგემი |
| 1990 | ლივერპული, ასტონ ვილა, ტოტენჰემი |
| 1991 | არსენალი, ლივერპული, კრისტალ პალასი |
| 1992 | ლიდსი, მანჩესტერ იუნაიტედი, შეფილდ უენსდეი |
| 1993 | მანჩესტერ იუნაიტედი, ასტონ ვილა, ნორჩივი |
| 1994 | მანჩესტერ იუნაიტედი, ბლექბერნი, ნიუკასლი |
| 1995 | ბლექბერნი, მანჩესტერ იუნაიტედი, ნოტინგემი |
| 1996 | მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი, ლივერპული |
| 1997 | მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი, არსენალი |
| 1998 | არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული |

### არსენალი

გასულ სეზონში ჩემპიონის ტიტულისა და ასოციაციის თასის მფლობელი წლეულსაც უეჭველად შეეცდება უდიდეს მიღწევათა გამეორებას.ბუნებრივია გუნდს ჩემპიონთა ლიგაშიც გვარიანი ომი მოუწევს, თუმცა როგორც მისი ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი ამბობს „არსენალი“ კარგი თავდამსხმელის ნაკლებობას განიცდის. გარდა ამისა, ვენგერი შიშობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ემანუელ პეტი და პატრიკ ვიეირა, აგრეთვე ჰოლანდიელები დენის ბერჰკამპი და მარკ ოვერმარსი, შესაძლოა საფრანგეთი 98-ის შემდეგ გადაღლილნი იყვნენ.

### მანჩესტერ იუნაიტედი

მანჩესტერელები დღეისათვის ცუდად მომზადებულნი ჩანან. მათ განსაკუთრებით ცუდი შთაბეჭდილება ინგლისის სუპერთასის შეხვედრაში დასტოვეს, სადაც „არსენალთან“ წააგეს 0:3. გუნდის ახალი შენაძენი გახლავთ თითქმის 19 მილიონ დოლარად „ეინდჰოვენიდან“ გადაბირებული იააპ სტამი. „იუნაიტედს“ „არსენალისა“ არ იყოს თავდამსხმელი სჭირდება. ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა ვეტერანი როი კინი.

### ლივერპული

გუნდს მაიკლ ოუენის დიდი იმედი აქვს. ამ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ლივერპულელთა სიახლე ისიცაა, რომ მას ახალი მწვრთნელი, უფრო სწორედ კი თანამწვრთნელი ჰყავს. იგია საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელყოფილი ჟერერ ულიე. იგი როი ევანსთან ერთად გაუძღვება საქმეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ლივერპული“ის გუნდია 1975-1990 წლებში 15-ჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი.

### ჩელსი

ლონდონელებს ბევრი ახალი და ცნობილი ფეხბურთელი ჰყავთ: ბრაიან ლაუდრუპი, პიერლუიჯი კაზირაგი, ალბერტ ფერერი და მარსელ დესაი. თასების თასის მფლობელს, რომელსაც ცნობილი იტალიელი ჯანლუკა ვიალი უდგას სათავეში, ბუნებრივია მიზნად 43 წლის წინანდელი წარმატების, ინგლისის ჩემპიონობის გამეორებას ისახავს.

### ლიდს იუნაიტედი

მწვრთნელი ჯორჯ გრემი საზაფხულო სამზადისის დროს ძირითადად დაცვის გაძლიერებაზე ამახვილებდა ყურადღებას. კლუბს შენაძენებიც შესაბამისი ჰყავს. ზოგადად, „ლიდსი“ უფრო სათასო შეჯიბრებებში მებრძოლი გუნდია, ვიდრე რეგულარულ პირველობაზე.

### ბლექბერნ როვერსი

გასულ სეზონში მოპოვებული მეექვსე ადგილი გუნდის საუკეთესო შედეგია 1995 წლის ჩემპიონობის შემდეგ. მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა მხოლოდ თავდამსხმელების ყიდვაში 13 მილიონი დოლარი დახარჯა.

### ასტონ ვილა

მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ გუნდი მეთხუთმეტე ადგილიდან მეშვიდეზე აიყვანა და ახლა შემდგომი პროგრესის იმედი აქვს. ბევრი რამ სტენ კოლიმორის კარგ თუ ცუდ ფორმაზე იქნება დამოკიდებული.

### ვესტ ჰემი

იან რაიტი ყველა ღონეს იხმარს, რათა დაამტკიცოს, რომ მიუხედავად 34 წლისა „არსენალმა“ ტყუილად გაყიდა. გუნდი მიზნად ევროთასზე გამსვლელი ადგილის მოპოვებას ისახავს.

### დერბი ქაუნთი

მწვრთნელი ჯიმ სმიტი ორი წელიწადია გუნდის კლასის ამაღლებას ცდილობს და იმედი აქვს, რომ ქვეყნის რომელიმე თასს მოიპოვებს.

### ლესტერ სიტი

მელიები (ასე უწოდებენ ამ გუნდს) ძირითადად ემილ ჰესკის იმედად არიან. ამ 20 წლის თავდამსხმელს ხაქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ აქვს ნათამაშევი.

### ქოვენთრი სიტი

მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი ფეხბურთელების წამქეზებელ კაცადაა ცნობილი. გასულ სეზონში მისმა მომზადებულმა წყვილმა დარენ ჰაკერბისა და დაიონ დაბლინისგან რომ შედგება, 32 გოლი გაიტანა.

### საუთჰემპტონი

გასულ სეზონში გავარდნის საფრთხე არ დამუქრებია, რისთვისაც მწვრთნელი დევიდ ჯონსი ერთობ წაახალისეს. გუნდმა მარკ ჰიუზი და დევიდ ჰოულზი დაიმატა.

### ნიუკასლ იუნაიტედი

გასულ სეზონში გუნდმა ბოლო 25 შეხვედრიდან მხოლოდ ოთხი გამარჯვება მოიპოვა. წლეულს თაკდასხმაში ალან შირერთან ერთად სტეფან გივარშიც ითამაშებს.

### ტოტენჰემ ჰოტსპური

1977 წლის შემდეგ, როდესაც „სფურზი“ ლიგიდან გავარდა, ისეთი ცუდი სეზონი, როგორიც წინა გუნდს აღარ ჰქონია. ბევრია დამოკიდებული დარენ ანდერტონსა და დავიდ ჟინოლაზე. მწვრთნელია შვეიცარიელი კრისტიან გროსი.

### უიმბლდონი

გასული სეზონის ბოლო 21 შეხვედრიდან დონებად წოდებულმა გუნდმა მხოლოდ 4 გამარჯვება მოიპოვა.ახალ სეზონში მწვრთნელს ჯო კინიარს ფეხბურთელების გამოცოცხლება მოუწევს.

### შეფილდ უენსდეი

გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — დენი უილსონი. იგი „შეფილდის“ ფეხბურთელყოფილია. ამოცანა ლიგაში ადგილის შენარჩუნება გახლავთ.

### ევერტონი

მწვრთნელი ახალია — უოლტერ სმიტი, სწორედ ის, აქამდე „გლაზგო რეინჯერსს“ რომ ედგა სათავეში. მან იყიდა მარკო მატერაცი, ჯონ სპენსერი, ჯონ კოლინზი და ოლივერ დაკურტი. მოსალოდნელია, რომ გუნდი საგრძნობლად გააუმჯობესებს თამაშს და ხუთეულში შესვლისთვის იბრძოლებს.

### ნოტინგემ ფორესტი

პრემიერლიგაში ახალდაბრუნებულ გუნდს დიდი რჩევა გასაკეთება და ძალიან გაუჭირდება თუ ჰოლანდიელ პიერ ვან ჰოიდონკს გაყიდის.

### მიდლსბრო

ბრაიან რობსონის გუნდი ნამდვილად ცოდო იყო პირველ დივიზიონში ჩასარჩენად. გუნდში ორი ბებერი ვარსკვლავია: პოლ გესქოინი და გარი პალისტერი.

### ჩარლტონ ატლეტიკი

უმაღლეს ეშელონში რვაწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. პრემიერლიგაში ამოსასვლელად „სანდერლენდთან“ პენალტებამდე მისული ბრძოლა გადახდა. 1937 წელს ინგლისის ვიცე-ჩემპიონიც იყო. ახლა დასარჩენად ბრძოლა თუ ხელეწიფება.



სარბიელის არქივიდან

„არსენალის“ ორი ბურჯი ტონი ადამსი და დევიდ სიმენი წლეულსაც პრემიერლიგისა და ქვეყნის თასის მოგებას ეცდებიან

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 16.05 | 05.04 | 01.05 | 07.11 | 16.12 | 20.02 | 20.12 | 09.01 | 19.09 | 28.11 | 03.10 | 17.08 | 17.10 | 14.11 | 17.04 | 20.03 | 06.09 | 29.08 | 30.01 |
| 2 | ასტონ ვილა | 12.12 | | 06.02 | 26.09 | 16.01 | 03.04 | 24.10 | 13.02 | 21.11 | 05.12 | 23.08 | 09.09 | 24.04 | 10.04 | 07.11 | 12.09 | 27.02 | 28.12 | 08.05 | 20.03 |
| 3 | ბლექბერნი | 25.10 | 26.12 | | 15.08 | 06.03 | 03.10 | 29.08 | 09.01 | 24.04 | 10.04 | 03.04 | 12.12 | 08.05 | 21.11 | 30.01 | 20.03 | 07.11 | 20.02 | 05.12 | 19.09 |
| 4 | დერბი | 05.12 | 06.03 | 16.01 | | 06.02 | 22.11 | 19.09 | 31.10 | 13.03 | 24.10 | 28.12 | 03.04 | 10.04 | 24.04 | 03.10 | 22.08 | 08.05 | 09.09 | 20.02 | 12.12 |
| 5 | ევერტონი | 13.03 | 15.08 | 26.09 | 26.12 | | 08.05 | 09.01 | 12.09 | 17.10 | 31.10 | 19.02 | 23.11 | 30.01 | 12.12 | 29.08 | 27.02 | 10.04 | 05.04 | 24.04 | 05.12 |
| 6 | ვესტ ჰემი | 06.02 | 17.10 | 27.02 | 17.04 | 19.12 | | 14.11 | 01.05 | 12.09 | 22.08 | 16.05 | 20.03 | 13.02 | 28.09 | 28.11 | 09.09 | 28.12 | 16.01 | 05.04 | 07.11 |
| 7 | ლესტერი | 12.09 | 05.04 | 28.12 | 13.02 | 22.08 | 10.04 | | 27.02 | 31.10 | 16.01 | 09.09 | 08.05 | 12.12 | 05.12 | 19.10 | 27.09 | 24.04 | 06.02 | 13.03 | 21.11 |
| 8 | ლიდსი | 08.05 | 19.09 | 24.08 | 20.03 | 20.02 | 05.12 | 03.10 | | 10.04 | 24.04 | 16.01 | 06.02 | 03.04 | 08.09 | 06.03 | 28.12 | 14.12 | 08.11 | 21.11 | 24.10 |
| 9 | ლივერპული | 22.08 | 17.04 | 29.11 | 07.11 | 03.04 | 20.02 | 23.03 | 14.11 | | 06.03 | 06.02 | 28.12 | 24.10 | 16.01 | 01.05 | 16.05 | 09.09 | 19.02 | 19.09 | 04.10 |
| 10 | მანჩესტერი | 13.02 | 01.05 | 14.11 | 05.04 | 20.03 | 09.01 | 15.08 | 28.11 | 26.09 | | 19.12 | 07.11 | 26.12 | 27.02 | 16.05 | 17.10 | 12.09 | 17.04 | 30.01 | 16.12 |
| 11 | მიდლსბრო | 24.04 | 09.01 | 17.10 | 29.08 | 19.09 | 12.12 | 30.01 | 15.08 | 26.12 | 08.05 | | 06.12 | 01.11 | 13.03 | 20.02 | 05.04 | 21.11 | 03.10 | 10.04 | 06.03 |
| 12 | ნიუკასლი | 27.02 | 30.01 | 16.05 | 17.10 | 17.04 | 31.10 | 19.12 | 26.12 | 30.08 | 13.03 | 01.05 | | 26.09 | 12.09 | 05.04 | 28.11 | 13.02 | 14.11 | 15.08 | 09.01 |
| 13 | ნოტინგემი | 16.01 | 28.11 | 19.12 | 16.11 | 09.09 | 19.09 | 16.05 | 17.10 | 05.04 | 06.02 | 20.03 | 06.03 | | 28.12 | 17.04 | 07.11 | 22.08 | 01.05 | 03.10 | 20.02 |
| 14 | საუტჰემპტონი | 03.04 | 14.11 | 17.04 | 28.11 | 16.05 | 06.03 | 01.05 | 30.01 | 16.08 | 03.10 | 07.11 | 20.02 | 29.08 | | 19.09 | 19.12 | 24.10 | 20.03 | 09.01 | 26.12 |
| 15 | ტოტენჰემი | 10.04 | 13.03 | 09.09 | 27.02 | 28.12 | 24.04 | 03.04 | 26.09 | 05.12 | 12.12 | 13.09 | 24.10 | 21.11 | 13.02 | | 16.01 | 06.02 | 22.08 | 02.11 | 08.05 |
| 16 | უიმბლდონი | 21.11 | 20.02 | 31.10 | 09.01 | 03.10 | 30.01 | 06.03 | 29.08 | 13.12 | 03.04 | 24.10 | 24.04 | 13.03 | 08.05 | 15.08 | | 05.12 | 19.09 | 26.12 | 10.04 |
| 17 | ქოვენთრი | 31.10 | 03.10 | 13.03 | 19.12 | 15.11 | 29.08 | 28.11 | 16.05 | 30.01 | 20.02 | 17.04 | 19.09 | 09.01 | 05.04 | 26.12 | 01.05 | | 18.10 | 06.03 | 15.08 |
| 18 | შეფილდი | 26.09 | 29.08 | 12.09 | 30.01 | 24.10 | 15.08 | 26.12 | 13.03 | 08.05 | 21.11 | 27.02 | 10.04 | 07.12 | 31.10 | 09.01 | 13.02 | 03.04 | | 12.12 | 24.04 |
| 19 | ჩარლტონი | 28.12 | 21.12 | 01.05 | 12.09 | 28.11 | 24.10 | 07.11 | 17.04 | 13.08 | 08.09 | 14.11 | 16.01 | 27.02 | 22.08 | 20.03 | 06.02 | 26.09 | 16.05 | | 03.04 |
| 20 | ჩელსი | 09.09 | 31.10 | 13.02 | 16.05 | 01.05 | 13.03 | 17.04 | 05.04 | 27.02 | 28.12 | 26.09 | 22.08 | 12.09 | 06.02 | 19.12 | 14.11 | 16.01 | 28.11 | 17.10 | |

## ტრანსფერები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | | | | |
| დევიდ გრონდინი | საფრანგეთი | მც | სენტ ეტიენი | 0,5 მილიონი გირვანქა |
| ნელსონ ვივასი | არგენტინა | მც | ლუგანო | 2 მილიონი |
| ასტონ ვილა | | | | |
| ალან ტომპსონი | ინგლისი | ნ | ბოლტონი | 4,5 |
| დევიდ ანსუორსი | ინგლისი | მც | ვესტ ჰემი | 3 |
| **ბლექბერნ როვერსი** | | | | |
| კევინ დევისი | ინგლისი | თ | საუთჰემპტონი | 7,25 |
| სებასტიან პერესი | საფრანგეთი | მც | ბასტია | 3 |
| დარენ პიკოკი | ინგლისი | მც | ნიუკასლი | თავ. ტრანსფერი |
| **ჩარლტონ ატლეტიკი** | | | | |
| ნილ რედფერნი | ინგლისი | ნ | ბარნსლი | 1,1 |
| კრის პაუელი | ინგლისი | მც | დერბი კაუნთი | 0,825 |
| ემეკა იფეიაგვა | ნიგერია | მც | ლაგოსი | 0,02 |
| **ჩელსი** | | | | |
| პიერლუიჯი კაზირაგი | იტალია | თ | ლაციო | 5,4 |
| ბრაიან ლაუდრუპი | დანია | თ | გლაზგო რეინჯერზი | თავ. ტრანსფერი |
| ალბერტ ფერერი | ესპანეთი | მც | ბარსოლონა | 2,2 |
| მარსელ დესაი | საფრანგეთი | მც | მილანი | 4,6 |
| **ქოვენთრი სიტი** | | | | |
| რობერტ იარნი | ხორვატია | მც | რეალ ბეტისი | 2,6 |
| ჟან გი ვალემი | საფრანგეთი | მც | ლანსი | |
| პოლ ჰოლი | იამაიკა | თ | პორტსმუთი | 0,3 |
| იან ბრაიტველი | ინგლისი | მც | მანჩესტერ სიტი | თავ. ტრანსფერი |
| **დერბი ქაუნთი** | | | | |
| ორასიო კარბონარი | არგენტინა | მც | როსარიო სენტრალი | 2,7 |
| შტეფან შნური | გერმანია | მც | ჰამბურგი | თავ. ტრანსფერი |
| **ევერტონი** | | | | |
| ოლივერ დაკურტი | საფრანგეთი | ნ | სტრასბური | 3,8 |
| ჯონ კოლინზი | შოტლანდია | ნ | მონაკო | 2,5 |
| მარკო მატერაცი | იტალია | მც | პერუჯა | 2,5 |
| ლიდს იუნაიტედი | | | | |
| კლაიდ ვინარდი | ჰოლანდია | თ | ვილემ II | 1,5 |
| დენი გრენვილი | ინგლისი | მც | ჩელსი | 1,5 |
| **ლესტერ სიტი** | | | | |
| გერი ტაგარტი | ინგლისი | მც | ბოლტონი | თავ. ტრანსფერი |
| ლივერპული | | | | |
| შონ დანდი | გერმანია | თ | კარლსრუე | 2 |
| სტივ სტონტონი | ირლანდია | ნ | ასტონ ვილა | თავ. ტრანსფერი |
| ვეგარდ ჰეგემი | ნორვეგია | მც | რუსენბორგი | |
| **მანჩესტერ იუნაიტედი** | | | | |
| იააპ სტამი | ჰოლანდია | მც | ეინდჰოვენი | 10 |
| იესპერ ბლომკვისტი | შვედეთი | ნ | პარმა | 4,4 |
| მიდლსბრო | | | | |
| გარი პალისტერი | ინგლისი | მც | მანჩესტერ იუნაიტედი | 2,5 |
| დინ გორდონი | ინგლისი | მც | კრისტალ პალასი | 0,9 |
| **ნიუკასლ იუნაიტედი** | | | | |
| დიტმარ ჰამანი | გერმანია | ნ | ბაიერნი | 4,5 |
| სტეფან გივარში | საფრანგეთი | თ | ოსერი | 3,5 |
| ლორან შარვე | საფრანგეთი | ნ | კანი | 0,52 |
| კარლ სერანტი | ინგლისი | მც | ოლდემი | 0,5 |
| გეირგ გეორგიადისი | საბერძნეთი | ნ | პანათინაიკოსი | 2,42 |
| გარი ბრედი | ინგლისი | ნ | ტოტენჰემი | |
| **ნოტინგემ ფორესტი** | | | | |
| დუჯი ფრიდმანი | ინგლისი | თ | თულოვერჰემპტონი | 0,95 |
| ჯან კლოდ დარშევილი | საფრანგეთი | თ | რენი | 0,7 |
| **შეფილდ უენსდეი** | | | | |
| ვინ იონკი | ჰოლანდია | ნ | ინდჰოვენი | 2,5 |
| **საუთჰემპტონი** | | | | |
| მარკ ჰიუზი | ინგლისი | თ | ჩელსი | 0,65 |
| სტიუარტ რიპლი | ინგლისი | თ | ბლექბერნი | 1,5 |
| ჯეიმს ბიტი | ინგლისი | თ | ბლექბერნი | 1 |
| დევიდ ჰოულზი | ინგლისი | ნ | ტოტენჰემ ჰოთსფური | |
| **ტოტენჰემ ჰოთსფური** | | | | |
| პაოლო ტრამეცანი | იტალია | მც | პიაჩენცა | 1,4 |
| **ვესტ ჰემი** | | | | |
| ხავიერ მარგასი | ჩილე | მც | უნივერსიდად კატოლიკა | 2 |
| იან რაიტი | ინგლისი | თ | არსენალი | |
| მარკ კელერი | საფრანგეთი | თ | კარლსრუე | |
| შაკა ჰისლოპი | ინგლისი | მ | ნიუკასლი | თავ. ტრანსფერი |
| ნილ რადოკი | ინგლისი | მც | ლივერპული | |



რენატ დასაევის სიყრმე

# დასაევს ახსოვს თბილისი და ვან ბასტენის გოლი

1982 წლის ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პელემ სასტიკად გააკრიტიკა თანამემამულეთა ნაკრების გოლკიპერის, პერესის თამაში. ხოლო როდესაც ჰკითხეს, ვინ მიაჩნდა ამ პირველობის საუკეთესო მეკარედ, პელემ დაუყოვნებლივ დაასახელა საბჭოთა კავშირის ნაკრების კარის დარაჯი რენატ დასაევი და თანაც აღნიშნა, რომ დასაევმა არა მარტო ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, არამედ საერთოდ, იგი პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეაო. თითქოს პელეს სიტყვების დასტურად, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დასაევი ჟურნალისტების და ფეხბურთის სპეციალისტების მიერ შედგენილ სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ფაქტობრივად, მსოფლიომ ახალგაზრდა მეკარე საუკეთესოდ აღიარა. ეს მოხდა 1982 წელს, როცა რენატ დასაევი 25 წლის იყო. მაგრამ განა შეეძლო ვინმეს ამის პროგნოზირება თხუთმეტიოდე წლის წინ? მაშინ, როცა ასტრახანში, ვოლგის პირას მცხოვრებ რენატს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული მდინარის გადაცურვა და ამ ოცნებამ იგი ცურვის სექციაში მიიყვანა.

— მოცურავისთვის საკმაოდ კარგი მონაცემები აღმომაჩნდა, — იხსენებს რენატ დასაევი, — ძალიან მალე პატარა უკვე სპორტულ ჯგუფში გადამიყვანეს და სერიოზული ვარჯიშებიც დამეწყო. მწვრთნელები ჩემით კმაყოფილები იყვნენ და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ტრავმის გამო იძულებული გავხდი, ცურვას საკმაო ხნით ჩამოვცილებულიყავი. ამ პერიოდის განმავლობაში ფეხბურთს მივეძალე და გამოჯანმრთელების შემდეგ ცურვაზე აღარც მივბრუნებულვარ. მიზეზი? გავაცნობიერე, რომ ფეხბურთის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო და მცირე ხნის შემდეგ ჩემს სიცოცხლეში ახალი პერიოდი დაიწყო: მამამ საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა.

**— და დაიწყო ელვისებური აღმასვლა?**

— არა, რა თქმა უნდა. თავიდან ძალიან არ მიმართლებდა. ჯერ ერთი, თანატოლებთან შედარებით დაბალი და სუსტი ვიყავი, რაც გამუდმებული დაცინვების საბაბი ხდებოდა. ასაკის მატებასთან ერთად ტანი წამოვიყარე, ჩვიდმეტი წლისა მშობლიურ ასტრახანის ვოლგარში მიმიწვიეს. თითქოს საქმეც გამოსწორდა, მაგრამ ფორტუნამ კვლავ ზურგი მაქცია. ესოდენ ახალგაზრდულ ასაკში ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ფეხზე მომიწია მენისკის ოპერაციის გაკეთებამ. თუმცა ახლობელთა თანადგომამ ყველაფერი დამაძლევინა და 1977 წელს კონსტანტინე ბესკოვის მიწვევით მოსკოვის სპარტაკში აღმოვჩნდი. აქვე გეტყვით, რომ ფეხბურთელობისას მრავალი რამ გადამხდენია, უამრავ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, საზღვარგარეთაც მითამაშია, მაგრამ სპარტაკში გატარებული წლები უბედნიერესი და ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემს კარიერაში.

**— საბჭოთა კავშირის პირველობასა და თასის გათამაშებაზე მართლაც ნაყოფიერად იღვწოდით და ტიტულებიც მრავლად დააგროვეთ. ამას დაემატა მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს და ევროპის 1988 წლის პირველობის ვერცხლის მედლები. როგორ ფიქრობთ, შეგეძლოთ მეტისთვის მიგეღწიათ?**

— რთული სათქმელია, მაგრამ ალბათ, შემეძლო. უფრო სწორად, შეგვეძლო, რადგან ფეხბურთი უაღრესად კოლექტიური თამაშია. ჩემი თაობის საბჭოთა კავშირის ნაკრები იმსახურებდა იმას, რომ კიდევ ერთი, ნებისმიერ ფეხბურთელისთვის საოცნებო და უძვირფასეს შეჯიბრებაზე მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ სხვადასხვა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა ფაქტორებმა თავისი როლი ითამაშა და...

**— მსოფლიოს ჩემპიონატს გულისხმობთ?**

— დიახ. 1982 წელს კარგი გუნდი გვყავდა, რომელიც ბრწყინვალე შემსრულებლებით იყო დაკომპლექტებული. მიუხედავად იმისა, რომ ზედ ჩემპიონატის წინ ერთბაშად სამი წამყვანი ფეხბურთელი: ხიდიატულინი, ყიფიანი და ბურიაკი გამოგვაკლდა, ნახევარფინალში გასვლამდე სულ მცირედი დაგვაკლდა. იქ კი, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

**— მაინც რამ შეგიშალათ ხელი?**

— ამაზე უამრავჯერ მიფიქრია და ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად გამოუცდელობა მიმაჩნია. ჩვენს ფეხბურთელთა დიდ უმეტესობას არ ჰქონდა მსგავსი ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება, რაც უბრალოდ, აუცილებელია წარმატების მისაღწევად. გარდა ამისა, როგორც შემდეგ სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ერთობ საეჭვო იყო მწვრთნელთა ტრიოს: ბესკოვი, ლობანოვსკი, ახალკაცი ჩამოყალიბების მანამდე უპრეცედენტო ფაქტი. ამ აზრს მოთამაშეებიც იზიარებდნენ, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ იყო. ლობანოვსკის და ახალკაცს ბესკოვის დახმარება ევალებოდათ. სხვათა შორის, ეს აზრი თავად კონსტანტინ ივანოვიჩს ეკუთვნოდა, რომელმაც სამწუხაროდ არ გაამართლა. ლობანოვსკი, როგორც ყოველთვის, ძალიან აქტიურობდა. ახალკაცი ბევრად თავდაჭერილად იქცეოდა, თითქოს ესმოდა, რომ მას მხოლოდ დახმარება ევალებოდა. ერთი სიტყვით, როგორც გამოჩნდა, ამ ნაბიჯმა ავნო გუნდის მომზადებას. მაგრამ საუბედუროდ, უკვე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

**— ეს ინტერვიუ ქართული საინფორმაციო საშუალებების დაკვეთით შედგა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენსა და ქართველ ფეხბურთელებს შორის განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა იყო ჩამოყალიბებული. იქნებ მათ შესახებაც გვეთქვათ რამე.**

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მანამ ფეხბურთელებზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვას თბილისელ გულშემატკივრებზე ვიტყვი. სიმართლე გითხრათ, ჩემი კარიერის მანძილზე იშვიათად შემხვედრია ფეხბურთის ნიუანსებში ისე ღრმად ჩახედული გულშემატკივარი, როგორიც თბილისშია. და რაც მთავარია, იქ იციან როგორც თავისი, ისე მეტოქე გუნდის კარგი თამაშის დაფასება და კარგი თამაშის აღნიშვნა. შემთხვევითი არ იყო, რომ როცა თბილისში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსის ნაკრებს ვძლიეთ, ბრიტანელთა მწვრთნელმა საჯაროდ აღნიშნა: საშუალება რომ გვქონდეს, ჩვენს ზოგიერთ შეხვედრას სწორედ ობიექტური თბილისელი მაყურებლის წინაშე ჩავატარებდითო.

რაც შეეხება ფეხბურთელებს, ჩვენ მართლაც ჩინებული დამოკიდებულება გვქონდა. განსაკუთრებით ახლოს ვიყავი მათთან, ვისთანაც ნაკრების შემადგენლობაში მიწევდა თამაში. საშა ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე ჩვენი დაცვის წამყვანი მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ მათი თამაშის სტილი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მე და თენგიზმა ნაკრებში დაახლოებით ერთ დროს დავიწყეთ თამაში და მაშინვე დავრწმუნდი მის ბრწყინვალე მონაცემებში. მამაცი, თავგანწირული, ფიზიკურად ძლიერი სულაქველიძე ყველაზე რთულ მატჩებშიც კი არ იბნეოდა და საუკეთესოდ ირჯებოდა. მას ყოველთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა გუნდისთვის.

სულ სხვა სტილის მოთამაშე იყო ჩივაძე. ნაკრების კაპიტანს ძლიერი ნერვები და რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტუიცია გააჩნდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საშას ხშირად უწოდებდნენ „ფეხბურთის პროფესორს“, „ფეხბურთის გროსმაისტერს“, და ვინ იცის, კიდევ რა კომპლიმენტებით არ ამკობდნენ მას.

ძალიან ეშმაკი თავდამსხმელი იყო რამაზ შენგელია. თბილისის „დინამოსთან“ თამაშისას ყოველთვის მიჭირდა მის წინააღმდეგ პაექრობა, რადგან შენგელიას ძალიან არასტანდარტული და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება უყვარდა და მათი შესრულებაც ეხერხებოდა. თუმცა, ნაკრებში თამაშისას იგი რამდენიმე ბლოხინის ჩრდილში იყო მოქცეული.

და, რა თქმა უნდა, დავით ყიფიანი — უნატიფესი ფეხბურთის მიმდევარი. მოთამაშე, რომელმაც ყოველთვის იცოდა, თუ რა სურდა მოედანზე. გარდა იმისა, რომ დათო შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, იგი თავმდაბლობის და კარგი მეგობრის განსახიერებასაც წარმოადგენდა. ყველას ძალიან გვეწყინა, როდესაც გამუდმებულმა ტრავმებმა იგი აიძულა, ნაადრევად ჩამოცილებოდა ფეხბურთს, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სულ მცირე ხნით ადრე. არადა, დარწმუნებული ვარ, ესპანეთში დათო მთელი თავისი ოსტატობით გაიბრწყინებდა. მოხარული ვარ, რომ ყიფიანს სამწვრთნელო ასპარეზზეც კარგად მისდის საქმე. ის ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელი იყო და როგორც ვხედავ, არც მწვრთნელობისას დათმო პოზიციები.

მინდა სხვებსაც გადავცე მოკითხვა. სათითაოდ ჩამოთვლას არ დავიწყებ, თორემ შეიძლება ვინმე გამომრჩეს კიდეც.

**— ესპანეთის „სევილიადან“ წამოსვლის შემდეგ თქვენ როგორღაც ამოვარდით გულშემატკივართა თვალთახედვის არედან.**

— სიმართლე გითხრათ, როდესაც ვუფიქრდები, ვხვდები, რომ ესპანეთში თამაშმა პროფესიული თვალსაზრისით, ბევრი ვერაფერი შემძინა, თუ, ცხადია, არ ჩავთვლით გამოცდილებას. სამაგიეროდ, მე აქ გადავდგი პირველი ნაბიჯი, როგორც მწვრთნელმა. ვმუშაობდი სხვადასხვა გუნდებში მეკარეთა მწვრთნელად, მაგრამ ძალიან მენატრებოდა სამშობლო და ამიტომ პირველივე შესაფერისი წინადადების მიღებისთანავე აქეთკენ გამოვეშურე. ამჟამად ჩემი მშობლიური მოსკოვის „სპარტაკის“ მეორე მწვრთნელი ვარ.

**— მეკარეთა რომელი სკოლა მიგაჩნიათ მსოფლიოში უძლიერესად?**

— უდავოდ საბჭოთა. იაშინი, კავაზაშვილი, მასლაჩენკო, ძმები ჩანოვები, პილგუი... ამ სიის გაგრძელება ალბათ, უსასრულოდ შეიძლება.

**— ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე თქვენს კარში გატანილ რომელ გოლს გაიხსენებდით?**

— ძნელია ასე უცბად პასუხის გაცემა, მაგრამ მე მაინც 88 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიელებთან ფინალურ მატჩში ვან ბასტენის მიერ გატანილი ბურთი მახსენდება. ასეთი დარტყმები ას წელიწადში ერთხელ გამოდის. ვან ბასტენს კი იგი ჩემთან, თანაც გადამწყვეტ მატჩში გამოუვიდა.

**იური ციბანიოვი მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**



1982 წელი. თბილისი. დასაევი შენგელიას წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. I ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ვოლფსბურგი — ბაიერნი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ნიურნბერგი — ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მიუნხენი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლევერკუზენი — ჰანზა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბოხუმი — ფრაიბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მიონხენგლადბახი — შალკე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 16 აგვისტო | | | |
| ჰერტა — ვერდერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. IV ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბერლინი — ფორტუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 16 აგვისტო | | | |
| ვატენშაიდი — კოტბუსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ფიურტი — ობერჰაუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უნტერჰახინგი — ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კიოლნი — ულმი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| არმინია — მაინცი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კიკერსი — დიუსელდორფი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ურდინგენი — გიუტერსლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 17 აგვისტო | | | |
| კარლსრუე — ზანქტ პაული | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**ინგლისის ჩემპიონატი, პრემიერლიგა. I ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბლექბერნი — დერბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქოვენთრი — ჩელსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ევერტონი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მანჩესტერი — ლესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მიდლსბრო — ლიდსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნიუკასლი — ჩარლტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| შეფილდ უენსდეი — ვესტ ჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 16 აგვისტო | | | |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 17 აგვისტო | | | |
| არსენალი — ნოტინგემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. II ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბოლტონი — გრიმსბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ქრიუ — ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰადერსფილდი — პორტველი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| იფსვიჩი — ბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ოქსფორდი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — ბრისტოლი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| სტოკპორტი — ნორვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სვინდონი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უოტფორდი — ბრედფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — შეფილდ იუნაიტედი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. II ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| დანფერმლაინი — დანდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რეინჯერსი — მოზერველი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სტ. ჯონსტონი — კილმარნოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 16 აგვისტო | | | |
| აბერდინი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| დანდი იუნაიტედი — ჰართსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ლე ავრი — ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მონაკო — სოშო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლანსი — ლორიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიონი — ტულუზი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პსჟ — ბასტია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ნანტი — სტრასბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ოსერი — ნანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| მონპელიე — რენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მეცი — მარსელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**რუსეთის ჩემპიონატი. XXI ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| დინამო — როტორი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლოკომოტივი — შინიკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ზენიტი — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კრ. სოვეტოვი — ტიუმენი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ალანია — ცსკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ჟემჩუჟინა — ტორპედო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — როსტსელმაში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 16 აგვისტო | | | |
| ურალანი — სპარტაკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. V ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რიდი — ლუსტენაუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შტაირი — ლინცერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| შტურმი — გრაცერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ტიროლი — რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ლუცერნი — ლუგანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სერვეტი — სტ. გალენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბაზელი — ქსამაქსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სიონი — იანგ ბოისი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 16 აგვისტო | | | |
| არაუ — ლოზანა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ.



ბურთები მოსკოვის თავზე

# ფეხი ჩავკარ კალათასა

## ქუჩენა-ქუჩენით მოსკოვის ცაში

მანამ ჩვენი „ხომალდი“ აირით გაივსებოდა, ცაში ჩამოკიდებულ სხვა ბურთებს ფოტოაპარატით დავდევდი, ხმელეთზე კი „სეროჟას სიზმარიდა“ დარჩენილიყო. მალე იმისი ფერდებიც შეივსო, წამოდგა, წამოიმართა და რომ არ აფრენილიყო, ჩვენი ეკიპაჟის წევრები გონდოლაზე შემომჯდარ-ჩამოყრდნობილნი თავიანთი სიმძიმით აკავებდნენ, მეთაური კი უკვე კალათაში იდგა და გემის კაპიტანივით გაჯგიმული რაღაც განკარგულებებს იძლეოდა, მერე, „გდე ნაშ გრუზინ“-ო იკითხა და მეც თვალებით დიდხანს არ ვაძებნინე თავი. ბაკლანოვმა ვიღაც თავის მეგობარ მოკლექვედაბოლოიან ახალგაზრდა ქალბატონსაც უხმო, ისიც გამოქანდა, თარჯმორბენალივით აპლაკა ფეხები, კალათაში ჩამოგვიხტა და შპალერივით ამეკრო: შევიშმუშნე, მაგრამ მისადგომ-მოსადგომი ადგილი აღარც ჩანდა — ჩვენს მხარეს ოთხი გაზის ბალონი იყო, იქითაც ამდენივე, შუაში კი ბაკლანოვი აყუდებულიყო ბეტონის კედელივით. დარჩენილ ადგილზე მეთაურის მეგობრის დაქალი ბავშვიანად ჩამოხტა. ჩამოხტა და ვიფიქრე, საჰაერო ბურთია თუ გაჩერებაზე ჩამომდგარი ტროლეიბუსი-მეთქი. ნათელი იყო, რომ ბაკლანოვის დათვები: ალექსანდრე, ბორისი, ვლადიმერი და სერგეი ჩვენს საპატივსაცემად რჩებოდნენ. მაგრამ ჰელენი! ჰელენს შორიახლოს ხელით მოუჩრდილია და აჭრელებულ ცას შესცქერის.

— ჰელენ! — ვიყვირე მე. მაგრამ ბაკლანოვმა „დავაი, პალიტელი“-ო, თქვა და მისმა ბიჭებმა გონდოლას ხელი უშვეს, თავად კი ორთქმავლის საყვირივით მავთული ჩამოწია, ბურთს ერთი დოზა ცეცხლი შეუქშიტინა და მიწას მოვწყდით. ამ დროს ჰელენიც მოვარდა და ბურთს ჩამოეკიდა.

— ჰელენ! — კიდევ ერთხელ ვიყვირე და მისკენ ხელებგაწვდილი კალათიდან გადმოვეშხე

„ტი ჩტო?!“ — შემომესმა ქვემოდან და



ტყეებში არყის ხეები მოსხეპილებივით ეყარა

ერთ-ერთი დათვთაგანი ჰელენს ეცა.

„ტი ჩტო?!“ — იმავდროულად ზემოდანაც ჩამომესმა ბაკლანოვის ხმა, მერე იმისი მძიმე ხელი მხარზე დამეცა და მომქაჩა.

მორჩა, დაემსხვრა ჰელენს ოცნება — „სეროჟას სიზმარი“ უჩუმრად ლიფტივით ზემოთ მიცურავს.

ნაღვლიანად გადმოვყურებ ქვემოთ დარჩენილი ჰელენის ცრემლიან თვალებს, ის კი ჩემი თუ საკუთარი თავის გასამხნევებლად უმალ მხიარულდება, ხელს მიქნევს და ამომძახის, არა უშავს, ხვალ გავფრინდებით ერთად, მერე კი პოლუსზეცო.

პირველი ადამიანი, ვინც საჰაერო ბურთით ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა განიზრახა, იყო შვედი ინჟინერი სოლომონ ანდრე. 1897 წელს მან თავის მეგობრებთან ნილს სტრინდბერგთან და კნუტ ფრენკლენთან ერთად პოლუსისკენ იალო გეზი. ძლიერი სამხრეთის ქარი ქროდა. ანდრეს „არწივი“ ნელა აცურდა ცაში. დაახლოებით 50 მეტრს რომ მიაღწია, როგორც ჩანს, ქარმა ზემოდან მძლავრად დაუბერა და ბურთიც ფრთამოტეხილი ფრინველივით დაეშვა ძირს. გონდოლა წყალში ჩავარდა. აერონავტებმა ბალასტით სავსე ტომრების გადმოყრა დაიწყეს და „არწივმაც“ მკვეთრად აიღო სიმაღლე.

ასე გადაიშალა ჩრდილოეთის ოკეანის თავზე ფრენის ისტორიის პირველი ფურცელი.

გადიოდა დღეები, კვირეები, წლები, მამაცი აერონავტებისგან კი არაფერი ისმოდა. ანდრეს მიერ გაშვებული საფოსტო მტრედებიდან მხოლოდ მესამემ შეძლო „ამბის მიტანა“. ამის შემდეგ გავიდა 33 წელი. ნორვეგიის ხომალდი „ბრატკოგის“ ეკიპაჟმა ანდრეს უკანასკნელი ბანაკი აღმოაჩინა. „არწივს“ მეთხუთმეტე ლამეს გადატანილი დიდი თავგადასავლების მერე შეუწყვეტია ფრენა. ეს მომხდარა შპიცბერგენიდან 300, ხოლო ფრანც-იოსების მიწიდან 350 კილომეტრის მოშორებით. როგორც ჩანს, ბურთის აფრენა ველარ მოუხერხებიათ, რადგან ისიც გაყინულა, თოკებიცა და გონდოლაც. „არწივი“ დამძიმებულა და აერონავტები მოდრეიფე ყინულზე დარჩენილან. ანდრესა და ფრენკელის გვამებს კარავში მიაგნეს, ხოლო სტრინდბერგი ბანაკიდან 30 მეტრის მოშორებით ნახეს დაკრძალული. ვარაუდობენ, რომ სტრინდბერგი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, ანდრე და ფრენკელი კი კარავში გაზით მოიწამლნენ.

ახლა დავუბრუნდეთ ქვემოთ დარჩენილ ჰელენს, რომელიც ხელისქნევით მაიმედებს, პოლუსზე ერთად გავფრინდებითო.

იქნებ მართლაც გავფრინდეთ, თუ მანამდე არ გააფრინა აქაურმა მილიციამ თუ პოლიციამ ან სამხედრო საჰაერო ძალების გენერლებმა, რომლებსაც „მიგები“ ემორჩილებიან.

„მიგები“, ბომბდამშენები, სადესანტო თვითმფრინავები, სამხედრო შვეულმფრენები და სხვა ნაირგვარი საფრენ-საბრძოლო აპარატები ქვემოთ დარჩენილნი თვლემენ, მაგრამ მათი გამოღვიძება სულაც არ მაშინებს, რადგან საავიაციო მუზეუმის ექსპონატები არიან. აი, სხვა აეროდრომიდან კი შესაძლოა ვიღაცას რაღაც მოეჩვენოს, „მიგები“ დაგვადევნოს და გვბუთქოს, როგორც შარშანწინ ბელარუსიის თავზე გარსაქვეყნო მოგზაურობაში მიმფრინავ ბურთებს. ამიტომ მოსკოვის ცაში ერთხანს სულ რაღაც უბედურობა მელანდება, მაგრამ ამ მოჩვენებებზე „სარბიელის“ მკითხველს უკვე ვუამბეთ 124-ე ნომერში სათაურით „ლანდი ცაზე“, ამიტომ გამეორება, თუმცა ცოდნის დედა კია, მაგრამ მაინც ზედმეტად მიმაჩნია.

ასეა თუ ისე, რუსეთში საჰაერო ბურთებით აერონაოსნობა სპორტისა და მოგზაურობის ახალი სახეობაა, დასავლეთ ევროპისა და სხვა კონტინენტების სახელმწიფოებში კი მრავალი წელია, რაც დიდი და პატარა გადაფრენები ეწყობა, იმართება შეჯიბრებები და კომერციული ფრენებიც, სადაც ხალხს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს მშვენიერად გაფორმებული სარეკლამო პროსპექტებითა და აფიშებითაც იწვევენ. სანიმუშოდ ლისაბონში დასტამბული პროსპექტიდან ამონაწერს გაგაცნობთ: „400 კუბური მეტრი ცხელი ჰაერით სავსე ბურთი ნელ-ნელა აგაფრენთ პორტუგალიის ცაში, რათა იქიდან გადმოხედოთ უმშვენიერეს ლანდშაფტს, თვალწარმტაც ხედებს, მწვანე სანახებს, მშვენიერ ზვრებს, ზეთისხილის ხეებს, შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეებს. ჩვენ მუდამ მივფრინავთ, როცა კარგი ამინდია. მოგზაურობას დილით ან ნაშუადღევს ვიწყებთ. ეს საუკეთესო დროა ფრენისთვის. ერთიდან სამი-ოთხი საათის განმავლობაში დატკბები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით და გამოცდით საკუთარ თავს. იგრძნობთ ენით აუწერელ სიამოვნებას. ჩვენი გამოცდილი პილოტების ძრავა და მეგზური ქარია. არასოდეს არ იცი წინასწარ, საით გაფრინდები და სად დაეშვები რბილად, როგორც კარაქში. თქვენს დაშვებას პერსონალური სერტიფიკატითა და შამპანურით აღვნიშნავთ. ფრენა შეუძლია 12-დან 120 წლამდე ადამიანებს. ეს ყველაფერი 30 ათასი ესკუდო დაგიჯდებათ. თუ ფრენის საგზურს თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს მიართმევთ, ეს მათთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება“...

მართალი ყოფილა ეს სარეკლამო პროსპექტი, ჩვენი ფრენა უდიდესი განცდა და სიამოვნება აღმოჩნდა. ჩვენი ბურთიდან მთელი მოსკოვი ხელისგულივით მოჩანდა, გადავუფრინეთ აეროდრომს, საცხოვრებელ კორპუსებს, უშველებელი ქარხნების მხრჩოლავ მილებს, მინდვრებს, ტყეებს...

ამასობაში მზე ჰორიზონტზე დაესვენა, მის მინავლებულ სხივებს კი მოქნეული მათრახივით დაკლაკნილი მდინარე მოსკოვი ირეკლავდა და ვერცხლისწყალივით ლაპლაპებდა.

ცაში იდილიურ მყუდროებას დაესადგურებინა. სამარისებურ სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ ცეცხლისმტყორცნელი მოწყობილობის ქშენა და ფოტოაპარატის ჩხაკუნი არღვევდა. დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ ქალაქს, მინდვრებსა და ტყეებს საშინელი გრიგალი დაატყდა თავს, მაგრამ მის კვალს ზემოდან უფრო თვალნათლივ ვხედავდით — ტყეებში არყის ხეები მოსხეპილებივით ერთმანეთზე ეყარნენ, როგორც ყანაში წაქცეული სიმინდი.

ტყიდან გამოსულნი ისევ საცხოვრებელ კორპუსებს წამოვადექით თავზე. მანამ იქ მივფრინდებოდით, ეკიპაჟის მეთაურმა ცოტა თავგადასავალიც ხომ გვინდაო, ბურთი დაბლა დაუშვა, გონდოლა ერთი არყის ხის კენწეროს გაუსწორა, გააქანა და დააჯახა. ვიფიქრე, ეგ არის და კალათა ამოყირავდება, ჩვენ კი აწონილი კარტოფილივით გადმოვიყრებით-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, გონდოლას დარტყმა თითქმის არც უგრძვნია, იმ არყის ხის კენწერომ კი ერთი საშინელი ჭახანი მოადინა და იქვე ჩაიჩეხა.

მერე, კორპუსებიანი ეზოს თავზე ბაკლანოვმა, მოდი ერთიც წავიხულიგნოთო და ბურთი დაუშვა. მერე ეკიპაჟის მეთაურმა ერთ კორპუსთან ეზოში, არყის ხეებში ჩაფლულ მაგიდასთან მსხდომი სამი თუ ოთხი მამაკაცი შენიშნა, ბურთი ზუსტად იმათ თავზე დაკიდა და ხეებს შუა ჩვენი კალათი ისე ჩაეშვა, როგორც ვედრო ჭაში. ახლოს დაშვებულები ვხედავთ, ერთს თავი მაგიდაზე ჩამოუდვია, მეორე მთელი ტანით „სუფრაზე“ დასვენებულა, მესამე კი გადაქანებულა, ხეს მიყრდნობია და თავი მოწყვეტილივით დაუკიდია, მაგიდაზე კი არყის გამოცლილი ბოთლები მიმოფანტულა. იქვე ერთი მჟავე კიტრიც მოჩანს გაზეთის ნაგლეჯზე. ცოტაც და ჩვენი კალათა იმათ მაგიდაზე წამოსკუპდებოდა. სწორედ ამ დროს ვიღაცის ყვირილი შემოგვესმა, გავიხედეთ და ვიღაც მთვრალი იმ მაგიდისკენ მირბის ყვირილით. ეტყობა, იმათი მეინახეა და უყვირის, „შეხედეთ, შეხედეთ“. ისინი კი ყურს არ იბერტყავენ. ამით გაგულისებული მთლად შლეგიანივით აყვირდა, „ტფუუ, პოსმოტრიტე ნავერხ, იობ...“, თან თითით ჩვენსკენ ანიშნებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

ამ დროს ბაკლანოვმა ბურთს ერთი გემრიელად შეუქშიტინა. შეუქშინა და ამ უცნაური ხმის გაგონებაზე ვიღაცეები ელდანაკრავებივით წამოცვივდნენ თავიანთთვის მჯდომნი, სკამებიდან გულაღმა გადაცვივდნენ და თავზარდაცემულნი ამოგვაშტერდნენ. მათი ამ ყოფაში სურათის გადაღება მინდოდა, მაგრამ ემანდ გონს არ მოვიდნენ და ეს არყის ბოთლები არ დაგვაყარონ-მეთქი. თუმცა, მათ ისე დავუფრთხეთ ანგელოზები, რომ იქნებ ახლაც გაოგნებულნი სხედან და ფიქრობენ, ნეტა მოგვეჩვენა თუ რა იყოო.

რამდენიმე წამში იქიდან ავორთქლდით და ახლა სხვა კორპუსებს წამოვადექით თავზე, მაგრამ ახლა მთელმა რაიონმა დაგვინახა, ზოგი ფანჯრებს მოაწყდა, ზოგი სადარბაზოდან გამოვარდა და აგვედევნა. ამ ფრენა-ფრენით ბაკლანოვმა კორპუსების ეზოში კალათბურთის მოედნის თავზე ჩამოგვკიდა, მერე კი ნელ-ნელა დავეშვით. დავეშვით და, ჰოი, საოცრებავ, აეროდრომზე დატოვებული ჩვენი ერთი დათვთაგანი დავინახე, ხელებგამოწვდილი რომ გველოდა. თურმე თავის მეთაურს რაციით უცნობებია, აქ და აქ ვეშვებითო და ისიც მანქანით გამოვარდნილა და ზედ ჩვენი დაშვებისას მოედანზე აქოშინებული შემოიჭრა. ბურთს ადევნებული ბავშვებით გაივსო მოედანი. ფანჯრებს მოდგომოდნენ მოსკოველები. დაშვებისას მთელი დუნიის ხალხი შემოგვესია. ისე გვიყურებდნენ, როგორც უცხოპლანეტელებს.

— ვინა ხართ? საიდან მოფრინდით? საით მიფრინავთ? საშიში არ არის ამ ბურთით ფრენა? — ერთმანეთს აღარ აცლის დიდი თუ პატარა. მერე ავტოგრაფებს გვთხოვენ როგორც კინოსა თუ სპორტის ვარსკვლავებს, გნებავთ ვარსკვლავებიდან ჩამოფრენილებს.

ამ ყოფაში რომ ვართ, მოულოდნელად მესმის: „ჩქარა, მეიტანე მაი დასაწვავი ფოტოაპარატი, თვარა დეიჩუტა აი ბურთი“.

ახლა მეორე მხრიდან ვიღაც გაჰყვირის: „თემურ, ბიჭო...“, მესამე მხრიდან ქუთაისური კილოთი უხმობს ირაკლისა თუ გიორგის.

ღმერთო, დიდებულო, მოსკოვიდან ქუთაისში ხომ არ ჩამოვფრინდი? თვალებით ვეძებ ჩვენებურთ, მაგრამ ავტოგრაფების მოყვარულთა ტყვეობაში ვარ. როგორც იქნა, თავი დავაღწიე ალყას და ფლოსტებიან ქართველთა ერთი ჯგუფი მოვძებნე, მივედი და ვეკითხები, ხალხო, ვინა ხართ, ამდენი ქართველი აქ რამ შეგყარათ?“

პასუხად ალმაცერად გადმომხედეს და ბურთისკენ გაიქცნენ, მე კი არ ვეშვები, „ხალხო, გამაგებინეთ, სადა ვარ?“

— შენ რა, ციდან ხომ არ ჩამოვარდი? — მეკითხებიან ისინი.

— ჰო, ციდან ჩამოვვარდი, ამ ბურთით მოვფრინდი! — ვპასუხობ მე.

— დედაია! — შეიცხადეს ქუთაისელმა მაღლაკელიძეებმა, თბილისელმა ციციშვილებმა, ფურცხვანიებმა.

მერე ყველა ერთად და ცალ-ცალკე შინისკენ მეპატიჟებოდა, ქალები — ფინჯან ყავაზე, კაცები — თითო ჭიქა შამპანურზე. მოკლედ, დიდი გადაფრენა სადღაც მანევნიკის 22-ში ქართველებთან სუფრაზე ტაშ-ფანდურით გავასრულე.

და ამ დროს ჰელენი!

ჰელენი, ალბათ, ჩემთან ერთად ოცნებით პოლუსზე მიფრინავდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მოსკოვი-თბილისი**
**ავტორის ფოტოები**



ტყიდან გამოსულნი ისევ საცხოვრებელ კორპუსებს წამოვადექით



კალათიანად ჩვენს ერთ დათვთაგანს ჩაუვარდით ხელში

# მეკარეობა გაძლებაა!

**ჩვენი რესპოდენტი არაჩვეულებრივი სპორტსმენია, უფრო სწორედ, ყოფილი სპორტსმენი, მაგრამ ძნელია სპორტში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანის წარმოდგენა, რომელსაც არ გაეგოს მისი სახელი.**

**ის მეკარე იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში მოუპოვებია უამრავი და ყველანაირი ტიტული. მეკარეობა ჰოკეიში ყველაზე გამორჩეული ამპლუაა. იგი ყოველთვის მოვლენათა ცენტრშია. მთელი 60 წუთის განმავლობაში იძულებულია, იყოს მაქსიმალურად დაძაბული და კონცენტრირებული. გსმენიათ, რა ხმას გამოსცემს შაიბა, როდესაც იგი კარს ცდება და მოედნის შემომღობ კედელს ხვდება? ამის შემდეგ ამ კედელში საკმაოდ მოზრდილი „ორმოები" რჩება. ჰოკეისტთა მიერ დარტყმული შაიბების გრიგალს რომ გაუძლო, ჩვეულებრივი სიმამაცე საკმარისი არ არის. ამისთვის გაბედულთა შორის გაბედული უნდა იყო.**

**ვლადისლავ ტრეტიაკი სხვადასხვა დონეზე ოცი წლის განმავლობაში იცავდა სხვადასხვა გუნდის კარს და ყოველთვის ტრეტიაკად რჩებოდა. ისეთად, როგორადაც სპორტის მოყვარულებს გვახსოვს. დღეს ტრეტიაკი 46 წლისაა, მაგრამ ჟამთასვლამ ამ ლეგენდარულ სპორტსმენს ვერაფერი დააკლო და ის უწინდებურად ენერგიული, ხალისიანი და მიზანსწრაფულია.**



46 წლის ვლადისლავ ტრეტიაკი

**— ახლახან ჩატარდა NHL-ის ვეტერანების, გამოცდილი მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვა, რომელთაც უნდა დაესახელებინათ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეები ამპლუათა მიხედვით. გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ საუკეთესო მეკარედ სწორედ თქვენ დაგასახელათ.**

— ამის შესახებ მეც გავიგე და ძალიანაც გამეხარდა. სასიამოვნოა, რომ ამდენი წლის შემდეგ ხალხს ისევ ვახსოვარ და მაფასებენ. ვგულისხმობ ოკეანისგაღმელებს, თორემ ჩვენი გულშემატკივრები ახლაც მცნობენ და დიდი პატივისცემითაც მეპყრობიან, რისთვისაც ძალიან მადლიერი ვარ.

**— სანამ წარსულის გახსენებას შევუდგებოდეთ, მოდით, გავაგებინოთ მკითხველს, თუ რით ხართ ამჟამად დაკავებული?**

— ჰოკეისტის კარიერის დასრულების შემდეგ ვმუშაობდი ჩემი პროფილით, ანუ სამხედრო მოსამსახურედ, მაგრამ გულმა დიდხანს ვერ მომითმინა და იძულებული გავხდი, კვლავ დავბრუნებოდი საყვარელ საქმიანობას. როდესაც სპორტს მრავალი წელი შესწირე, ძნელია, ასე ერთბაშად, უცებ გამოეთხოვო მას. ჩემთვის ეს ძნელი კი არა, შეუძლებელიც აღმოჩნდა და ამიტომ მშობლიურ ცსკა-ში დავბრუნდი, სადაც ახალგაზრდა მეკარეებს და არა მარტო მათ ვავარჯიშებ. ჩემი მრავალწლიანი კარიერა მაძლევს იმის საშუალებას, რომ სხვა მოთამაშეებსაც გავუზიარო გამოცდილება და გარკვეული სარგებლობა მოვუტანო. ახლა სწორედ ცსკა-ში ვმუშაობ. სამხედრო სამსახურსაც შევეშვი და პოლკოვნიკის რანგში, როგორც ამბობენ, დასასვენებლად წავედი.

**— გენერლობაზე არ გიოცნებიათ?**

— მართლაც არ ვარგა ის ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს, მაგრამ მე გენერლობას სხვაგან, თეთრ ყინულზე მივაღწიე და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა სამხედრო კარიერაშიც ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. არავის ძალუძს თქმა, რა იქნება მომავალში. ისე კი, ცსკა-შიც და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ჩვენ მხოლოდ ერთი გენერალი გვყავდა — ტიხონოვი.

**— ტიხონოვის თემას მოგვიანებით დავუბრუნდეთ. ახლა კი ისევ თქვენზე ვისაუბროთ. თუ არ ვცდები, ჰოკეის სექციაში დედამ მიგიყვანათ.**

— მართალია. დედამ ძალიან დიდი როლი შეასრულა ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში. თავის დროზე თავადაც სპორტსმენი იყო, თამაშობდა მინდვრის ჰოკეის და მშვენივრად უწყოდა, რა მჭირდებოდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ადრეულ ასაკშივე დავუმეგობრდი სპორტს. ჰოკეიმდე დავდიოდი თხილამურებზე, ცურვაზე, წყალში ხტომაზე. ამიტომაც გავიმარჯვე ცსკა-ს ჰოკეის სკოლაში გამართულ კონკურსში. იქ მეკარის ვაკანსიაზე ჩემს გარდა კიდევ 20 კანდიდატურა იყო. ჩემდა საბედნიეროდ, ეტყობა, მწვრთნელებმა ჩემში რაღაც დაინახეს და სწორედ მე ამომარჩიეს.

**— ამბობენ, რომ ბავშვობაში თავდამსხმელობაც მშვენივრად გამოგდიოდათ. ვინც არ იცის, მათთვის გავიხსენებ თქვენი ადრეული ბიოგრაფიის ერთ ფაქტს. ჯერ კიდევ თორმეტი წლისას ფორვარდად მოგიწიათ თამაშმა ცსკა-ს იუნიორთა გუნდში. მაშინ ორ მატჩში შეცვალეთ ტრავმირებული თანაგუნდელი და მხილველთა თქმით, ჩინებულად ჩაატარეთ ის შეხვედრები, თანაც თითოეულში თითო გოლი გაიტანეთ. ხომ არაფერი შემშლია?**

— არ ვიცი, როგორ დონეზე ვითამაშე მაშინ, მაგრამ თითო შაიბა მართლაც შევაგორე მოწინააღმდეგის კარში.

**— სწორედ ამაზე მინდოდა მეკითხა. გამოჯანმრთელდა თუ არა თქვენი ფორვარდი პარტნიორი, უმალ მეკარის პოზიციას დაუბრუნდით. დაუბრუნდით ყოველგვარი ფიქრისა და ჭოჭმანის გარეშე.**

— სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე მტკიცედ მწამდა, რომ მეკარეობა ჩემი მოწოდება იყო და ამ ადგილს არაფრის გულისთვის არ დავთმობდი.

*მიუხედავად უმაღლეს დონეზე ძალიან შთამბეჭდავი დებიუტისა (1969 წლიდან ცსკა-ს, ხოლო 1970 წლიდან უკვე ნაკრების მეკარე), ტრეტიაკს დასაწყისში მაინც ძალიან გაუჭირდა. არა, ამის მიზეზი არ იყო არც მოსკოვის „დინამო" ან „სპარტაკი" და არც ჩეხეთის თუ ფინეთის ნაკრებები. მიზეზი სულ სხვა იყო. 1972 წელს იმ დროისთვის უპრეცედენტო მატჩი გაიმართა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრა იქაურ პროფესიონალებთან ამხანაგური მატჩების სერიის ჩასატარებლად. ეს ახლაა ადვილი სათქმელი — ამხანაგური მატჩები, თორემ სინამდვილეში ისინი ნებისმიერ ოფიციალურ შეხვედრაზე უფრო საპასუხისმგებლო იყო. არ დაგავიწყდეთ, რომ ცივი ომი მძვინვარებდა! პირველ თამაშს ჩრდილოამერიკელთა მხრიდან დიდი ფსიქოლოგიური დაწოლა უძღოდა წინ. „ჩვენ მათ ცოცხლად შევჭამთ". „ჩვენ იმდენ შაიბას შევაგდებთ, რამდენსაც გულშემატკივრები გვთხოვენ". „ჩვენ მათ ისე დავლეწავთ, რომ მესამე პერიოდში მოედანზე გამოსაშვები არავინ ეყოლებათ". პროფესიონალთა ასეთი გამონათქვამებით აჭრელებულიყო 2 სექტემბრის გაზეთები. მაგრამ ორი საათის შემდეგ ყველაფერი დასრულებული იყო. 19 ათასი გარინდული გულშემატკივარი ნაღვლიანი თვალებით ადევნებდა თვალს თავიანთ სათაყვანებელ სპორტსმენებს, რომლებიც თავჩაღუნულნი მიემართებოდნენ გასახდელისკენ. სულ მალე კი ტრიბუნათა სიჩუმე გრუხუნით მოედო მთელ მსოფლიოს: მოყვარულებმა პროფესიონალები დაამარცხეს! და ვლადისლავ ტრეტიაკმა ამაში უდიდესი როლი ითამაშა. მრავალ ამერიკულ გაზეთში დაიბეჭდა ისტორიული ფოტო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ იღებს ჯერაც ყმაწვილი რუსი გოლკიპერი სახელგანთქმული ფილ ესპოზიტოს მიერ უძლიერესად დარტყმულ შაიბას. ასეთი ეპიზოდები კი იმ პირველ, ლირსახსოვარ მატჩში უამრავი იყო. ერთი სიტყვით, ტრეტიაკი მსოფლიომ გაიცნო.*

**— რატომ არის, რომ თქვენი საუკეთესო მატჩები სწორედ უძლიერეს მეტოქეებთან ჩაგიტარებიათ?**

— სიმართლე გითხრათ, რაც უფრო ძლიერი იყო მეტოქე, მით უფრო თავდაჯერებულად ვიდექი კარში. ამის ახსნა ძნელია. ეს, ალბათ, ჩემი ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარეობდა.

**— თქვენს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში დედათქვენმა რომ უდიდესი როლი ითამაშა, ეს უკვე თქვით. კიდევ ვის უმადლით ყველაზე მეტად?**

— ჩემს კარიერაზე უდიდესი გავლენა იქონიეს ანატოლი ტარასოვმა, ვიქტორ კონოვალენკომ და ვიქტორ ტიხონოვმა. ტარასოვმა და კონოვალენკომ ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მასწავლეს უამრავი რამ, ხოლო ტიხონოვმა ეს უმაღლეს დონეზე განავითარა.

**— ტიხონოვზე ვაპირებდი მეკითხა. ახლა ბევრი ამტკიცებს, რომ ტიხონოვს არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია. თითქოს მას მხოლოდ ბედმა გაუღიმა იმაში, რომ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი ჩაიბარა.**

— სრული აბსურდია. მეც და ტიხონოვიც ახლა ორივე მწვრთნელად ვმუშაობთ, ორივეს გაგვაჩნია გარკვეული შეხება ცსკა-სთან და ზოგიერთ საკითხში მას კატეგორიულად არ ვეთანხმები. ამას არც ვმალავ და საჯაროდ პრესაშიც აღვნიშნავ, მაგრამ მსგავსი უპასუხისმგებლო და არაპროფესიული განცხადების გაკეთების უფლებას ჩემს თავს არ მივცემ. ამ კაცს უდიდესი ამაგი აქვს არა მარტო ჩემზე, არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრების ნებისმიერ წევრზე. მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, ჩვენ სხვანაირები ვიქნებოდით. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ იმ ვარსკვლავებს ჯერ აღმოჩენა და მერე აღზრდა უნდოდა, თორემ ვარსკვლავად არავინ იბადება. მე ვიცი ის, რაც ახლაც და განსაკუთრებით იმ დროს ბევრისთვის უცნობი იყო. პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი ძლიერი ნაკრები თუ პროფესიონალთა გუნდი, ტიხონოვი რომ არ მიეწვიოს, მაგრამ ძალიანაც რომ სდომოდა, მას არავინ გაუშვებდა. ხომ გახსოვთ, რა დრო იყო. თანაც სამხედრო მოსამსახურეს...

**— თქვენ არავინ გიწვევდათ?**

— მიწვევდნენ, რა თქმა უნდა. მარტო მე კი არა, მთელ გუნდს, და თანაც არაერთხელ.

**— შესაძლებლობა რომ გქონოდათ, წახვიდოდით?**

— რატომაც არა და არა იმიტომ, რომ ჩვენი დონე არ მაკმაყოფილებდა — ადამიანი ყოველთვის ესწრაფვის რაიმე ახლის შესწავლას და ნახვას, სურს, თავი კიდევ ერთხელ გამოსცადოს.

**— არც ფინანსური ფაქტორია ნაკლებმნიშვნელოვანი.**

— რა თქმა უნდა, ესაც არის. მაშინ ამაზე საუბარი არაპატრიოტულად და უღირს საქმედ ითვლებოდა, თორემ რა არის ამაში არანორმალური?

**— თუ იცით, საშუალოდ რამდენჯერ ერთვება თამაშში მეკარე? არასდროს დაინტერესებულხართ ამით.**

— რას ჰქვია თამაშში ჩართვა? მეკარე ყოველთვის თამაშშია. იგი ყურადღებით უთვალთვალებს მოთამაშეთა გადაადგილებას, შაიბის მოძრაობას, იღებს გადაწყვეტილებებს, მოძრაობს. თუ თქვენ გულისხმობთ უშუალო კონტაქტს შაიბასთან, ჩემს დროს ამას საშუალოდ 40-ჯერ აკეთებდნენ მატჩის განმავლობაში. ახლა ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რადგან ძლიერ იმატა ტემპმა და შეტევათა რაოდენობაც შესაბამისად გაიზარდა.

**— ერთობ იღბლიან სპორტსმენადაც გიცნობდნენ, რადგან სერიოზული ტრავმა არასდროს მიგიღიათ, თუ არ ჩავთვლით კარიერის დასასრულს.**

— საბედნიეროდ ასეა. საერთოდ, რატომღაც ისეთი აზრია გავრცელებული, თითქოს მეკარე ერთიანად ნაიარევი და ნაჭრილობევი უნდა იყოს. არადა, თუ იცი შაიბის სწორად დაჭერა, ამისგან თავის დაზღვევა სრულიად შესაძლებელია.

**— შეგშინებიათ მოედანზე?**

— შემშინებია და არაერთხელ. განსაკუთრებით სპორტული კარიერის დასაწყისში. მაშინ, როდესაც შაიბა დიდი სისწრაფით მოფრინავდა ჩემსკენ. ხანდახან თვალებსაც კი ვხუჭავდი. საკმაო გამოცდილების შეძენის შემდეგაც მეუფლებოდა ეს გრძნობა. შაიბის წონა და დარტყმით მოყენებული ტკივილი ხომ არ იკლებს, რა გამოცდილებაც უნდა შეიძინო. სამაგიეროდ, მრავალნაცადი სპორტსმენი უკეთ ახერხებს საკუთარი თავის გაკონტროლებას და უარყოფითი ემოციების დაძლევას, ისეთების, როგორებიცაა ტკივილი და შიში. არაერთხელ მინახავს მაღალი კლასის მეკარეები, რომლებიც ტკივილისგან ტიროდნენ.

**— მრავალი გუნდის წინააღმდეგ გითამაშიათ. რომელი მეკარის თამაშმა დატოვა თქვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება?**

— ჩემი აზრით, ეს ჯერი ჩივერსი იყო. მას ჩვენში ძირითადად, საბჭოთა კავშირისა და პროფესიონალთა ნაკრების მატჩებით იცნობენ, რომლებიც 1974 წელს გაიმართა.

**— ახლანდელ მეკარეთა უმეტესობა, მათ შორის მაღალი კლასის მეკარეებიც კი, „ბრმად" დგანან კარში. თქვენ შეგეძლოთ დარტყმის ტრაექტორიისა და ძალის წინასწარ განსაზღვრა?**

— შემეძლო იმ შემთხვევაში, თუ ჰოკეისტი დარტყმისთვის ემზადებოდა. ამ დროს იშვიათად ვცდებოდი. პირადად მე მხოლოდ ორ მოთამაშეს ვიცნობდი, რომლებიც ყოველგვარი მომზადების გარეშე, მოწყვეტით ურტყამდნენ კარში. ესენი იყვნენ ანატოლი ფირსოვი და ბობი ჰალი. ასეთი დარტყმების მოგერიება ძალიან რთულია.

*თქვენი ნებართვით, შაიბების მოგერიებაზე ერთ ნაკლებადცნობილ ისტორიას მოგითხრობთ ტრეტიაკის ბიოგრაფიიდან, როდესაც მას კარის დაცვამ...ცარიელი ტრიბუნების წინ მოუწია. დიახ, ტრიბუნებზე ერთი კაციც კი არ იყო. ეს მოხდა 1976 წელს კანადაში. საქმე ისაა, რომ კანადის ტელევიზია ყოველწლიურად აწყობს თავისებურ შეჯიბრებას თავდამსხმელთა და მეკარეთა შორის. ეს შოუ ძალიან გასაიდუმლოებულად ტარდება. მონაწილეებს აფიცებენ (?!), რომ ისინი ნაადრევად არ გასცემენ შეჯიბრების შედეგებს. ავტორიტეტული ჟიური ერთმანეთთან აჯიბრებს 16 ფორვარდს და 8 მეკარეს. მეკარეთა სიმტკიცე ბულიტების მოგერიებით მოწმდება. შემდეგ ამ საინტერესო სანახაობის ვიდეოჩანაწერს სტენლის თასის გადამწყვეტი მატჩებისას მრავალჯერ უჩვენებენ ტელევიზიით. იმ წელს ამერიკელებთან ერთად შოუში მონაწილეობის მისაღებად ევროპელებიც მიიწვიეს. მათ შორის იყო ვლადისლავ ტრეტიაკიც. შეჯიბრების პირველ დღეს ტრეტიაკის წინააღმდეგ ცნობილი კანადელი ფორვარდები პოტვინი და ლაროში წარდგნენ. თითოეულს სამ-სამი ბულიტის უფლება ეძლეოდა. თავდამსხმელებმა მხოლოდ ორი ბულიტის გატანა შეძლეს. მეორე რაუნდში ტრეტიაკის წინააღმდეგ უკვე სიტლერი და გრანტი გამოვიდნენ. მეკარემ კვლავ იმარჯვა და მხოლოდ ერთი შაიბა გაუშვა. ერთი სიტყვით, საბოლოოდ ფინალში ტრეტიაკი და კანადელი სტივენსონი გავიდნენ. პირველად კარში სტივენსონი ჩადგა და მხოლოდ ორი შაიბა გაუშვა. დადგა ვლადისლავის ჯერი, რომელმაც გადაწყვიტა არა მხოლოდ გაემარჯვა, არამედ ამ საინტერესო შოუს რეკორდიც გაეუმჯობესებინა. გააუმჯობესა კიდეც. ტრეტიაკმა სახელგანთქმულ კანადელ გრანტს და ჩეხ გლინკას არც ერთი ბულიტის გატანის საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ პროფესიონალებმა საბოლოოდ აღიარეს ტრეტიაკი მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ.*

**— ოდესმე თუ გინანიათ, მეკარეობა რომ აირჩიეთ?**

— არასდროს.

**— ვინ არის თქვენი იდეალი სპორტში?**

— მეკარე ვიქტორ კონოვალენკო. ამ ადამიანმა არა მარტო ოსტატობის, არამედ ვაჟკაცობის გაკვეთილებიც ჩამიტარა. იგი ბრწყინვალე სპორტსმენი იყო.

**— როგორ მოქმედებდნენ თქვენზე ტრიბუნები?**

— ძალიან მიყვარდა სავსე ტრიბუნების წინ თამაში. მიხაროდა, როდესაც ჩემს ყოველ კარგ მოქმედებას გულშემატკივართა აღტაცებული შეძახილი მოჰყვებოდა, მაგრამ ხანდახან ისე ვერთობოდი თამაშით, რომ საერთოდ ვივიწყებდი მათ. იმდენად ვიყავი საქმეში ჩართული, რომ ათასობით მაყურებლის გრგვინვა არც კი მესმოდა.

**— რომელ თავდამსხმელს უფრთხოდით ყველაზე მეტად?**

— ამას ადრეც ხშირად მეკითხებოდნენ იმ იმედით, რომ მათ საყვარელ ფორვარდს დავასახელებდი. მაგრამ სრულიად გულწრფელად გეუბნებით, მე არავისი მშინებია. უბრალოდ, არ შემეძლო ჩემი თავისთვის ამის უფლება მიმეცა. გაცილებით უფრო სასარგებლო იყო თავდამსხმელთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა. ისე კი, ვინც მინახავს, მათ შორის უძლიერესად ცხონებული ვალერი ხარლამოვი მიმაჩნია.

**— მსაჯებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ?**

— ყოველთვის ვცდილობდი თავისთვის შთამეგონებინა, რომ მსაჯიც ისეთივე ადამიანია, როგორიც ნებისმიერი ჩვენგანი და არც ის არის დაზღვეული შეცდომებისგან. მაგრამ ჰოკეი იმდენად დინამიურია და ხანდახან დაძაბულობა ისეთ ზღვარს აღწევდა, რომ ძალიან მიჭირდა ხოლმე მსაჯისთვის პატიება.

**— მეუღლე როგორ უყურებდა თქვენს განუწყვეტელ მოგზაურობებს?**

— ტატიანა ძალიან შორს დგას სპორტისგან. იგი არასდროს ყოფილა გულშემატკივარი, მაგრამ მშვენივრად ესმოდა, რომ თუ ცუდ ხასიათზე წავიდოდი შეხვედრაზე, ამით დავალალატებდი გუნდს, პარტნიორებს, გულშემატკივრებს. ამიტომ ყველანაირად მიწყობდა ხელს.

**— ბავშვობისას ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?**

— სამხედრო მფრინავი. ალბათ, იმიტომ, რომ მამაჩემი იყო ამ პროფესიის.

**— თქვენი ბრწყინვალე რეაქცია თუ დაგხმარებიათ მოედნის ფარგლებს გარეთ?**

— რამდენჯერმე, მანქანის მართვისას, როდესაც გარეთ ძლიერი ყინული იყო და ავარია თითქოს გარდაუვალი იყო.

**— ჰოკეისტობა უფრო ძნელია თუ მწვრთნელობა?**

— მწვრთნელობა.

**— მოედანზე ყოველთვის ძალიან მშვიდი იყავით. საერთოდ თუა შესაძლებელი თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?**



ტრეტიაკი მართლა დიდი მეკარე იყო

— შესაძლებელია, მაგრამ არ ვიცი, როგორ.

**— დაბოლოს, რას ასწავლით თქვენს მეკარეებს?**

— ბუნებრივია, იმას, რასაც თავის დროზე მე მასწავლიდნენ. ოღონდ სწავლების სპეციფიკა კი განსხვავებული მაქვს. გარდა ამისა, მე მათ ვეუბნები, რომ არ არსებობს სპორტში მეკარისაზე უფრო რთული და კეთილშობილური პროფესია და მეკარის მთავარი ღირსებაა, გაძლოს მაშინაც კი, როდესაც მას ძალიან უჭირს. ამას კი ნიჭთან ერთად, საგანგებოდ სწავლაც სჭირდება.

**იური ციგაინოვი მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა"**

# ჩხიროს ჰაპოელი ამბიციურია

**ვის ვის და, რეზო ჩხეიძეს „სარბიელის“ მკითხველთათვის წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. კალათბურთით „დაავადებული“ ჩხიროს სახელი გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. ჩვიდმეტი წელია, ამ საქმეს ემსახურება და არცთუ ურიგოდ. ამ ხნის მანძილზე მუხლჩაუხრელმა შრომამ კი ის მოიტანა, რომ რეზო დღეს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს, ქართული კალათბურთის სამსახურშია და ქომაგნიც მისგან უფრო და უფრო მეტს ელიან.**

**როგორც ყველა ამბიციურ სპორტსმენს, შინაურ პირველობაზე რბენა ჩხიროსაც მოჰყირჭებია და უცხოეთში წასვლა ამოუჭრია გულში. საამისოდ კი აღთქმულ მიწაზე მოუწევს ჩასვლა. გამგზავრებამდე ჩხეიძეების მყუდრო ოჯახს ვესტუმრეთ და რეზოს ინტერვიუ ვთხოვეთ**



რეზო ჩხეიძე

— რომ ჩავედი, ორი ამერიკელი ჰყავდათ. შემდეგ ერთს კონტრაქტი დაუმთავრდა და მეორე უცხოელად მე ამიყვანეს. კანონით გუნდში მეტი არც შეიძლებოდა. წლეულს ეს წესი შეიცვალა, ახლა ბოსმანის წესი კალათბურთშიც ამოქმედდა და უცხოელის სტატუსით აღარ ვიქნები.

**— ისრაელში როგორი კალათბურთის მიმდევრები არიან?**

— პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, ეს კომბინაციური თამაშია. ვარჯიშებზე ხშირად ვმუშაობთ იმაზე, რაც თამაშის დროს ზედმიწევნით სრულდება. თითოეულ მოთამაშეზე რამდენიმე ვარიანტს ვამუშავებთ. ვისაც უკეთ წაუვა თამაში, ძირითადი აქცენტიც იმაზე გადაგვაქვს.

**— იქაც ჩვეულ პოზიციაზე, მეორე ნომრად თამაშობდით?**

— ჩემდა გასაკვირად, გამთამაშებლად გამწევეს. თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მალე ავუღე ალღო. ბოლოს ისე მივეჩვიე, სხვა ადგილზე აღარც წარმომედგინა თამაში. პირველ ნომრად ბავშვობაშიც მითამაშია და ამან ერთი-ორად შემიწყო ხელი.

**— ალბათ, ებრაელთა მეორე ლიგას ტრამპლინად გამოიყენებთ. მომავალში უკეთეს გუნდში გიხილავთ.**

— მეც ეგრე ვფიქრობ. ისრაელში თამაშით მართლაც კარგ რეკლამას იკეთებ. აქედან უფრო ადვილია გზის გაკვალვა. ამით თვითონაც დაინტერესებულნი არიან. ჩემი პრაქტიკისთვისაც კარგი უნდა იყოს იქ ყოფნა. მარტო ჩემს ლიგაში 5-6 ყოფილი NBA-ელი თამაშობს. მგონი, ბევრს ნიშნავს.

**— მოდით, ცოტა წარსულსაც გადავხედოთ. მახსოვს, საბჭოეთის დროს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიგიწვიეს.**

— მე და რამაზ გოგობერიშვილი ვთამაშობდით ქართველთაგან სსრკ-ს ჭაბუკთა ნაკრებში. ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით... იმ დროს აირია ყველაფერი. მოკლედ, არ დაგვცალდა...

**— საბერძნეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე რას იტყვით, ვინ მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— მთლიანობაში კარგი ჩემპიონატი გამოვიდა. თამაშებიც უაღრესად დაძაბული იყო. ერთი ეგ არის, ამერიკელი ვარსკვლავები ვერ ვიხილეთ, რასაც ყველაზე ძალიან ველოდით.

განსაკუთრებით იუგოსლავია მომეწონა. ამ გუნდმა დაამტკიცა, რომ ევროპაში ბადალი არ ჰყავს. არაფერს ვამბობ ამერიკაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ეზოს ბიჭებით იყო შედგენილი. რუსებმაც დამაჯერეს.

ერთი სიტყვით, პროფესიონალების არყოფნამ ასპარეზობას ინტრიგა შემატა. გამარჯვებულის წინასწარ დასახელებაც უაღრესად ძნელი იყო.

**— ბოლოს მინდა ნაკრებზე გკითხოთ. ისრაელში ასპარეზობა ამ მხრივ პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით?**

— არანაირს. თუ გამომიძახებენ, ყოველთვის მზად ვიქნები. ეროვნულ გუნდში ყოფნა ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია და ნაკრების მაისური ერთობ ბევრს მავალებს.

—ორ დღეში ისრაელში მივდივარ. ჩემით ცვატის „ჰაპოელია“ დაინტერესებული. ეს ყველაფერი ებრაელმა აგენტმა შემატყობინა. ფორმალური მხარეც მოვაგვარე და ჩემს წასვლასაც წინ არაფერი უდგას.

**—მაგ კლუბში, მგონი, ადრეც თამაშობდით.**

— ისრაელში შარშანაც ვიყავი. შუა სეზონში ჩავედი და სულ ოთხი თვე დავყავი. მაშინაც სწორედ ამ „ჰაპოელში“ ვითამაშე. ერთი სიტყვით, გუნდს კარგად ვიცნობ და ვიცი, სადაც მივდივარ.

**— უკან რატომღა დაბრუნდით? მახსოვს, პლეი ოფში სდასუს ეხმარებოდით.**

— პირველად რომ ჩავედი, კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გავაფორმე. დამთავრებისთანავე თბილისში ჩამოვედი და პლეი ოფში სდასუში ვითამაშე. ამაში უჩვეულო არაფერია.

**— ეტყობა, ებრაელებს თავი მოაწონეთ. ტყუილად არ დაგიძახებდნენ.**

— ალბათ ასეა, ვერაფერს გეტყვით. ისე, ყოველდღე მირეკავენ და ერთწლიან კონტრაქტს მთავაზობენ. პირობებიც ერთიორად გამიუმჯობესეს. ვფიქრობ, კარგად უნდა მოვეწყო.

**— თვითონ გუნდზეც გვითხარით რამე. საერთოდ იქაურ პირველობაზეც.**

— მეორე ლიგის გუნდია, მაგრამ საკმაოდ ამბიციური. უფრო ამიტომაც მიმიწევს გული. სიმართლე გითხრათ, სხვაგანაც მიწვევდნენ, მაგრამ მაინც „ჰაპოელი“ ვამჯობინე. შარშან მეექვსე ადგილზე გავედით. წელს კი პირველ ანუ ჩვენებურად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავთ მიზნად. საამისოდ ორ საუკეთესოში უნდა მოვხვდეთ. იქ კი სულ სხვა დონეა. ძალიან ძლიერი ლიგაა. ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოც კი ევროპაში.

**— თქვენს გარდა თუ იყვნენ გუნდში უცხოელები?**

**გიორგი ბიძაშვილი**



# აჭარამ მშვილდი მოზიდა

19-23 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქი ბოეგენი უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს მშვილდოსნობაში. ამ პრესტიჟულ ტურნირში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას ორი სპორტსმენით.

ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმში აჭარის, ასე ვთქვათ, ღია პირველობა ჩატარდა, რომელსაც საფრანგეთში წამსვლელთა ვინაობა უნდა გაერკვია. აღნიშნულ შეჯიბრებაში მასპინძლებმა — ხათუნა ფუტკარაძემ და სერგო ბერიძემ გაიმარჯვეს და ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის დაცვის უფლებაც მოიპოვეს. თუ გავითვალისწინებთ იმ უპირატესობას, რაც თბილისთან და საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შედარებით აქვს მშვილდოსნობას აჭარაში, მასპინძელთა გამარჯვება არ უნდა გაგვიკვირდეს, ხოლო როგორი ყურადღება ექცევა იქ სპორტის ამ სახეობას, ამას ქვემორე ინტერვიუდან შეიტყობთ.

რაკილა ორივე სპორტსმენი ბათუმელია, მათ აჭარის სპორტის დეპარტამენტი დააფინანსებს (თბილისი ამის გამკეთებელი მაინც არ არის) და მწვრთნელადაც მათი პირადი მწვრთნელი — თამაზ ფუტკარაძე წაჰყვება. თამაზ ფუტკარაძე ხათუნას მეუღლე და აჭარის მშვილდოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. რადგან ქართული მშვილდოსნობაც ამჟამად ძირითადად ამ რეგიონის მიღწევებს ემყარება, ამიტომ პირველად ბატონ თამაზს გავესაუბრე ამ სახეობის იქაურ ავ-კარგზე.

— ბათუმში სავარჯიშოდ ნამდვილად კარგი პირობები გვაქვს, რაც აჭარის სპორტის დეპარტამენტის დამსახურებაა. მისი ხელმძღვანელები ყველანაირად გვიწყობენ ხელს — ყიდულობენ იარაღს, გვიწყობენ შეკრებებს როგორც ბათუმში, ისე საქართველოს გარეთაც, გვაგზავნიან შეჯიბრებებზე და ა.შ. ახლახან ოთხი მშვილდიც შეგვიძინეს თავისი აღჭურვილობით, გვიშენებენ ახალ ბაზასაც. მოკლედ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველანაირად გვეხმარებიან, ყურადღებას გვაქცევენ და აკი ჩვენებიც ხშირად იმარჯვებენ საქართველოს გუნდურ პირველობაზე. ვერ ვიტყვი, რომ აჭარაში მშვილდოსნობა ძალზე მასობრივი სპორტია-მეთქი. მაგრამ ჩვენ ამჟამადაც გვყავს რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი, თუმცა ყველა ძველი თაობის წარმომადგენელია. ახალი თაობა ნაკლებად მოდის სავარჯიშოდ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან ვარჯიში უფასოა.

**— საფრანგეთისთვის როგორ მოემზადეთ?**

— სოფელ ანგისაში მდებარე ბაზაზე ათდღიანი შეკრება მოვაწყვეთ, ასე რომ, მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილიც ვართ.

**— ევროპის ჩემპიონატზე რას გეგმავთ?**



ხათუნა ფუტკარაძე

— კარგი შედეგის იმედი გვაქვს. აჭარის პირველობაზე ხათუნამ 1272 ქულა მოაგროვა, ერთ-ერთ ვარჯიშზე ამ შედეგს 16 ქულაც კი მიამატა, მაგრამ უამისოდაც იგივე შედეგი რომ გაიმეოროს, ოცეულში თავისუფლად მოხვდება. რაც შეეხება კონკრეტულ შედეგს, ამაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია. სხვათა შორის, აჭარის სპორტდეპარტამენტში ჩვენთვის ადგილი არც დაუგეგმავთ. უბრალოდ, გვისურვეს კარგად გამოსვლა.

ამის შემდეგ თავად ხათუნას გავესაუბრე.

— მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილი ვარ. მინდა აღვნიშნო, რომ აჭარის სპორტის დეპარტამენტი ძალიან გვეხმარება — მომიწყო კარგი შეკრება, ახლახან შემიძინა სავარჯიშო ფორმა, იარაღი, გამაგზავნეს ერევნის საერთაშორისო ტურნირზეც, სადაც პირველი ადგილი დავიკავე, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე ჩემივე თანაგუნდელები — გალინა ტოცკაია და ასმათ დიასამიძე გავიდნენ. აჭარაშიც ატარებენ ტურნირებს და საშეჯიბრო პრაქტიკაც მეტნაკლებად მაქვს.

აქ საუბარში ისევ ბატონი თამაზი ერთვება.

— ხათუნამ წლის მხოლოდ ერთ დიდ ტურნირში იასპარეზა. სამწუხაროდ, გერმანიისა და ჩეხეთის დიდ ტურნირებზე მისი გაგზავნა ვერ მოხერხდა. იგი ევროპის ზამთრის ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. არადა, უფრო მეტ ტურნირებში რომ მიეღო მონაწილეობა, მაშინ მას მეტი პრაქტიკა ექნებოდა, ჩვენ კი — იმედი.

მომდევნო კითხვით ისევ ხათუნას მივმართე:

**— საფრანგეთში კონკრეტულად რა მიზნით მიემგზავრებით?**

— ჩემი უმთავრესი მიზანი კარგად ასპარეზობა და ჩემი საუკეთესო შედეგის ჩვენებაა.

**— სიდნეის ოლიმპიადაზე რას ფიქრობთ?**

— ოლიმპიადა ჩემი უმთავრესი მიზანია, თუმცა მანამდე ლიცენზიის მოპოვებაა საჭირო. საამისოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე 46-ს საუკეთესოს შორის უნდა მოვხვდე. თუ ხელი არ შემეშალა და ჩემი საუკეთესო შედეგი ვაჩვენე, ეს არ უნდა გამიჭირდეს. თუ ვარჯიში ასე გავაგრძელე, ოლიმპიადაზე მოხვედრის დიდი იმედი მაქვს.

რაკილა სერგო ბერიძესთან გასაუბრება ვერ მოვახერხე, ობიექტურ მიზეზთა გამო, მისი მზადყოფნის თაობაზე თამაზ ფუტკარაძეზე უკეთეს მთხრობელს ვის ვნახავდი. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ სერგოც კარგ პირობებში ემზადებოდა ხათუნასთან ერთად, ასე რომ, იმედი აქვს, საფრანგეთში არც მან უნდა იასპარეზოს ურიგოდ. დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ საფრანგეთში ამ ქართულ დუეტს ნატო ნასარიძეც შეუერთდება, ოღონდ იგი, ამათგან განსხვავებით, თურქეთისთვის გასტყორცნის ისრებს.

**ირაკლი თავაძე**



# ფოთში ნიჩბებს რა გააშრობს

**ფოთს ქართული სპორტის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია და ამ სიტყვების წამკითხველნი, ჰო, ვიცით, მართალია, ჩვენი ფეხბურთი ხომ ფოთიდან დაიწყოო, მარტო ამას ნუ იტყვით. ქალაქი თავისი იდეალური ბუნებრივი პირობებით მართლაც რომ ნიჩბოსანთა ოაზისია და წლების განმავლობაში აკი იყო კიდეც ჩვენი ნიჩბოსნობის ადგილის დედა**

ქართული ნიჩბოსნობის ისტორიას ფოთელ სპორტსმენთა მთელი პლეადა ამშვენებს, ივერი მატკავას და თამაზ ჩიტაიას, ჯონ ჩარაევს და ზური ხოფერიას, ვალერი კუპრეიშვილს და ფრიდონ ბირკაიას არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოუპოვებიათ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე და ამ წარმატებათა გვირგვინია 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადა, სადაც ვიქტორ კრატასიუკი ბელარუს გორბაჩოვთან ერთად ორადგილიანი ბაიდარით ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ნიჩბოსნობაში ოლიმპიური ოქროთი ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის, ასე რომ, ჩვენი ინტერესი ამ სახეობისადმი გასაგებია და რიონისპირა ყოფილ „ვოდნიკის“ ბაზას, დღეს კი სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელს ამიტომ მივადექი. ბაზაო, ვამბობ, თორემ ეს მხოლოდ წარსული წლების ნაშთი უფროა, მაგრამ ნანგრევებად ქცეულშიც კი საოცარი ოპტიმიზმი იგრძნობა.

სასწავლებელს სათავეში წარსულში ცნობილი „აკადემიკოსი“ ნიჩბოსანი რომან გაბელაია უდგას...

— ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლად წლის დამდეგიდან ჩამოვყალიბდით და საქმესაც შევუდექით — მეუბნება ბატონი რომანი — სეზონი ბაკურიანის ორკვირიანი შეკრებით დავიწყეთ, მომზადების ციკლმა ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ უფულობის გამო ვერც ერთ საერთაშორისო რეგატაში ვერ მივიღეთ მონაწილეობა. თუმცა ორიოდე თვის წინ პატრონიც მოვნახეთ, ყოფილი ნიჩბოსანი, ფირმა „სოფმარის“ პრეზიდენტი ვახტანგ ალანია, რომელიც ყოველგვარ თანადგომას გვპირდება.

სასწავლებელში 30 მოსწავლეა: 14 აკადემიურ ნიჩბოსნობაში, 5 ბაიდარაში, 5 კანოეში. გვყავს 6 მოკრივეც. ესენი ძირითადათ 12-16 წლის ბიჭები არიან და საკმაო პერსპექტივაც გააჩნიათ, თანაც მათ აღზრდა-დაოსტატებას მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, ხოლო კონსულტაციებს თავად ავერი მატკავა და ვიქტორ კრატასიუკი უწევენ, რაც ახალგაზრდებისთვის დიდი სტიმული გახლავთ.

ბატონი რომანი ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის FISA-ს ალმასკომის წევრიც გახლავთ, მაგრამ ქართველთა შეჯიბრებებში სისტემატურმა ვერმონაწილეობამ ადვილი შესაძლებელია, ხელბურთელთა მწარე ხვედრი გვარგუნოს.

სპორტი ფულის გარეშე არსად განვითარებულა და თუ სადმე ყოფილა, მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონია. ამიტომაც ფოთელ ნიჩბოსანთა ახალ იმედს, ვახტანგ ალანიას მივაშურე. ფირმა „სოფმარი“, რომელსაც იგი თავკაცობს, 1992 წლის დეკემბრიდან საქმიანობს და ერთ-ერთ საკმაოდ სოლიდურ ფირმადაც ითვლება, თუმცა ჩვენი საუბრის თემა არა ფირმის სიმძლავრე, არამედ ნიჩბოსანთა გასაჭირი გახლავთ.

ვახტანგ ალანიამ ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ნიჩბოსნობას შეალია, 20 წლისამ აქტიურ სპორტს თავი დაანება, მერე იყო სწავლის წლები, პედაგოგობა ფოთის მე-3 სკოლაში, 92-ის ბოლოდან კი „სოფმარის“ თავკაცი გახლავთ.

— ნიჩბოსანთა გასაჭირი ყოფილი ნიჩბოსნისთვის უცხო რატომ უნდა იყოს, ამიტომაც ვარ მათთან და, რაც შემეძლება, ყველაფერს გავუკეთებ.

**— ხომ არ დავაკონკრეტოთ, კერძოდ რას?**

— სექტემბერში როსტოვში ჩატარდება რუსეთის ღია პირველობა, სადაც ჩვენი ბიჭებიც გამოვლენ, წარმატების შემთხვევაში კი ოქტომბერში ბულგარეთის საერთაშორისო რეგატაზეც წავლენ. ოქტომბერშივე ქალაქის სპორტკომიტეტი აპირებს „შავი ზღვის რეგატის“ ჩატარებას, ამ შეჯიბრებას ჩვენი თანადგომა, რა თქმა უნდა, არ მოაკლდება.

**— ყოფილი „ვოდნიკის“ ბაზის მდგომარეობა მართლაც სავალალოა. მის შეკეთებას თუ აპირებთ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი ანუ ყოფილი „ვოდნიკის“ ბაზა ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის ბალანსზეა, ასე რომ ეს საქმე პორტს უნდა მოეკითხოს.

**— ქალაქში ცხოვრობს ჩვენი ერთადერთი ნიჩბოსანი ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კრატასიუკი, რომელიც მატერიალურად მაინცდამაინც დალხენილად არ გამოიყურება.**

— კრატასიუკი არა მარტო ნიჩბოსანთა, არამედ მთელი საქართველოსთვის პატივსაცემი პიროვნება გახლავთ, ჩვენც გვინდა მისთვის სასიკეთოს გაკეთება, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონისთვის საკადრისი პატივის მისაგებად მარტონი ვერაფერს გავხდებით.

**— ფოთში ძალიან ხშირად იკრიბებოდა ყოფილი სსრკ-ს ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდი, რადგან ჩვენთან ვარჯიშის შესაძლებლობას ბუნება თითქმის მთელი წლის განმავლობაში გვაძლევს, ჩვენს ნიჩბოსნებსაც ყოველთვის ჰქონდათ უძლიერესებთან ურთიერთობის, მათი გამოცდილების გაზიარების საშუალება.**

— რა თქმა უნდა, ძველ კოლეგებთან, რუსებთან, უკრაინელებთან, ბალტიისპირელებთან საკმაოდ კარგი კონტაქტებია შემორჩენილი და ამ ადამიანური, არაფორმალური ურთიერთობის წყალობით უნდა მოვახერხოთ ძველი კავშირების აღდგენა, რაც ადრეც ძალიან გვადგებოდა, ახლა კი, ამ გაჭირვების ჟამს განსაკუთრებით სასურველია.

*ნიჩბოსნობასაც აქვს თავისი, განუმეორებელი ხიბლი და სწორედ ამან მიიზიდა ფოთელი ბიჭები ძველ, რიონისპირა ბაზაზე. ისინი ჯერჯერობით ენთუზიაზმით სულდგმულობენ, ბევრი რამ ეიმედებათ და იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა.*

**ბიძინა დარჩია ფოთიდან**

## ავტორბოლა

— უნდა ვაღიარო, რომ ფორმულა 1-ში დღესდღეობით საუკეთესო მანქანა სულაც არ გვყავს, რის გამოც კვირას ძნელი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. თუმცა უკან დახევას არ ვაპირებთ. მართალია, ჩვენი უპირველესი კონკურენტები უკეთესი ბოლიდებით ასპარეზობენ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მიხაელ შუმახერი და ედი ირვინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა „ჰუნგარორინგზე" ფერარის ტრიუმფი შედგეს — ფერარის გუნდის ტექნიკური დირექტორის ჟან ტოდტის სიტყვები ყველაზე კარგად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც ფორმულა 1-ის წლევანდელ ჩემპიონატში მე-12 ეტაპის წინ შეიქმნა.

# რინგი ჰუნგარორინგზე

გახსოვთ, ალბათ, ახალი სეზონის დასაწყისში გამაოგნებელი სტარტის შემდეგ პირველობა „მაკლარენის" პილოტებმა — ფინელმა მიკა ჰაკინენმა და შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა იგდეს. თუმცა მონრეალისა და „სილვერსტოუნის" ტრასებზე გამართულ რბოლებს შორის სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა და შუმახერის გამარჯვებებმა ჩემპიონატს დამატებითი ინტრიგა შესძინა. ორი ეტაპის წინ ხომ შუმისა და წინგაჭრილ ჰაკინენს მხოლოდ ორი ქულა აშორებდა ერთმანეთისგან.

ფერარის წარმატებებმა ბევრი დაარწმუნა ამ გუნდის სეზონისწინა დაპირების სისწორეში. მაშინ ტოდტი აცხადებდა, წლეულს მანქანა საგრძნობლად გავაუმჯობესეთ და ჩემპიონობას სწორედ ჩემი პილოტი მოიპოვებსო. თუმცა... უკანასკნელი ორი რბოლის მოგებით ჰაკინენმა რიხიანი განაცხადი გააკეთა ჩემპიონობაზე. ახლა მასსა და შუმახერს შორის სხვაობა 16 ქულაა და „ჰუნგარორინგზე" გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში ფინელს შეუძლია მშვიდად ბრძანდებოდეს — თუ ასე მოხდა, დარჩენილ რბოლებში გერმანელს სიტუაციის შესაცვლელად ნამდვილი სასწაულის მოხდენა დასჭირდება.

1984 წელს აშენებული „ჰუნგარორინგი" საკმაოდ ნელ ტრასად ითვლება. მის სწორ მონაკვეთებზე ისეთივე სიჩქარეს ვერ განავითარებ, როგორც მონაკოში, მაგრამ სამაგიეროდ მთლიანობაში ამ უკანასკნელთან შედარებით ოდნავ მაღალი საშუალო სიჩქარის ჩვენება შეიძლება. ისე კი, თექვსმეტი სხვადასხვა სირთულის მოსახვევის გამო ცალკეულ წრეებზე სასურველი სიჩქარის მიღწევა უაღრესად ძნელია.

მოგეხსენებათ, უნგრეთი ყოფილი საბჭოეთის არსებობის დროს ეგრეთ წოდებული „რკინის ფარდის" ბნელ მხარეს მოქცეულ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და ამიტომ 1986 წელს აქ ჩატარებულმა პირველმა რბოლამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. სოციალისტურ სივრცეში იქამდე უცხო ხილის სანახავად 200 ათასმა (!) მაყურებელმა მოიყარა თავი და გაკვირვებული შეჰყურებდა ლეგენდარული ნელსონ პიკეს საუცხოო ასპარეზობას. მაშინ ბრაზილიელმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რითაც თავის აურაცხელ გამარჯვებებს კიდევ ერთი ტიტული შემატა.

„ჰუნგარორინგის" თავისებური რთული განლაგების გამო სპეციალისტებსა და უბრალო გულშემატკივრებს შორის დავა არ ცხრება. ერთნი თვლიან, რომ ტრასა მეტად მოსაწყენია, რადგან მთელ მის სიგრძეზე ცოტას თუ მოძებნი ადგილს, სადაც შეიძლება დრო იხელთო და წინ მყოფ ბოლიდს გაასწრო. ამიტომ შაბათის საკვალიფიკაციო რბოლაში საუკეთესო დროის მაჩვენებელ პილოტს თითქმის განაღდებული აქვს გამარჯვება. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ მეტად რთულ მოსახვევებში საბურავები ადვილად ცვდება და თუ სხვა ტრასებზე ავტომრბოლები მხოლოდ ერთხელ, ანაც ორჯერ შედიოდნენ პიტ-სტოპებში, ახლა უნგრეთში მათ ტაქტიკის გადამოწმება და მასში სამი იძულებითი შეჩერების ჩართვა მოუხდებათ.

სამი პიტ-სტოპი თუ ერთი? ბრიჯსტოუნის საბურავები თუ გუდიარის? აი, კითხვები, რომლებიც კვირა სადამომდე ნებისმიერი ავტომოყვარულის მთავარი საფიქრალი იქნება. მომავალი გამარჯვებულის თაობაზე კი რა ვთქვათ? მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ. 1986 წლიდან დღემდე „ჰუნგარორინგზე" 12 რბოლისას გათამაშებული 598 ქულიდან „უილიამსს" 232 ერგო, თუმცა არა გვგონია, ამ გუნდის ეგიდით მოასპარეზე კანადელ ჟაკ ვილნევს შარშანდელივით გაუმართლოს. მაშინ ხომ მთელი რბოლის განმავლობაში დაჩანაკებულ „ეროუზში" მყოფი დეიმონ ჰილი ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო წრეზე (!) ძრავის გაუმართაობის გამო იძულებული შეიქნა, პირველობა მომავალი ჩემპიონისთვის დაეთმო.

ბოლოს კი გეტყვით, რომ გუშინ გამართულ თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ საუკეთესო დრო დევიდ კულჰარდმა აჩვენა.

**ირაკლი ხმელიძე**



REUTERS ბუდაპეშტიდან

შარშანდელი „ჰუნგარორინგის" მომგები ვილნევი წელს სტალონემაც შეაგულიანა

### ფორმულა 1
### XII ეტაპი
### უნგრეთის დიდი პრიზი

15 აგვისტო. ბუდაპეშტი. ჰუნგარორინგის ტრასა
რბოლის დასაწყისი 16.00 (თბილისის დროით)
ტრასის სიგრძე 4,0 კმ; დისტანცია — 77 წრე — 305,5 კმ




**1997 წლის შედეგები:**

1. *ვილნევი* (უილიამს რენო); 2. *ჰილი* (ეროუსი); 3. *ჰერბერტი* (ზაუბერი); 4. *მ. შუმახერი* (ფერარი); 5. *რ. შუმახერი* (ჯორდან-მუგენ-ჰონდა); 6. *ნაკანო* (პროსტ-პეჟო)

ტრასის რეკორდი: *მენსელი* 1.18,308

**წინა წლების გამარჯვებულები:**

1996 *ვილნევი* (უილიამს რენო)
1995 *ჰილი* (უილიამს რენო)
1994 *მ. შუმახერი* (ბენეტონ ფორდი)
1993 *ჰილი* (უილიამს რენო)

## მძლეოსნობა

# ეგრე გეთქვათ!
## მოიტა ფული და გავიქცევი

აჯანყებული მორბენლების, ტრინიდადელი ატო ბოლდონისა და ამერიკელი მორის გრინის პროტესტმა და ჰონორარებზე ლაპარაკმა ჩანს, შედეგი გამოიღო. მსოფლიო მძლეოსნობის მამებმა გამოაცხადეს, რომ „ოქროს სერიის" მორიგ ეტაპზე, აგვისტოს ბოლოს რომ გაიმართება ბრიუსელში, მსოფლიო რეკორდისთვის პრემიები გაიცემა.



REUTERS ციურიხიდან

გაბრესელასიეს ბევრი მოშურნე ჰყავს

ამით კი ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება. მძლეოსნები მხოლოდ გამარჯვებისთვის კი არ იბრძოლებენ, არამედ რეკორდებისთვის. აი, მაგალითად, 10 ათას და 5 ათას მეტრზე მორბენალი კენიელები პოლ ტარგატი და დანიელ კომინი კბილებს ილესავენ, რათა ეთიოპელი ჰაილე გაბრესელასიეს ერთწლიანი მეფობა მოსპონ. ეს კი თავისთავად რეკორდისკენ უბიძგებს ამ ბიჭებს, რომელთაც წელს სწორედ ეთიოპიელმა წაართვა პირველობა. კენიელები იმიტომაც იბრძოლებენ რეკორდებისთვის, რომ ბრიუსელში გაბრესელასიე ამ დისტანციებზე არ გამოვა და 3000 მეტრზე იასპარეზებს, ისევე როგორც შარშანდელი ბრიუსელური ეტაპის დროს.

ბრიუსელშივე ჩამოვლენ ბოლდონი და გრინიც, რომლებიც 100 მეტრზე იასპარეზებენ, თუმცა აქ აღარ იქნება მათი მთავარი მეტოქე, ციურიხში დაშავებული კანადელი, დონავან ბეილი.

## წყალბურთი

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ლიდერი ზვიად დავითიანი რომ კლუბის შეცვლას აპირებდა, ეს უკვე გაცნობეთ. მაშინ „კიჟა" ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე იდგა, ახლა კი მომავალი კლუბის „კონტურებიც" გამოიკვეთა — ვოლგოგრადის „სპარტაკ-ლუკოილმა" სხვებზე მეტად იაქტიურა და ყველაზე რეალური კანდიდატიც ის ჩანს.

# კიჟა სტალინგრადში

როგორც თავად ზვიადმა გვითხრა, ამ დღეებში მას დაკავშირებია ვოლგოგრადელთა გუნდის მწვრთნელი ზახაროვი და ყველანაირ პირობაზე შეთანხმებულან, მაგრამ თავად წყალბურთელი არ ჩქარობს. მას ტელეფონით გაგებულ პირობებს ურჩევნია, ადგილზე ჩავიდეს და თავისი თვალით ნახოს ყველაფერი.

24 აგვისტოს „სპარტაკ-ლუკოილი" რუსეთის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს და ზვიადიც ამ დროისთვის იქ უნდა იყოს. მას სავსებით აკმაყოფილებს რუსთა ამ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ამბიციები და მისთვის შეთავაზებული (ტელეფონით) პირობებიც, თუმცა, ამბობენ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და „კიჟაც" ამიტომ იკავებს თავს საბოლოო პასუხისგან. იგი თვლის, რომ ეს საქმე თითქმის გადაწყვეტილია, თუმცა არსებობს უარის თქმის შანსიც. ჰოდა, თუ ასე მოხდა, მაშინ ზვიად დავითიანს ყველაზე რეალურად გერმანიაში წასვლა მიაჩნია, ოღონდ იქაურ კლუბზე მან ჯერ არაფერი იცის. რაც შეეხება ვოლგოგრადელთა კლუბს, სიფრთხილის გამო ზვიადმა მათ ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო.



ზვიად დავითიანი

**ირაკლი თავაძე**

## ველორბოლა

# ველომამები ჭკვიანი ხალხია

წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" ამტყდარი სადოპინგო სკანდალი, რასაც გუნდებისა და მრბოლების პროტესტი და განაწყენება მოჰყვა, შეიქნა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის უფროსობის მსჯელობის საგანი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში.



ალექს ცულე

ველოსპორტის მამათა აზრით, არცთუ მისაღები და ლამაზია, როცა პოლიცია სპორტსმენთა ოთახებსა და ჩანთებში დაეძებს აკრძალულ პრეპარატებს, მაგრამ ეს ყოველივე იმან გამოიწვია, რომ სადოპინგო საქმეში გამოჩნდა ისეთი პრეპარატები, რომელთა დაფიქსირებაც შეუძლებელია. კავშირი იმედოვნებს, რომ მომავალი წლის პირველი იანვრიდან ის სამედიცინო ხერხებით შეძლებს ასეთი პრეპარატების გამოვლენას.

ლოზანის შეხვედრისას ლაპარაკი იყო პრეპარატ ერითროპოიეტინზე, იგივე ეპოზე. რეგულარული შემოწმებებით შეიძლება დადგინდეს, თუ როგორ ხდება სისხლის სტიმულირება ეპო-ს მეშვეობით. შემოწმების ახალ მეთოდზე უკვე მუშაობენ კიოლნისა და ლოზანის ლაბორატორიებში.

მომავალი სეზონიდან ველოკავშირი ყოველ გუნდს მოსთხოვს ლიცენზირებული ექიმის ყოლას. ამ ექიმმა სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე უნდა აგოს პასუხი და წესებიც დაიცვას.

თავის მხრივ, ექვსი განთქმული ექიმი უკვე შეკრებილა და „ტურის" დროს წარმოქმნილ პრობლემებზე მსჯელობს.

კავშირს აგრეთვე სწადია ახალი სარეიტინგო სისტემისა და ეროვნულ ფედერაციათა გააქტიურება. თუმცა, ველომამებს ასევე კარგად ესმით, რომ ველოსპორტი ფულია და დიდ დისკვალიფიკაციებს მომავალშიაც უნდა მოერიდო. ასე მაგალითად, „ტურ დე ფრანსიდან" დოპინგისთვის მოხსნილი „ფესტინას" ლიდერები ალექს ცულე და არმინ მაიერი არანაირად არ დაისჯებიან, მათ მთავარ სასჯელად „ტურიდან" მოხსნა დარჩება. ხსენებული ექვსი ექიმი კი, ალბათ, მრავალდღიანი ველორბოლების შეკვეცას მოითხოვს, რათა მრბოლთა ფიზიკური დატვირთვები შემცირდეს და ამით აკრძალული პრეპარატების მოხმარების აუცილებლობაც შემცირდეს.

**ლაშა ლომჯარია**

## კრივი

# ტაისონი აღარ იკრივებს?

გუშინ, პარასკევს, ნიუ ჯერსის მთავარ სამსჯავროს ნევადის ათლეტთა კომისიის დავალებით, უნდა განეხილა მაიკ ტაისონისთვის საკრივო ლიცენზიის დაბრუნების საქმე, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ხუთშაბათ დილით სამსჯავროში მაიკ ტაისონმა დარეკა და მდივანს განუცხადა, რომ უკან მიაქვს თავისი თხოვნა ლიცენზიის დაბრუნების შესახებ.

აქედან გამოდის, რომ ტაისონს რინგზე გასვლა აღარ სწადია, მაგრამ ჯერჯერობით არავინ არაფერი იცის. სადღაც დაიმალა ტაისონის ადვოკატი, ენტონი ფუსკო უმცროსიც. ასე რომ, მოსალოდნელი „დიდი დაბრუნება" ალბათ, აღარ შედგება.



რკინის მაიკს ხელები დაბორკვია

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29